ისტორია

მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა

შედგენილი

მოსე გ. ჯანაშვილის-მიერ

გამოცემა

მღ. გ. ასათიანისა და ნ. მაჭარაშვილისა.

ტფილისი

1889 წ.

Тип. М. Вартанянца, Троиц. пер. д. № 11.

სტამბა მ. ვართანოვისა

Дозволено цензурою 22 Декаяря 1889 г. Тифлисъ.

საეკლესიო ისტორია.

სულ ი წმიდის მოციქულებზე მოფენიდამ დასავლეთ ეკლესიის აღმოსავლეთ ეკლესიისაგან განცალკევებამდე).

თავი პირველი.

დაარსება ქრისტეს ეკლესიისა.

§ 1. სული წმიდის მოფენა მოციქულებზე და ქრისტეს მოძღვრების წარმატება იერუსალიმში.

(საქმე წმ. მოციქ., თ. 1 და 2).

მოციქულნი, თვის ღმერთ-მოძღვრის ამაღლების შემდეგ, დაბრუნდნენ იერუსალიმს, შეიყარნენ ერთ სახლში, დაიწყეს ლოცვა და მარხულობა. იგინი მოუთმენლად მოელოდებოდნენ წმიდა სულის მოფენას,—ჟამსა ამას, თერთმეტთა მოციქულთა, წილის ყრით, იუდა ისკარიოტელის მაგიერ, აირჩიეს მოციქულად მატათა. მოციქულებთან ერთად იმავე სახლში იყვნენ აგრეთვე: ღვთის-მშობელი მარიამი, ძმანი ქრისტესნი

და სხვანი მოწაფენი, სულ 120 კაცამდე. ქრისტეს ამაღლების მეათე, ხოლო აღდგომიდგან მე-50-ე დღეს, დილის 9 საათზე „იყო მეყვსეულად ზეცით ოხრა (შუილი), ვითარცა მოწევნა ქარისა სასტიკისა, და აღავსო ყოველი იგი სახლი, სადა იგინი იყვნეს მსხდომარე, და ეჩვენნეს მათ განყოფანი ენათანი, ვითარცა ცეცხლისანი, და დაადგრა თითოეულად კაცად კაცადსა მათსა ზედა; და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა და იწყეს სიტყვად უცხოთა ენათა, ვითარცა სული იგი მისცემდა მათ სიტყვად". ამ უჩვეულებრივო შუილის ხმაზედ შემოიკრიბნენ ურიანი, რომელთა შორის იყვნენ აგრეთვე მკვიდრნი არაბეთისანი, სპარსეთისანი, მისირისანი, და მრავალნი სხვანი. ყველა ესენი ძრიელ გაჰკვირდნენ, ნახეს-რა, რომ უბრალო მეთევზენი ბალილიისანი ლაპარაკობენ სხვა და-სხვა ენაზე. პეტრე მოციქულმა, ხალხს გაკვირვება რომ შეატყო, უთხრა მათ: „ნიჭი მეტყველებისა ჩვენ მივიღეთ წმ. სულისაგან და ეს სული კი გამოგვიგზავნა ჯვარ-ცმულმა და ამაღლებულმა იესო ქრისტემ". ამ სიტყვის გამგონი ხალხი ლმობიერებაში მოვიდა და იკითხა: „ძმანო, რა ვქნათ ჩვენ?" პეტრემ მიუგო: „შეინანეთ და ნათელ-იღეთ ყოველმა სახელითა იესო ქრისტესსა მისატევებელად ცოდვათა და მაშინ მოგენიჭებათ მადლი წმიდა სულისა; რამეთუ მოგენიჭებათ სასუფეველი თქვენ, ძეთა და ნათესავთა თქვენთა და აგრეთვე ყველას, ვისაც მიიკერძებს უფალი ღმერთი ჩვენი". ამ ქადაგებისა და სასწაულის გავლენა და ზედ-მოქმედება ხალხზე ისრეთი ძრიელი იყო, რომ დაუყოვნებლივ 3000-მდე კაცმა ირწმუნა იესო ქრისტე.

ამ ნაირად დღე მეერგასისა* შეიქმნა დღედ ქრისტეს ეკკლესიის შობისა, გინა დაარსებისა. ამ დღეს წმ. სულისაგან კურთხევა მიიღეს პირველთა მწყემსთა, დაარსდა პირველი სამ-

*აღდგომიდგან მეორმოცდაათე დღეა.

წყსო 3000 ნათელ-ღებულ და გაქრისტიანებულ პირთაგან და ძალაში შევიდნენ ქრისტეს-მიერ დადგენილნი საიდუმლონი.

§ 2. ეკკლესიის გაძლიერება ურიათა შორის იერუსალიმში.

(საქმე მოც., თ. 3, მ. 5—19 და თ. 4, მ. 31—37)

წმიდა სულის მოფენის შემდეგ მოციქულნი თვისის ქადაგებითა და სასწაულით ამრავლებდენ მორწმუნეთა რიცხვს იერუსალიმში. ერთხელ საღამო ჟამს პეტრე და იოანე მიდიოდენ ტაძარში სალოცავად. ამ ტაძრის ბჭეში მჯდომრე გლახამ, რომელიც დაბადებითგანვე კოჭლი იყო, გაუშვირა ხელი და მოწყალება ითხოვა მათგან. პეტრემ უთხრა: „არა მაქვს მე ვერცხლი, მაგრამ რაცა მაქვს, მოგცემ: სახელითა იესო ქრისტე ნაზარეველისათა ადექ და იარე". პეტრემ მათხოვარა ააყენა და მან დაიწყო სიარული. მაშინ ტაძარში მყოფნი ყველანი შემოერტყნენ მოციქულებს და, იხილეს-რა ეს სასწაული, გაჰკვირდნენ. პეტრემ უთხრა მათ: „კაცნო ისრაიტელნო! რასა გიკვირთ და გვიყურებთ, თითქო ჩვენ ჩვენის ძალით და ღვთის-მსახურებით ვქმენით სასწაული, რომ ესე კაცი დადის? ღმერთმა მამათა ჩვენთა ადიდა ძე თვისი იესო, რომელიც თქვენ უარჰყავით პილატეს წინაშე და მოჰკალით, და რომელიც ღმერთმა აღადგინა მკვდრეთით, რის მოწამენიც ვართ ჩვენ; სარწმუნოებითა მისისა სახელისათა განიკურნა ეს კაცი, რომელსაც თქვენ ყველანი ჰხედავთ და იცნობთ. მაგრამ მე ვიცი, ძმანო, რომ თქვენც და თქვენმა უფროსებმაც ქრისტე სტანჯეთ უმეცრებით. ამიტომ შეინანეთ და ნათელიღეთ, რომ აღიხოცნენ ცოდვანი თქვენნი და მოგენიჭოთ

თქვენ ქამნი სიხარულისანი უფლისაგან". ჭადაგება მოციქულისა ირწმუნა 5,000 კაცმა.

ამნაირად დღითი-დღე ქრისტიანეთა რიცხვი მრავლდებოდა; მოციქულებისაგან მოხდენილნი სასწაულნი იზიდავდნენ მრავალს ხალხსა. სარწმუნოება მოციქულებისადმი ისე ძლიერი იყო, რომ ავად-მყოფებს ქუჩებში გამოიყვანდნენ ხოლმე და ლოგინებსა და ტახტებზე დააწვენდნენ, რომ მოციქულების გავლის დროს მაინც მათს ჩრდილს გადაევლო სნეულებზე. ბარეშემო მდებარე ქალაქებიდგანაც მოჰყვანდათ ავად-მყოფნი, ეშმაკეულნი და ყველას მოციქულები ჰკურნებდნენ.

ყველა მორწმუნენი განუშორებლივ იყვნენ მოციქულებთან ერთად, იწვრთებოდნენ და სწავლობდნენ მათგან; ერთად ჰსაზრდოებდნენ და ერთად ლოცულობდნენ. მორწმუნეთა საზოგადოების გული და გონება იყო ერთ. თვისი საკუთრება არავის მიაჩნდა თვისად, არამედ საზოგადოებისად. სახლთა და ველთა მოსაკუთრენი ჰყიდდენ თვის ქონებას, მოჰქონდათ და აბარებდნენ მოციქულებს, რომელნიც ყველა წევრს საზოგადოებისას უნაწილებდენ მოთხოვნილებისამებრ. ასრე მოიქცა, მაგალითებრ, იოსია, მოციქულთაგან ბარნაბად (ძედ ნუგეშინის ცემისად), წოდებული. ამან გაჰყიდა თვისი მიწა და შეძენილი ფული მოიტანა და მოციქულთა წინაშე დასდო.

ერთმა კაცმა კი, ანანიამ, გაჰყიდა თვისი ქონება და თვის ცოლ საჰფირასთან შეთანხმებით ფულის ერთი ნაწილი დამალა და დანარჩენი მიუტანა მოციქულებს. პეტრემ უთხრა ამ კაცს: „ანანია! რისთვის შეუშვი შენს გულში სატანა, რომელმაც გათქმევინა ტყუილი წინაშე წმ. სულისა და დაგამალვინა ფული? განა იგი ქონება შენს უფლებაში არ იყო? შენ მოატყუილე არა კაცი, არამედ ღმერთი". ესმა-რა ანანიას

ეს სიტყვები, უგონოდ დაეცა დედა-მიწაზედ. ესრეთვე დაემართა მისსა ცოლსა, რომელიც მოვიდა მოციქულთა წინაშე, და არ მცოდნემან თვისის ქმრის თავ-გარდასავალისა, განიმეორა იგივე ტყუილი, რომელიც წარმოსთქვა მისმა მეუღლემ. ამ შემთხვევამ დიდს ძრწოლასა და შიშში ჩააგდო მთელი ეკკლესია და ყველა მხილველნი, აქა მდგომარენი*.

§ 3. გავრცელება ეკკლესიისა იუდიასა და სამარიაში.-მოქცევა სავლესი.

(საქმე მოც., თ. 9, მ. 9—30)

იერუსალიმში იყვნენ მრავალნი ქრისტიანენი, რომელთაც ძრიელ მტროობდა სინედრიონი. ამ ძლიერს და უმაღლესს სასამართლოს ჰსურდა სასტიკის ზომებით შეეჩერებინა წარმატება ქრისტიანობისა და სრულიად მოესპო იგი. ქრისტიანებს დაუწყეს დევნა, ტანჯვა და კვლა. მთავარ-დიაკონი სტეფანე, აღსავსე მადლითა და ძალითა, მქნელი ნიშებისა და სასწაულებისა დიდ-დიდისა (საქ. თ. 6, მ. 8) ქვით ჩააქოლვინეს. უმეტესად ყოველთა ქრისტიანებს სდევნიდა ჭაბუკი ვინმე სავლე. ამ კაცის შიშით მორწმუნენი გავიდნენ იერუსალიმიდგან და განიბნენ იუდიასა, ბალილეასა და სხ. ქვეყნებში. სადაც მივიდნენ, ყველგან შეიტანეს სახარება. ერთი შვიდთა დიაკონთაგანი—ფილიპე წავიდა ქალაქ სამარიაში და თვისის ქადაგებითა და სასწაულების მოხდენით მოაქცია მცხოვრებნი ქალაქისანი. სამარიელნი სიხარულით ინათლებოდნენ. იერუსალიმში დაშთენილ მოციქულთ, ესმათ-რა: „რამეთუ სამარიას შეიწყნარეს სიტყვა ღმერთისა, მიავლინნეს მათდა

* საქმე მოც., თ. 5, მ. 1-11.

პეტრე და იოანე". ესენი მივიდნენ სამარიას და „ლოცვა-ჰყვეს მათთვის, რათა მიიღონ სული წმიდა". მერმე „დაასხმიდეს ხელთა მათ ზედა და მიაქვნდა სული წმიდა*". ამავე ხანებში ქრისტიანობა გავრცელდა გალილიასა, ფინიკიასა და სირიაში.

სავლე დაიბადა ძილიკიის უმთავრეს ქალაქ ტარსუნში. იმას მშვენიერად ჰქონდა შესწავლილი მამა-პაპეული რჯული თვისის ბრძენ მასწავლებლისაგან, რომელსაც ერქვა გამალილ და რომელიც ეკუთვნოდა ფარისეველთა ერთ დასს. სავლე, როგორც ზემოთაც ვსთქვით, იყო დიდი მტერი ქრისტიანებისა. იგი ამხნევებდა ურიებს სტეფანეს მოსაკლავად, იგივე მფარველობას უწევდა მის მკვლელებს. სავლე სხვა ქრისტიანებსაც დაეძებდა, იჭერდა კაცთა და დედაკაცთა და ამწყვდევდა საპყრობილეში. ამ დროს ქრისტიანები გამრავლდენ დამასკოშიაც. ეს გაიგო სავლემ, გამოსთხოვა ნება მღვდელ-მთავრებს, რომ წავიდეს დამასკოში, დაიჭიროს ქრისტიანები და შეთოკილ-შებორკილნი წარმოადგინოს იერუსალიმს განსასჯელად. ქრისტიანებზე განრისხებული სავლე გაუდგა გზასა, და „მოიდენ-რა ვიდოდა იგი და მიეახლა დამასკოსა, მეყვსეულად იყო გარემოს მისსა ბრწყინვალება ნათლისა ზეცით გარდამო". სავლეს თავ-ჭარი დაეცა და პირქვე დავარდა. ამ დროს შამოესმა ხმა, მღაღადებელი: „სა-

---

*აქ ამდროს იყო ახალ-მონათლული სამარიტელი სიმეონ მოგვი. ამან იხილა-რა, რომ მოციქულების ხელ-დასხმით კაცთა ენიჭებათ სული წმიდა, მიუპყრა მათ ფასი და ჰსთქვა: „მომეცით მეცა ხელმწიფება ესე, რათა რომელსაცა დავასხნე ხელნი, მიაქვნდეს სული წმიდა". მიუგო პეტრემ: „ეცხლი ეგე შენი შენთანვე იყავნ წარსაწყმედელად შენდა. რამეთუ ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ ფასითა მოპოვნებად. არა გიც შენ ნაწილი, არცა სამკვიდრებელი სიტყვასა მას შინა, რამეთუ გული შენი არა არს წრფელ წინაშე ღმრთისა". ამ მოგვის სახელის მიხედვით ყოველს, ფულით მოპოებულს, საღმრთო თანამდებობას დაერქვა სიმონია.

ულ, საულ, რასა მდევნი მე!“ საულემ მიუგო: „შენ ვინ ხარ, უფალო?“ პასუხად შემოესმა: „მე ვარ იესო, რომელსა შენ მდევნი“.—უფალო! რა გნებავს ჩემდა ყოფად?“—აღჰსდეგ და შეევედ ქალაქად და მუნ გეთხრას შენ, რა იგი ღირდეს შენდა საქმედ.“ საულე წამოდგა და ვერა დაინახა-რა. მასთან მდგომარე კაცთაც თვალები ახილული ჰქონდათ, მაგრამ ვერაფერსა ხედავდენ (საქ. თ. 9, მ. 1—9); თუმცა ხმა ესმოდეთ, მაგრამ სიტყვებს ვერ არჩევდნენ და იდგნენ განცვიფრებულნი. როცა მოჩვენება გაჰქრა, საულე დამასკოში წაიყვანეს. დაბრმავებული სამი დღის შემდეგ მოინათლა და თვალნი აღეხილნა. მტერი ქრისტიანეთა ახლა შეიქმნა თავ-გამოდებით მქადაგებელი ქრისტიანობისა. პირველად ქადაგებდა დამასკოში. აქ მცხოვრებნი ურიანი, რომელთაც წინადვე იცოდნენ საულეს მოვსლის აზრი, ჯერეთ განცვიფრდენ,—როდესაც დაინახეს, რომ არა თუ საულე მტრობს ქრისტიანებსა, არამედ მოშურნეობს მათ—და მერმე მოინდომეს მისი მოკვლა. საულე გაიქცა არაბეთში. აქ სამი წელიწადი დაჰყო და მერმე დაბრუნდა იერუსალიმს. მოინდომა ქრისტეს მოწაფეთა წრეში შესვლა, მაგრამ მოწაფეთ ეშინოდათ მისი და არ ენდობოდნენ. ბოლოს ბარნაბამ მოციქულებს წარუდგინა იგი და თავდებად დაუდგა მასზედ, რომ საულე არ უღალატებს მათ და გულწრფელად მოექცევათ. იერუსალიმში საულე დაშთა მხოლოდ 15 დღე. მისმა გულ-მხურვალე ქადაგებამ მიიქცია აქაურ ურიათა ყურად-ღება. შრიებმა განიზრახეს მოკვლა საულესი. ამიტომ ძმათა ქრისტიანეთა საიდუმლოდ გაისტუმრეს იგი ქესარიაში. აქედგანაც საულე წავიდა თავის სამშობლო ქვეყანა ტარსუნში.

§ 4. ეკლესიის დამყარება წარმართთა შორის კესარიასა და ანტიოქიაში.

პეტრე მოციქული ჰქადაგებდა ლუდიასა და იოპეს. აქ მან განკურნა მრავალნი სნეულნი და აღადგინა ერთი მკვდარი. ლუდიაში მას შეხვდა ერთი კაცი, ენეა, „რვა წლითგან ქვე მდებარე ცხედარსა ზედა“. პეტრემ უთხრა მას: „ენეა! განგკურნებს შენ უფალი იესო ქრისტე; აღჰსდეგ და გარდაყარენ სარეცელნი შენნი და მეყოსეულად აღჰსდგა“. იოპეს გარდაიცვალა ერთი დედა-კაცი, ტაბითა. მიიწვიეს პეტრე ლუდიიდამ. პეტრემ ჯერ ილოცა და მერმე მიუბრუნდა გვამსა და უთხრა: „ტაბითა! აღჰსდეგ“. ტაბითა მაშინათვე წამოჯდა და დაიწყო ლაპარაკი.

კესარიაში სცხოვრებდა ასისთავი, კორნილიოს. იგი იყო „კეთილად-მსახური და მოშიში უფლისა ყოვლითურთ სახლეულით თვისით; იქმოდა ქველის საქმესა მრავალსა ერსა შორის და ევედრებოდა ღმერთსა მარადის“. ერთ დღეს, დილით, კორნილიოსს გამოეცხადა ანგელოსი და უთხრა: „ლოცვანი შენნი და ქველის-საქმენი შენნი აღვიდეს სახსენებლად შენდა წინაშე უფლისა“; გაგზავნე იოპეს კაცნი და დაიბარე სვიმეონი, რომელსა ჰქვიან პეტრე. ანგელოსი უხილავი შეიქმნა. კორნილიოსმა შეასრულა ბრძანება მისი: იოპეს, პეტრეს მოსაწვევად, წარგზავნა მონანი თვისნი. მონანი დაუახლოვდნენ ქადაგსა. პეტრე კი ამ დროს სახლის ერდოზედ ასულიყო და ლოცულობდა. დიდ ხანს ილოცა, ასე რომ მოშივდა და ჭამა მოუნდა. ამ დროს შენიშნა ციდგან გარდამომავალი ჭურჭელი, რომელსა შინა იყო ყოველი „ოთხ-ფერხი, ქვე-წარმავალი და მხეცი ქვეყანისა და ფრინველნი ცისანი“. ამასთანავე პეტრეს მოესმა ხმა, რომელი ეტყოდა: „აღჰსდეგ, პეტრე, დაჰკალ და ჰსჭამე“. პეტრემ მიუგო: „არა, უფალო, მე არასდროს არა

მიჭამია შეგინებული და უწმინდური". ქვალად პეტრეს მოესმა: „რომელი იგი ღმერთმან წმიდა ჰყო, შენ ნუ შეგინებულ გიჩნს". ასრე იყო სამ გზის. ჭურჭელი ისევ ამაღლდა. ამ დროს კორნილიოსის მონანი უკვე მოვიდნენ და ჰკითხულობდნენ: აქა სცხოვრობს პეტრეო? სულმა უთხრა პეტრესა: „აი სამი კაცი გეძებენ შენ. ადეგ და წაჰყე მათ, იჭვი ნუ გექნება, რადგან მე გამოვგზავნე იგინი". პეტრე ჩამოვიდა ერდოდგან, იხილა სამი კაცი და გაჰყვა მათ ქესარიაში. პეტრემ კორნილიოსს ამცნო, რომ ერთად-ერთი წამალი ცხონებისათვის არის რწმენა ქრისტესი. ეს სიტყვები ჯერ არც კი დაესრულებინა პეტრესა, რომ სული წმიდით აღივსნენ ყველა მსმენელნი. პეტრესთან ერთად მოსულ ურიათ ძრიელ გაუკვირდათ, რომ სული წმიდა მოეფინა წარმართთაც, რომელთაც სხვადა-სხვა ენაზე დაიწყეს შეტყველება. იმიტომ გაუკვირდათ ამ ურიებსა, რომ პირველ ხანშივე ახალ-მორწმუნეთა შორის გავრცელდა აზრი, ვითომ, ქრისტეს ეკკლესია მიიღებს მხოლოდ წინა-დაცვეთილთა, მოსეს რჯულისამებრ. და ეს კორნილიოსი და მისნი მხლებელნი კი იყვნენ წარმართნი, წინა-დაუცვეთელნი. პეტრემ სთქვა: „წყლისაგან ნურა ყენება არსა, არა ნათლის-ცემა ამათი, რომელთა სული წმიდა მიიღეს, ვითარცა იგი ჩვენ". უბრძანა მათ ნათელ-იღონ სახელითა იესო ქრისტესითა. და რამდენიმე დღეს, მონათლულებისავე თხოვნით, დაშთა კორნილიოსთან.

პეტრე რომ დაბრუნდა იერუსალიმს, მაშინ ურიათა დაუწყეს მას ყვედრება, რომ წინა-დაუცვეთელნი წარმართნი მოინათლეო. პეტრემ უამბო მათ ზემორე აღწერილი გამოცხადება და უთხრა, რომ კორნილიოსსა და მის შინა მყოფთა მონათვლამდის უკვე მოჰფენოდათ სული წმიდაო. ყველანი ღამშვიდდნენ, ადიდეს ღმერთი და სთქვეს: „უკეთუ ნამდვილვე წარმართთაცა მისცა ღმერთმან სინანული იგი ცხოვრებისა".

იერუსალიმიდგან ლტოლვილ მოციქულებმა ქრისტიანობა შეიტანეს ანტიოქიაშიაც. მე—39 წ. ქრ. ამაღ. შემდეგ მოციქულებმა ამ ქალაქს გაგზავნეს ბარნაბა. ამან ამხანაგად და თანაშემწედ მიიწვია ტარსუნიდგან სავლეცა და ერთი წლის განმავლობაში ჰქადაგა ქრისტიანობა და მოაქცივნა მრავალნი. აქ, ანტიოქიაში, უფლის მორწმუნენი პირველად იწოდნენ ქრისტიანებად.

§ 5. პირველი სამახარობელო მოგზაურობა მოციქულის პავლესი.

(საქმე მოც., თთ. 13 და 14)

ანტიოქიის ეკკლესია რომ რიგიანად მომართეს და დაამკვიდრეს, შემდეგ სულმა წმიდამან ბარნაბა და სავლე (იგივე პავლე) გამოარჩია საქადაგებლად ქრისტიანობისა სხვა ქვეყნებში. მაშინ ბარნაბამა და სავლემ „იმარხეს და ილოცეს, და დასხნეს მათ ზედა ხელნი მათნი და განუტევნეს". ესენი ნებისამებრ წმ. სულისა გაემგზავრნენ და მივიდნენ სელევკიაში და იქიდგან ნავით გადავიდნენ კვიპრეში, რომელიც იყო სამშობლო ბარნაბასი. აქ მოვლეს მთელი ჭალაკი ვიდრე პაფომდე და ყველას უთხრობდნენ სიტყვასა ღმრთისასა. პაფოში ამ დროს იყო რომის მთავარი ანთვიპატი პავლე სერგი, რომელმაც მოინდომა ღვთის სიტყვის მოსმენა. მან მიიწვია ბარნაბა და პავლე. ამ სერგისთან იყო ვინმე მოგვი და ცრუწინასწარ-მეტყველი ბარიისუ, რომელიც სცდილობდა არ შეეშვა ბარნაბა და სავლე სასახლეში. „ხოლო სავლე, რომელ არს პავლე, აღივსო სულითა წმიდითა და ჰრქვა (მოგვსა): ჯი, სავსეო ყოვლითა ზაკვითა და ყოვლითა მანკიერებითა, შვილო ეშმაკისაო და მტერო ყოვლისა სიმართლისაო! ვრა

დასცხრეა გარდაქცევად გზათა მათ უფლისათა წრფელთა?.. იყო შენ ბრმა და ვერ ჰხედავდე მზესა ვიდრე ჟამადმდე. და მეყვსეულად დაეცა მის ზედა არმური და ბნელი და მიმოვიდოდა და ეძიებდა მოძღვარსა", ამ სასწაულის მხილველ ანთვიპატმა სერგიმ ირწმუნა იესო ქრისტე.

პაფოდგან მოციქულნი წავიდნენ პერგეში და იქიდგან პისიდიის ანტიოქიაში. აქ შაბათ დღეს შევიდნენ შესაკრებელში ანუ თორაში. რჯულისა და წინასწარ-მეტყველების წაკითხვის შემდეგ, ურიათა უფროსებმა სთხოვეს მოციქულთ, რათა მათ წარმოეთქვათ მოძღვრება წინაშე შეკრებილებისა. წარსდგა პავლე და ვრცლად განმარტა ქრისტეს სწავლა. ხალხი აღტაცებაში მოვიდა და თორიდგან გამოსვლის დროს სთხოვეს, რომ მეორე შაბათსაც ემოძღვრნათ. დანიშნულ დღეს „ყოველი იგი ქალაქი შეჰკრბა სმენად სიტყვასა მას უფლისასა". ურიებმა რომ დაინახეს ეგოდენი შეკრებილება წარმართთა, აღივსნეს შურითა და „მხდომად აღუდგეს სიტყვათა მათ პავლესთა და ჰგმობდეს მათ". მაგრამ მოციქულები მამაცად დაუხვდნენ და ჰრქვეს: „ჯერი იყო პირველად თქვენთვის გვექადაგნა, მაგრამ რადგან თქვენ უარ-ჰყოფთ სიტყვასა ღვთისასა, ამიტომ ჩვენც მივმართეთ წარმართთა". ამ სიტყვების მსმენელ წარმართთ გაუხარდათ, ხოლო ურიანი უფრო განრისხდნენ და განჰსდევნეს იქიდგან პავლე და ბარნაბა. ხოლო მოციქულთა „განიყარეს მტვერი ფერხთა მათთა მათ ზედა და მივიდეს იკონიად". აქ წარმართნი და ურიანი წინა-აღუდგნენ მოციქულებსა, გინება დაუწყეს მათ და ქვით დაშენა სწადდათ. ამიტომ იგინი მიივლტნენ ქალაქებსა ლუკაონისასა: ლუსტრასა, დერბესა და გარემო სოფლებსა. ლუსტრაში პავლემ განკურნა დაბადებიდგანვე კოჭლი კაცი. ამ სასწაულმა განაკვირვა ხალხი. წარმართნი პავლეს „ჰხადოდეს ერმით (меркурій) და ბარნაბას დიოს კერპით" (юпитеръ) და

მოიწადინეს მათთვის სალმთოს შეწირვა, ვითარცა ღმერთებისათვის. მოციქულებმა ძლივს შთააგონეს ხალხს, რომ იგინიც ადამიანები არიან და მოსულან მათ მოსაქცევად ჭეშმარიტის ღვთისადმი. ამასობაში პისიდიის ანტიოქიიდამ მოსულ ურიებმა ააღელვეს ხალხი წინააღმდეგ მოციქულთა. პავლეს ქვით სცემეს. მოციქულნი წავიდნენ დერბეში და მოაქცევნეს მრავალნი ურწმუნონი და იქიდგან ისევ ანტიოქიაში დაბრუნდნენ. გზა-გზა შეიარეს ლუსტრასა, იკონიასა და პისიდიის ანტიოქიაში და აქაურ ეკკლესიებს განუწესეს მოძღვარნი და ხუცესნი.

§ 6. კრება მოციქულთა იერუსალიმში.

(საქმე მოციქ. თ. 15)

მასწავლესა იერუსალიმიდგან ანტიოქიას მოვიდნენ გაქრისტიანებულნი ურიანი და ამტკიცებდენ, რომ მოქცეულთა წარმართთათვის, იესო ქრისტეს რწმენის გარდა, საჭიროა აგრეთვე წინა-დაცვეთა და შესრულება ყოველთა წეს-ჩვეულებათა მოსეს რჯულისამებრო. ამნაირმა აზრმა გამოიწვია დიდი კამათობა. ამ კამათობის მოსასპობლად შეჰხდა კრება მოციქულთა იერუსალიმში. პავლე და ბარნაბაც წავიდნენ კრებაზე დასასწრებლად. ხუცესნიც მოწვეულიყვნენ. საკამათო კითხვა გაჩხრიკეს და მრავალი იძიეს, მაგრამ ერთ აზრს ვერ დაადგნენ. მაშინ წარსდგა პეტრე და მოახსენა: კაცნო ძმანო! ქრისტემ პირველად მე ალმირჩია მოსაქცევად წარმართთა და არაფერი განსხვავება არ დასდო ურიათა და მათ შორის და ყველას თანასწორად მიჰმადლა სული წმიდა, და ახლა რა საჭიროა, რომ მძიმე ულელი წინა-დაცვეთისა კანონად გავუხადოთ ახალ-მოქცეულთა,

უნდა გვრწამდეს, რომ იგინიც, ვითარცა ჩვენ-ც, ცხონდებიან მჰდლითა ქრისტესითა. კრება დადუმნა. შემდეგ ამისა პავლე და ბარნაბა მოციქულებმა კრებას მოუთხრეს შედეგი თვისის სამახარობელო მოგზაურობისა წარმართთა შორის: სად ვინ განკურნეს, ვინ მონათლეს და მოაქციეს, რა ნიშები და სასწაულები მოახდინეს სახელითა უფლისათა. ამათ შემდეგ ილაპარაკა ძმამან უფლისამან იაკობ, რომელმაც მოიწონა აზრი პეტრესი და რჩევა მისცა კრებას: წიგნი მიწერეროთ წარმართთა და ჩვენი გარდაწყვეტილება წინა-დაცვეთის შესახებ შეეტყობინოთო. ეს რჩევა მოიწონა კრებამ და დაადგინეს დაწერად მათდა: „რათა გვნეყენონ იგინი ჭამად ნაზორევისაგან კერპთასა, და სიძვისაგან, დამშთვარისა და სისხლისა“ და რაც თავისთვის არ უნდათ, იმას სხვასაც ნუ უყოფენ. და დაჰბარნენ, რომ კანონად არ გიდებთ წინა-დაცვეთასაო. ეს გარდაწყვეტილება დასწერეს, და ამ სიტყვებით დაამტკიცეს: ასრე „ჯერ უნდა სულსა წმიდასა და ჩვენცა“ და პავლესი, ბარნაბასი და სხ. მოციქულთა ხელით წარგზავნეს ანტიოქიას, კილიკიას და სირიას ხალხისათვის გამოსაცხადებლად.

§ 7. პავლე მოციქულის მეორე და მესამე სამახარობელო მოგზაურობანი

(საქმე მოციქ., თ-ნი 20—28)

პავლე და ბარნაბა 51 წლის ხანებში კვლად გაემგზავრნენ საქადაგებლად ქრისტიანობისა. ეხლა ერთად ალარ მოგზაურობდნენ, არამედ ცალკ-ცალკე. ბარნაბა თავის ნათესავით მარკოზით წავიდა თავის სამშობლო ქვეყანა-კვიპრეში, პავლე კი შილათი, ლუკათი და ტიმოთეთი წავიდა მცირეაზიაში, მიმოველო აქაური ეკლესიანი და მერმე, ღვთისა ნე-

ბისამებრ, გარდავიდა მაკედონიაში. აქ პირველი ეკკლესია მან დააფუძნა ქალაქ ფილიპეში. მაგრამ იგი დიდხანს არ დარჩა აქა. ერთმა შემთხვევამ იძულებულ ჰყო დაეტოვებინა ეს ქალაქი. ერთხელ პავლეს შეხვდა ერთი მისანი მხევალი. ეს ქალი დაედევნა პავლეს და განუწყვეტლივ ჰყვიროდა: „ესე კაცნი მონანი არიან ღმრთისა მაღლისანი, რომელნი გახარებენ თქვენ გზათა ცხოვრებისათა“. და ასრე ჰყვიროდა მრავალსა დღესა. ბოლოს პავლე განჰრისხდა, მიუბრუნდა დედაკაცსა და მასში მყოფ ავ სულს-პითონს უთხრა: „გამცნებ შენ სახელითა იესო ქრისტესითა განსვლად მაგისგან“. და განვიდა მასვე ჟამსა. მხევალი მისნობით დიდ ფულს სძენდა თვის ბატონს. ამიტომ მისნობის ნიჭის მოსპობამ მის ბატონსაც მოუსპო წყარო შემოსავლისა. ამისაგამო განრისხდნენ, შეიპყრეს პავლე, შილა და მიჰგვარეს ქალაქის უფროსებსა და უთხრეს: „ესე კაცნი აღჰსძვრენ ქალაქსა ამას ჩვენსა, ურიანი არიან, ჰქადაგებენ ღვთის-მსახურებასა, რომელიც ჩვენ, ჰრომთა, არა გვხამს მიღებად და აღსრულებად“. ქალაქის უფროსების ბრძანებით სცემეს მოციქულებს ჯოხებითა, შეამწყვდიეს საპყრობილეში და დაუყენეს ყარაულები. შუაღამისას პავლემა და შილამ დაიწყეს ლოცვა და გალობა. მოჰხდა მიწის ძვრა. საპყრობილეს საძირკველი შეირყა და ყველა კარები გაიღო. ყარაულს გამოეღვიძა და ღია კარები რომ დაინახა, ძრწოლამ შეიპყრო: ტუსაღები გაქცეულები ეგონა. მაგრამ პავლემ დაუყვირა: „ნუ სწუხარ ძმაო, ჩვენ აქა ვართ“. ყარაულმა აღანთო ცეცხლი, მიირბინა წინაშე პავლესი და მის ფერხ ქვეშ დავარდა. შემდეგ მიიყვანა იგინი თავის სახლში, ფერხნი დაჰბანა და უთხრა: „შფალნო ჩემნო! რა ვქნა, რომ ვცხონდე? მიუგეს: „ირწმუნე იესო ქრისტე და ცხონდები შენცა და შენი სახლეულნიც“. ყარაული თავის სახლობით მოინათლა, დაამზადა ტაბლა და მოხარული იყო, რომ იცნო ჭეშმარიტი ღმერთი. ამასობაში

ქალაქის უფროსებმა შეიტყეს, რომ პავლეს ჰქონდა უფლება ჰრომის მოქალაქეობისა და ამიტომ ნება არ ჰქონდათ ეუმნათ მისთვის. შეშინდნენ, პავლესა და შილასთან ბოდიშის მოსახდელად მივიდნენ. ბოდიში მოიხადეს, გაანთავისუფლეს იგინი და გაისტუმრეს ქალაქიდგან.

ქალაქ ფილიპედგან პავლე მოციქული წავიდა საბერძნეთს სახარების საქადაგებლად. გზა-გზა დადაარსა ეკკლესიანი თესალონიკეში, ბერიაში და მივიდა ათინას. აქ მოციქული შეძრწუნდა სულითა, როდესაც დაინახა სიმრავლე აქაურ კერპთ-მსახურთა. მანუშიშრად დაიწყო ქადაგება ქრისტიანობისა ათინის მოედნებზედ. ვისაც შეხვდებოდა, იმას უქადაგებდა ჭეშმარიტს სარწმუნოებასა. რომელთამე ეპიკურელთა და სტოისა ფილოსოფოსთა გაიგეს-რა, რომ პავლე „იესოს და აღდგომასა ახარებდა", შეიპყრეს იგი და არეოპაგედ მიიყვანეს. აქ მრავალი ხალხი შეიკრიბა. პავლეს ჰკითხეს: რა ახალს მოძღვრებას ჰქადაგებო? მოციქულმა გააცნო მათ უცნაური ღმერთი. ეაცნო ათინელნო! ყოვლისფრით ვატყობ, რომ თქვენ თავათ კეთილ-მსახურნი ხართო, უთხრა კრებას მოციქულმა, ამიტომ რომ თქვენი ქვეყნის მიმოვლის დროს მე ვიხილე მრავალნი სამსახურებელნი თქვენნი და ერთი ბომონიცა, რომელსა ზედა წერილი იყო: უ ც ნ ა უ რ ი ღ მ ე რ თ ი. აი ამ უცნაურ და თქვენ მიერ უცნობ ღმერთს გიქადაგებთ და გასწავებთო. შემდეგ ამისა პავლემ დაწვრილებით განუმარტა ხალხს ბუნება და არსება ღვთისა, უთხრა, რომ მოვალს ჟამი სოფლის განკითხვისაო და სხ. მოციქულის ქადაგებამ დიდი შთაბეჭდილება იქონია ხალხზე, რომელთაგან მრავალმა ირწმუნა იესო ქრისტე. ახალ-მორწმუნეთა შორის იყო აგრეთვე წევრი არეოპაგისა — დიონოსი.

ათინიდგან პავლე მოციქული წავიდა კორინთას. აქ დაჰყო წელ-ნახევარი და შემდეგ დაბრუნდა სირიას.

54 წ. ხანებში პავლე მოციქული ლუკათი, ტიტე და ტიმოთეთი მესამედ გაემგზავრა საქადაგებლად ქრისტიანობისა. ამ ჟამად მის ქადაგების მანძილი ეფესოს არ განშორებია. აქ დაჰყო მან სამი წელიწადი და დიდი ღვაწლი დასდო ქრისტიანობას. მრავალნი მოაქცივნა და მოქცეულთ მწყემსად უკურთხა თანა-მშრომელი თვისი ტიმოთე. ეფესოდგან პავლე ხელ-ახლა წავიდა მაკედონიასა და საბერძნეთში და იქიდგან მეერგასეობის დღესასწაულზედ დასასწრებლად დაბრუნდა იერუსალიმს. გზაზედ იგი ცოტა-ხნობით გაჩერდა მელიტონში, მიიწვია ეფესოს მწყემსნი და ამ სიტყვებით გამოემშვიდობა და გამოეთხოვა მათ:

> თქვენ უწყით, თუ ვითარ ვცხოვრებდი მე თქვენთან იმ დღითგან, რა დღესაც პირველად შამოვედი აზიასა. მე მომაყენეს მრავალნი ტანჯვანი, მაგრამ მაინც არ დავცხერ: ვემსახურე უფალსა ყოვლითა სიმდაბლითა, მრავლითა ცრემლითა და რაც უმჯობესი და სასარგებლო იყო თქვენთვის, ყველა გითხარით და გასწავლეთ. აწ, აჰა ესე რა, მე კრული სულითა, მივალ იერუსალიმს, იქ კრულებანი და ჭირნი მელიან. ამიერითგან ველარ იხილავთ პირსა ჩემსა. იზრუნეთ თქვენი თავისა და თქვენი სამწყსოსთვის; სულმა წმიდამან დაგადგინათ მოღვაწედ და მწყემსად „ეკკლესიისა უფლის ღმრთისა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა“. მე ვიცი, ჩემი წასვლის შემდეგ, თქვენს სამწყსოში შამოვლენ მგელნი მძიმენი, რომელნიც სამწყსოს დაზიანებას მოინდომებენ. ამიტომ მხნედ და ფხიზლად იყავით. გახსოვდეთ, რომ სამი წლის განმავლობაში ღამე-დღე არ დავცხერ და განუწყვეტლივ გასწავლიდით ყველას. ამისათვის არც ოქრო, არც ვერცხლი და არც სამოსელი არავის გთხოვეთ. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩემს თავსა და მათ, რომელნი იყვნენ ჩემთანა, ეაც-

ხოვრებდი მე თვითონ ჩემის ხელით და ზრუნვით. ასრე იმიტომ ვიქცეოდი, რომ უფალმა ბრძანა: „ნეტარ არს მიცემა უფროჲს, ვიდრე მოღებისა". შემდეგ ამისა მუხლ მოდრეკით ილოცა ყველასთან ერთად. მსმენელნი მოციქულის სიტყვებისა დიდად შესწუხდნენ. დაიწყეს ტირილი, ხვევნა და ამბორს ყოფა პავლესი.

იერუსალიმში პავლეს დახვდნენ მრავალნი მტერნი—ურიანი, რომელნიც სადღესასწაულოდ შეკრებილ იყვნენ. ვინ იცის, მტერნი რას შეამთხვევდნენ პავლეს, თუ რომაელთა ყარაულებს არ დაეჭირათ იგი და არ გაეგზავნათ ქესარიაში, საცა იგი უნდა გაესამართლებინა მთავარს ფელიქსს. პავლე თუმცა გამართლდა, მაგრამ ფელიქსმა მაინც არ გაანთავისუფლა, რადგან მისგან საჩუქარს გამოელოდა. აქ პავლე ორი წელიწადი იყო დამწყვდეული; ფელიქსის მოადგილე ფესტს კიდეც ჰსურდა დაეთმო მოციქული ურიებისათვის, მაგრამ პავლემ, როგორც რომის მოქალაქეობის მექონემ, მოითხოვა, რომ იგი გაესამართლებინა თვით კეისარსა.

მოციქული სხვა ტუსაღებთან ერთად საეკროგემით გაისტუმრეს იტალიას. ჭარიშხალმა გემი მალტის ახლოს გარიყა. მოციქული სამი თვე დაშთა აქა და ვიდრე ახალი გემი მოვიდოდა გარიყულთა წასაყვანად, პავლემ უკვე მრავალი ხალხი მოაქცია და ეკკლესია დააარსა. რომში დაშთა მოციქული ორი წელიწადი. ამ დროს განმავლობაში ყველას ქრისტიანობას უქადაგებასწავლიდა. მისმა ქადაგებამ თვით ქეისარის სასახლეშიაც ფეხი მოიკიდა. საუბედუროდ 68 წელს იმპერატორ ნერონმა პავლე მოციქულს წარჰკვეთა თავი.

შენიშვნა. ქორინთაში მყოფობის დროს პავლე მოციქულმა დასწერა ორი ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ; ეფესოდგან—გალატელთა, ტიმოთე და ქორინ-

თელთა პირველი და ტიტეს მიმართ ეპისტოლენი; მაკედონიიდგან-მეორე ეპისატელე კორინთელთა მიმართ; კორინთიდგან—მეორედ მყოფობის დროს—ეპისტოლე რომაელთა მიმართ; რომიდგან-ეფესელთა, კოლოსელთა მიმართ და აგრეთვე ფილიმონისა, ტიმოთესი, ფილიპელთა და ებრაელთა მიმართ.

§ 8. დანაშთენ მოციქულების ღვაწლი.

პეტრესა, იაკობსა და იოანეს უმთავრესად წილად ხვდათ მოქცევა ებრაელთა. უპირველესი და უმთავრესი ასპარეზი მათის მოქმედებისა და მოღვაწეობისა იყო იერუსალიმი. იერუსალიმსა და ამის არე-მარეში ეკკლესიისა დაარსებისათვის ყველაზედ მეტად იღვაწა პეტრე მოციქულმა. მოციქულთა კრების შემდეგ პეტრე წავიდა იერუსალიმიდგან ანტიოქიაში, აქ დაჰყო რამდენიმე წელიწადი, მიმოვლო აზიის ეკკლესიანი, დაარსებულნი პავლესაგან, ბევრგან დაადგინა ეპისკოპოსნი და მღვდელნი, შემდეგ წავიდა მისირიაში (ეგვიპტეში), საცა თვისი თანა-მშრომელი და მახარობელი მარკოზი გაამწესა ალექსანდრიის ეპისკოპოსად. აქედგან წავიდა რომში, საცა, ქრისტიანობის დევნის დროს, ნერონ იმპერატორის ბრძანებით, მოკლულ იქმნა (67-სა ანუ 68 წელსა), ჯვარცმით თავ-დაყირა.

იერუსალიმის ეკკლესიის მეთაური იყო მოციქული იაკობი, ძე ალფესი და ძმა უფლისა. ამან თვისის წმიდა და უბიწო ცხოვრებით მოიპოვა სიყვარული ურწმუნო ურიებისაცა. იაკობი მხნედ და უშიშრად ჰქადაგებდა ქრისტიანობასა. აი ორიოდე შუხლი მისის მოძღვრებისა:

„ეაცად-ეაცადი განიცდების თვისისაგან გულის-თქ-
მისა, მიიზიდვის და ჰსცთების; მერმე გულის-თქმა იგი
მიუდგის და ჰშვის ცოდვად და ცოდვა იგი სრულ იქმნის
და ჰშვის სიკვდილი". წმიდა და შეუგინებელი მახსურება
ღმრთისა ძრის: „მიხედვა ობოლთა და ქვრივთა ჭირსა
შინ მათსა და შეუგინებელად დაცვად თავისა თვისისა
ამის სოფლისაგან". — სარწმუნოება, თვინიერ საქმეთა,
მკვდარ არს, სადა არს შური და ხლეშა, მუნ შფოთი
და ყოველივე ბოროტისა საქმე არის. — ზეგარდამო სიბრ-
ძნე არის სიწმიდე, მშვიდობა, სახიერება, მორჩილება,
სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთათა,
განუკითხველ და შეუორგულებელ. ნაყოფი სიმართლისა
დაეთესვის მათთჳს, რომელნი ჰყოფენ მშვიდობასა.
— მდიდარნო! ჰსტიროდეთ და ჰგოდებდეთ უბადრუკე-
ბათა მათთვის, თქვენ ზედა მოსავალთა... იშვებდეთ ქვე-
ყანასა ზედა და განსცხრებოდეთ; გაჰზარდენით ხორცნი
თქვენნი, ვითარცა დღედ დაკვლისა..."

ამ ნაირ ქადაგება — მოძღვრებით Iაკობმა მოიპოვა საერო
სიყვარული და მით უფრო გადიმტერა ფარისეველნი. პასექის
დღეს ურიებმა დაიჭირეს Iაკობი, აღიყვანეს ტაძრის მაღალ
კიბეზედ და უბრძანეს საჯაროდ უარ-ეყო ქრისტე ღმერთი.
მაგრამ მოციქული არ შეუშინდა ფარისეველებს და ხელ-ახლა
აღიარა თვისი სარწმუნოება აღთქმულის მესსიისა მიმართ.
ფარისეველნი განრისხდნენ, ჩამოაგდეს იგი კიბიდგან, ქვები
დაუშინეს და მერმე, თავში ჯოხის ცემით, მოჰკლეს.

ღვთის-მშობლის მიძინებამდის Iოანე სცხოვრებდა Iერუ-
სალიმში და მოღვაწეობდა პეტრე მოციქულთან ერთად. ესე.
წმიდა მარიამის მიძინების შემდეგ Iოანე დაესახლა ეფესოში
და აქ დიდი ხნის განმავლობაში სიტყვით, საქმით და წერით
დაუღალავად შრომობდა სასარგებლოდ პავლე მოციქულისა-

გან დაარსებულ ეკკლესიასა. დომიციანეს ჟამს ქრისტიანებს რომ დაუწყეს დევნა, იოანეც შეიპყრეს და გაგზავნეს პუნძულს პატმოსზედ დასამწყვდევად. ნერონ კეისარის დროს ხელ-ახლა დაუბრუნდა თავის სამწყსოს მცირე აზიაში. დაჩაგრულთა და დავრდომილთ დიდის ლმობიერებით ეპყრობოდა, ხოლო ცრუ-მოძღვართა—სასტიკად. თეთრს სიბერეშიაც იგი დაუცხრომლად მოღვაწეობდა. თუმცა თავათ სიარული აღარ შეეძლო, მაგრამ ძმანი მაინც ყოველს შეკრებილებაზე წაიკვანდნენ ხოლმე. აქ მორწმუნეთ უმოძღვრებდა ამ სიტყვებით: „შვილნო! გიყვარდეთ ერთმანერთი". მუდამ ერთიეგიგივეს რათ იმეორებო, ჰკითხეს ერთხელ. იოანემ უპასუხათ: ასრეთი იყო მცნება უფლისაო, საკმაოა მარტო ამ მცნების აღსრულებაცაო. იოანემ იცხოვრა ტროიანეს დრომდე და გარდაიცვალა 105 წელს ქრისტეს შემდეგ. მისის სიკვდილით დასრულდა მოციქულთა საუკუნე ანუ ჟამი.

სხვა მოციქულების ცხოვრებაზედ ასრეთი დაწვრილებითი ცნობები არ დაშთენილა. გარდმოცემიდგან სჩანს მხოლოდ, რომ თომას უქადაგნია პართიასა და ინდოეთში, მათეს—ეთიოპიაში, იუდას—ლიბიაში, ანდრიას*, სიმეონ კანანელს და ბართლომეს საქართველოში და ანდრიას აგრეთვე რუსეთშიაცა, საცა კიევის მთებზედ დაუსვენებია ჯვარი და უწინასწარმეტყველნია, რომ აქ ერთ დროს აღმობრწყინდება მადლი ღვთისაო. ედესში დაამკვიდრა ეკკლესია თადეოზმა.

---

* ანდრიასა, სიმეონსა და ბართლომეზედ უფრო დაწვრილებითნი ცნობანი იხ. ჩვენ-მიერ შედგენილ წიგნში „საქართველოს საეკკლესიო ისტორია".

§ 9. ქრისტიანობა მეორესა და მესამე საუკუნეში.

მეორე და მესამე საუკუნეში ქრისტიანობა ვრცელდებოდა და მტკიცდებოდა უმეტესად იმავე ადგილებში, რომლებშიაც მოღვაწეობდნენ მოციქულნი. ახლად ქრისტიანობა განმტკიცდა: სპარსეთში, ქართაგენში, ბრიტანიასა და ბალლიაში, სახელდობრ ლიონსა და ვიენში. სპარსეთში ქრისტიანობა შევიდა ედესიდგან, ქართაგენსა და ბრიტანიაში — რომიდგან. ბალლიაში ქრისტიანობა ჰქადაგეს პოთინემა და ირინემ. ქართაგენიდგან ქრისტიანობა მოედო ნუმიდიასა და მავრიტანიას; ვიენიდგანა და ლიონიდგან — ბერმანიასა და გალლიას.

ქრისტიანობის სწრაფად გავრცელებას ხელი-შეუწყო: ა) ქრისტიანეთა პირველ მქადაგებლების გულ-მოდგინეობამა და თავ-დადებულობამ; ბ) ქრისტიანეთა წმიდა ცხოვრებამა, ურთიერთ შორის დამყარებულ ძმურ სიყვარულმა, შეურყეველ სიმტკიცემ, შეუოგულებელ რწმენამ ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტებისა და სიხარულით დათმენამ ყოველ-გვარ ტანჯვათა და დევნათა და გ) სასწაულმა, რომელსაც იქმოდენ მორწმუნენი.

§ 10. ქრისტიანების დევნა ურიათაგან.

თუმცა ქრისტიანობას მრავალნი დაბრკოლებანი წინელობებოდნენ, მაგრამ იგი მაინც სწრაფად ვრცელდებოდა. ქრისტეს სწავლას წინააღმდეგობა პირველად აღმოუჩინეს ურიებმა, რომელთაც ქრისტე აღთქმულ მესიად არ მიაჩნდათ. შესანიშნავია პირველი შეხვედრა მოციქულებისა ქრისტეს მკვლელებთან. ოჰლის განკურნების შემდეგ პეტრე და

იოანე მიიყვანეს სინედრიონის წინაშე და ჰკითხეს: ვისი ძალით მოახდინეთ სასწაულიო? პეტრემ უშიშრად მიუგო, რომ კოჭლი აღვადგინეთ სახელითა იესო ქრისტესითა, რომელი ჯვარს-აცვით და აღდგა მესამესა დღესა და რომელიც არის „ლოდი იგი, რომელი შეურაცხ-იქმნა თქვენ მიერ მაშენებელთა, რომელი იქმნა თავ საკიდურთა და არავინ არს სხვით ცხოვრება“. მღვდელ-მთავრებმა, რომელნიც იქვე მდგოარე განკურნებულს თავის თვალით ჰხედავდნენ, ცილობა ველარ დაუწყეს მოციქულებს, ხოლო უბრძანეს და „ამცნეს ყოველითურთ არა სიტყვად, არცა სწავლად სახელითა იესოსითა“. ამაზედ მოციქულებმა უთხრეს: განსაჯეთ თქვენვე, რა სიმართლე იქმნება, რომ თქვენ უფრო მეტად დაგიჯეროთ, მინამ ღმერთსა; ჩვენ არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ იგი, რაიცა გვესმა და ვიხილეთ.

მოციქულები არ შეუშინდნენ მღვდელ-მთავრებსა და ისევ ქადაგება და ხალხის მოქცევა დაიწყეს. მაშინ ხელ-ახლა მიიწვიეს იგინი სინედრიონში და უთხრეს: „აღკრძალული რომ გქონდათ ქადაგება სახელითა იესო ქრისტესითა, კულავ რად ჰქადაგებთო?“—ღვთის მორჩილება უფრო ჯერ არს, მინამ კაცთაო, უპასუხეს მოციქულებმა. ქრისტეს მკელელებმა მოციქულების დახოცვაც მოიწადინეს. ამ შეკრებილებაში იდგა ერთი ფარისეველთაგანი,—გამალიელი, რჯულის მოძღვარი, პატიოსანი ყოველსა ერსა შორის. გამალიელმა შეაყენა ბოროტ გამძრახველნი და უთხრა: განეშორენით და უტევენით ეს კაცნი (მოციქულნი), რამეთუ მათი საქმე თუ კაცებური საქმეა, იგი თავათვე დაირღვევა და დაიხსნება; თუ კი ღვთისაგან არს, ვერ ხელ-გეწიფების დახსნად მისა და შეიქმნებით მხოლოდ წინააღმდეგნი ღმრთისანი. ამ ნაირი რჩევის შემდეგ მოციქულებს სცემეს, სტანჯეს და განუტევეს. სინედრიონიდგან გამოსულნი მოციქულნი ფრიად გახარებულნი

იყვნენ, რომ ქრისტეს სახელისათვის იგინი იტანჯნენ და იგვემნენ.

ამის შემდეგ მოციქულნი უფრო გულ-მოდგინედ შეუდგნენ ქრისტიანობის ქადაგებას, ურიათა ღვდელ-მთავრებსაც არ ეძინათ. ქრისტეს მტრებმა სასტიკი დევნა დაუწყეს არა თუ მხოლოდ მოციქულებსა, არამედ ყველა ქრისტიანეთა საზოგადოდ. დევნა-წამების პირველ მსხვერპლად შეიქმნა მთავარ-დიაკონი სტეფანე, კაცი აღსავსე სარწმუნოებითა და სულითა წმიდითა. იგი „აქმოდა ნიშებსა და სასწაულებსა დიდ-დიდსა ერსა შორის". სტეფანეს ცილი დასწამეს, ვითომ, იგი ჰგმობდა ღმერთსა და მოსესა. სინედრიონის წინაშე მან აღიარა ჭეშმარიტება ქრისტიანობისა, შემდეგ მსაჯულთ უსაყვედურა ჭეშმარიტ მესსიის მოკვლა და ბოლოს აღიხილნა თვალნი ზეცად და აღტაცებულმა, სთქვა: „აჰა ესერა, ვხედავ ცათა განხმულთა და ძესა კაცისასა მარჯვენით ღმრთისა მდგომარესა". ურიანი უმეტესად განრისხდნენ, გაიყვანეს სტეფანე ქალაქს გარე და დაუშინეს ქვა. მოწამე სტეფანე ამ დროს იდგა მუხლებზე და ღმერთს ევედრებოდა: „ნუ შეურაცხ ამჴთ ცოდვასა ამას". სტეფანე ეწამა ქრისტეთვის 35 წელს.

ირაოდ აგრიპამ 44 წლის ხანებში, ურიათა გულის მოსაგებად, მოჰკლა იაკობი, ძმა იოანესი და დაამწყვდია პეტრეცა. ბანზრახვა ჰქონდა იგიც მოეკლა, მაგრამ ანგელოზმა გაანთავისუფლა მოციქული საპყრობილედგან. ერთ ღამეს ჯაჭვებით შებორკილ პეტრეს ეძინა ორ დარაჯთა შორის. ანგელოზმა გააღვიძა მოციქული და უბრძანა უკან გასდევნებოდა. ჯაჭვები თავის-თავად დაიხსნა და საპყრობილეს კარებიც გაიღო. ანგელოზმა პეტრე ქალაქის ერთ ქუჩამდე მიიყვანა, და თეითონ უხილავი შეიქმნა. ირაოდმა პეტრეს მაგიერ დაახოცვინა მისნი მცველნი.

64 წ. მსხვერპლად ურიათა სიმძულვარისა ქრისტიანეთადმი შეიქმნა იაკობი, ძმა უფლისა. ფარისეველთა, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ჩამოაგდეს იგი ტაძრის კიბიდამ და ქვით ჩაჰქოლეს. ურიათა ბევრი სტანჯეს აგრეთვე მოციქული პავლე.

§ 11. ურიათა დამხობა.

მოეევლინა ჟამი უფლის მსჯავრისა ქალაქსა, რომელიც მოირწყა სისხლითა მართალთასა. ურიანი, რომაელთა ხელის-უფალთ ვეცხლ-მოყვარეობისაგამო, მოთმინებიდგან გამოვიდნენ და დაიმედებულნი, რომ მაცხოვარი მალე მოგვევლინებაო, აუჯანყდნენ რომაელებს. თითქმის სრულიად ამოწყვიტეს მთელი ლეგიონი ქესტისა; მაგრამ 60,000 კაცით რომ მოადგათ კარზედ ვესპასიანე, მაშინ ბედმა უმტყუნა ურიებს. ვესპასიანემ დაანგრია ყველა გამაგრებულნი ქალაქნი გალილიისა და პალესტინისანი და მერმე მიუახლოვდა ურიათა სატახტო ქალაქსაც. ამ დროს ვესპასიანე აირჩიეს რომის იმპერატორად. ამისგამო ახალმა იმპერატორმა ჯარის უფროსობა მიუბოძა თავის ძეს ტიტეს და თვითონ წავიდა რომს. ტიტემ ალყა შემოარტყა ქალაქს აღდგომის დღესასწაულის ხანებში 60 წელს. თუმცა ურიებს უბედურება კარზე მოსდგომოდათ, მაინც ურთი-ერთ შორის არ სპობდნენ უთანხმოებასა და დავიდარაბას. იდუმეველთ, რომელნიც ურიებისაგან შემწედ მიწვეულნი იყვნენ, ქალაქში შესვლის პირველსავე დღეს დახოცეს 18,000 მოქალაქენი. იმავე დროს გაჩნდა ქალაქში ბოროტ-მომქმედთა სამი დასი. ესენი, ვითომ-და მამულის სიყვარულით აღგზნებულნი, ანთხევდენ ურთი-ერთ სისხლს ქალაქსა და ტაძარში. ქლეტავდნენ მოხუცთა, დედა-კაცთა და ყრმათაც. ვინც ამ შინაურ მტრებს გაექცეოდა ქალაქიდგან, იმათაც იჭერდნენ რომაელნი და ჯვარს აცმიდნენ. ამ ნაირად იქლი-

ტებოდა ყოველ დღე 500-დე კაცი. ურიანი უფრო დიდ განსაცდელში ჩაცვივდნენ მაშინ, როდესაც ტიტემ იერუსალიმს შემოავლო გალავანი, რომ მოქალაქეთათვის მოესპო ყოველი სახსარი გაქცევისა და იძულებულ-ეყო იგინი, რათა დაეთმოთ ქალაქი. ამის გამო ქალაქში გაჩნდა შიმშილი და სასტიკი ჭირი. ალყის-შემორტყმისავე ხანში იერუსალიმის ერთი კარებიდამ გადმოჰყარეს 115,000-დე დახოცილთა გვამი. ცოცხალნი იკვებებოდნენ მკვდრების ხორცით. ერთმა დედაკაცმა შიმშილის სახმილის მოსაკლავად დაჰკლა თავისი ძუძუ მწოვარა ბავშვი. მიუხედავად ამისა ურიანი გამწარებულად იბრძოდნენ მტერთან, იბრძოდნენ თვით ტაძრის გალავნზედაც, როდესაც მთელი ქალაქი უკვე დაიჭირეს რომაელებმა. ასრეთმა წინააღმდეგობამ მეტად გააბრაზა რომაელთა ლეგიონი. ესენი შეუბრალებლად ჰჟლეტავდნენ ხალხს. ტაძარს ცეცხლი წაუკიდეს. ქალაქისთვის ალყის შემორტყმიდგან მის აღებამდე გასწყდა ერთი მილიონი და ასი-ათასი ურია. დატყვევებულ იქმნა 97,000 კაცი, რომელთაგან მრავალნი დაიხოცნენ რომს. ბევრნი კიდევ გაგზავნილ იქმნენ ალექსანდრიასა და სხვა ქვეყნებში გასასყიდად. ადრიანეს მეფობაში (135 წ.) ურიანი ხელ-ახლა აუჯანყდნენ რომაელებს. წინამძღოლი მათი იყო ბარკოხები (ძე ვარსკვლავისა), რომელსაც თავისი თავი მაცხოვრად მიაჩნდა. ამათ გასწყვიტეს და სტანჯეს მრავალნი ქრისტიანენი. სამაგიერო მიეგო მათაც: რომაელთა გასწყვიტეს 580,000 სულნი მეამბოხენი. იერუსალიმი ეხლა სრულიად დაანგრიეს. ტაძრის საძირკველზედ გუთანი გაატარეს. დავითის ძველი ქალაქი გადაკეთდა ახალ ქალაქად, ახალის მკხოვრებლებით, ახალის სახელით. ურიანი გადასახლებულ და გაფანტულ იქმნენ ქვეყნის ყოვლის მხრისკენ და სიკვდილით დასჯა დანიშნულ-იყო იმისთვის, ვინც დაბრუნდებოდა სამშობლოში.

Იერუსალიმის დანგრევა, რომელიც იწინასწარმეტყველა მაცხოვარმა, ბევრად დაეხმარა ქრისტიანობის წარმატებასა და გავრცელებას. ეს შემთხვევა მოასწავებდა ცხადს სასჯელს ქრისტეს მკვლელობისათვის და იგივე იყო მტკიცე ნიშანი წინასწარ-მეტყველთა თქმულისა ძველი აღთქმის დასრულების და ახალი აღთქმის ჟამის დადგომის შესახებ. მაგრამ ყველა ურიამ, რომელმაც იხილა უბედურება თვისის ქვეყნისა, ასრე არ ახსნა ეს შემთხვევა. არამედ ეს უბედურებანი რჯულის მტკიცედ აღუსრულებლობას მიაწერა. ამ გვარ შეხედულობამ ტიბერიადის გილლელის სკოლაში დაჰბადა განსაკუთრებული მოძღვრება (რაბინიზმი), რომელმაც რჯულად აღიარა ძველი დროის ცრუ-მასწავლებლთა გარდმოცემანი. ეს გარდმოცემანი შეჰკრიბა რაბბი იუდამ 219 წ. ტიბერიადში (მიშნა); მეოთხესა და მეხუთე საუკუნეში იგი განავრცელეს (გემარა) და ეს გარდმოცემანი ურიათა მომავალ თაობისათვის შეიქმნა რჯულისა და სამართლის წიგნად (ტალმუდი). ურიათა შორის რაბინიზმის გავრცელება შეიქმნა ახალ დამაბრკოლებელ მიზეზად ქრისტიანობის შეფერხებისა-გავრცელებისა ამ ქვეყანაში. ამ ახალ მოძღვრების წყალობით ურიებმა უფრო მეტად შეიძულეს ქრისტიანები.

§ 12. უმთავრესნი დევნულებანი ქრისტიანეთა ზედა პირველ სამ საუკუნეს.

დასაწყისშივე ქრისტეს სარწმუნოებას რომის სახელმწიფოში სასტიკად სდევნიდნენ. ყოველი წოდება ეწინააღმდეგებოდა ამ სარწმუნოებას და ყველანი-კი სხვა-და-სხვა მიზეზის გამო. დაბალ ხალხს ქრისტიანები იმიტომ სძულდა, რომ იგინი ულვთოდა და კაცობრიობისა და საზოგადოების მტრად მიაჩნდა. ეს წოდება დარწმუნებულ იყო, რომ, ვითომ, ქრისტიანენი

თვის შესაკრებელში გარყვნილებას ადგნენ, თვის ყრმებს სჭამ-
დნენ და, ვითომ, მათს ღვთოებას გამოეწვიოს საზოგადო
უბედურებანი. ქრისტიანთა მიმართ ამბისთანა ტილის-წამებას
ხალხში ავრცელებდენ ქურუმნი და ყველა ხსინი, რომელთა
პირადი სარგებლობა შეკავშირებულ იყო წარმართობასთან.
ფილოსოფოსნი და განათლებულნი თუმცა არ ეთანხმებოდნენ
ხალხის აზრს ქრისტიანების შესახებ, მაგრამ მაინც მათაც სძუ-
ლდათ ეს უკანასკნელნი: რწმენა ჯვარცმულის ღმრთისა უგუ-
ნურებად მიაჩნდათ. იმპერატორნი და ხელ-მწიფენი კი იმი-
ტომ სდევნიდნენ ქრისტიანებსა, რომ სისწრაფით გავრცელება
ქრისტიანობისა მიაჩნდათ საბაბად სახელმწიფო რჯულისა
და ყველა წეს-წყობილების შერყევისა. ახალის სარწმუნოე-
ბის შემოღება აღკრძალულ იყო სახელმწიფო კანონით.

ქრისტიანებზე აღმართულ დევნულებათა რიცხვი ათი-
ოდე იყო. პირველი დევნულებაა აღმართა ნერონმა* (64—
67 წ. წ.). ბოროტმა ნერონმა რომს ცეცხლი წაუკიდა და
გადასწვა და რომ ხმისთვის ყვედრება დაუწყეს, მაშინ, ხალხის
გულის-მოსაგებლად, ბრალი დასდო ქრისტიანებსა. დაუწყეს
წამება ამ უკანასკნელებს, რომელთაც იმპერატორი რომის
გადაწვას აბრალებდა. ზოგიერთ ქრისტიანს მხეცების ტყავში
ჩასვამდნენ ხოლმე და ძერე ძაღლებს მიუსევდნენ და დააგლეჯი-
ნებდნენ. სხვებს იმპერატორი დაასხამდა ხოლმე წამლებსა, გაამწ-
კრიესებდა თავის ბაღის ხეიენების მიყოლება და ღამ-ღამობით
თავის სეირნობის დროს წაუკიდებდა ცეცხლსა და უდანაშა-
ულო კაცებს მაშხალასავით სწვავდა. ნერონის დევნის მსხვერპ-
ლად შეიქმნენ ორნი მოციქულნიც, პავლე და პეტრე.

---

* რომაელებს ქრისტიანობა პირველად ურიების მწვალებლობად მიაჩნ-
დათ. ამისაგამო იმპერ. კლავდის დროს (41—54), როცა ურიანი აჯანყდნენ,
ურიებთან ერთად ქრისტიანებიც განდევნილ იქმნენ რომიდგან.

მეორე დევნულება მოჰხდა დომიციანეს დროს (95—96 წელს). თავის იჭვნეულობისა და ვერცხლ-მოყვარეობის გამო ამ იმპერატორმა მრავალი ქრისტიანუ, ქონების წართმევის შემდეგ, საპყრობილეში ჩასხა. იმისვე დროს კუნძულს პატმოსზედ დამწყვდეულ იყო მოციქული იოანე; აქვე თავი წარჰკვეთეს კეისრის სახლი-კაცს, წმ. კლიმენტოსსა. დომიციანეს შეესმა-რა, რომ, ვითომ, ქრისტიანენი მოელიან ქრისტეს მეფობასაო, დაიბარა პალესტინიდგან ორნი ნათესავნი ქრისტესნი. მაგრამ დაინახა-რა, იმათი შრომისაგან დაკენკილი და დამუწუკებული ხელები, იჭვი განიშორა.

კაც-მოყვარე ნერვამ (96—98 წწ.) გაანთავისუფლა ყველანი, დამწყვდეულნი დომიციანეს დროიდგან. ქრისტიანებზე მოთხრობილ ცილის-წამებას სრულიად ყურად-ღებას არ აქცევდა, თუმცა-ღა ქრისტიანობა ისევ ძველებურად აღკრძალულ სარწმუნოებად ითვლებოდა. ტროიანემ (98—117) განაახლა ძველებური რჯულ-დებულება წინააღმდეგ საიდუმლო შეკრებილებათა. ეს რჯულ-დებულება ქრისტიანეთა დევნულების მიზეზად შეიქმნა, იმიტომ რომ ქრისტიანები ღვთისმსახურების აღსასრულებლად საიდუმლოდ იკრიბებოდნენ. მრავალნი ქრისტიანენი დაისაჯნენ და სიცოცხლეს გამოეთხოვნენ. წამებულთა შორის უმეტესად ცნობილნი არიან: იერუსალიმის ეპისკოპოსი სიმეონი, მოადგილე მოციქულის იაკობისა, ძმისა უფლისა და აგრეთვე ანტიოქიის ეპისკოპოსი ეგნატე, მოწაფე წმ. იოანე ღვთის-მეტყველისა. წმ. სიმეონი, 120 წ. მოხუცი, მრავალთა ტანჯვათა შემდეგ, ჯვარ-ცმულ აქმნა. წმ. ეგნატე-კი ტროიანეს ბრძანებისამებრ მიუგდეს მხეცებსა და. დააგლეჯინეს,—რადგან წმიდანმა ხელ-მწიფისავე წინაშე აღიარა თვისი სარწმუნოება ქრისტესადმი.

ბითინიაში ყველაზე მეტი ხალხი აწამეს. ამ ქვეყნის მმართველი იყო პლინი უმცროსი. მრავალთა სისხლის ღვრათაგან

შეშფოთებული მმართველი მიიქცა იმპერატორ ტროიანესადმი და იკითხა, როგორ მოვექცე ქრისტიანებს, რომელთა სწავლა, ჩემის გამოკვლევით, წმინდაა და უვნებელი საზოგადოებისათვისაო. ტროიანემ ვასცა ბრძანება, რომ განგებ ქრისტიანეთა ძებნა-აღმოჩენას ნუ გამოუდგები და აგრეთვე ყურს ნუ ათხოვებ ცრუ ცილის-მწამებლებს; ხოლო თუ ქრისტიანებს საჯაროდ გაამტყუნებენ და დაუმტკიცებენ ქრისტიანობის მიღებას, მაშინ სიკვდილით დასაჯეო; აგრეთვე მაშინაც, თუ იგინი უარ-ჰყოფენ ღმერთების წინაშე მსხვერპლის შეწირვასაო. ტროიანეს განკარგულებისაგამო ქრისტიანებმა ცოტა თავისუფლად ამოისუნთქეს, რადგან სამართალის წინაშე მათი დაბეზღება, დასმენა და გამტყუნება ძნელი შეიქმნა. მიუხედავად ამისა, ქრისტიანების სამტროდ, ქურუმებმა სხვა ხერხი მოიგონეს: მათი რჩევით საერო შესაქცევართა გამართვის დროს ხალხი ხმა მაღლა ითხოვდა ქრისტიანების ამოწყვეტას. მაროველნიც, რომ ამბოხება არ მომხდარ-იყო, იძულებულ იქენენ ხალხის თხოვნა შეესრულებინათ. აზიის მმართველ ბრანიანს შეებრალა ქრისტიანენი და იმპერატორ ადრიანეს (117—138) მოახსენა, რომ უსამართლობა და უღმერთობაა უდანაშაულო ადამიანების მიცემა გამხეცებულ გუნდისათვისო. შეისმინა მოხსენება ადრიანემ და ქრისტიანების ხოცვა აღკრძალა. ანტონინმაც დაამტკიცა ეს ოქმი (138—161) და სიკვდილი გადუწყვიტა ყველას, ვინც ქრისტიანს დასმენდა უსაბუთოდ.

მარკ ავრელიანეს ჟამს (161—180) ქრისტიანეთა დევნამ მიიღო განსაკუთრებული მიმართულება. სტოიკების სწავლის მიმდევარმა მარკ ავრელიანემ ქრისტიანეთა საროწმუნოებისადმი ერთგულება და სიყვარული მიაწერა ფანატიზმს და ხალხს უფრო შეაძულა ქრისტიანენი. მან წესად შემოიღო წამება მორწმუნეთა, რომ შიშითა და ძალ-დატანებით უარ-ექმნევინებინა

ქრისტიანობა. მის დროის შესანიშნავნი წამებულნი არიან: წმ. იუსტინე ფილოსოფოსი და პოლიკარპი, ეპისკოპოსი სმირნისა. წმ. იუსტინეს ჯერ შოლტითა სცემეს და მერმე თავი წარჰკვეთეს; პოლიკარპი-კი, რომელმაც 68 წელიწადი პატიოსნად მსახურა ქრისტესა, ცეცხლის ზვინში ჩასვეს, მაგრამ ცეცხლმა რომ არ დასწო, ახლა ხმლით გაჰგმირეს.

მარკ ავრილიანეს შემდეგ 70 წლის განმავლობაში,—გარდა უკანასკნელთა წელთა სეპტიმი სერვის მეფობისა,—ქრისტიანეთა მდგომარეობა საკმაოდ განკარგდა. იმპერატორთა უმეტესი ნაწილი სრულიად ყურად-ღებას არ აქცევდა ქრისტიანებსა, ზოგიერთნი-კი ამკარად მფარველობას უწევდნენ. მაგრამ როდესაც დეკი აღვიდა ტახტზედ, მაშინ ისეთი დევნა დაუწყეს ქრისტიანებს, რომ ამგვარი დევნა წინად არც ერთ ხელმწიფის დროს არ მომხდარა. დეკიმ თვის ხელ-ქვეით მყოფ მმართველებს უბრძანა, რომ იხმარონ ყოველ-გვარნი წამებანი ქრისტიანეთა წარმართობისადმი მოსაქცევად და რომელნიც არ მოიქცევიან, იგინი, მიუხედავად სქესისა, წლოვანობისა და ღირსებისა, სიკვდილს მისცენ. მრავალ გვარ და ფრიად მწვავე წამებათ იმოქმედეს: მრავალნი ქრისტიანენი, უმეტესად მაღალის წოდებისანი, გადუდგნენ ეკკლესიასა. ზოგი-ერთნი ამათგან, რომ აეცილებინათ წამებანი, ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ, საკმელს უკმევდნენ; ზოგიერთნი კიდევ ქურუმებისაგან ჰყიდულობდნენ მოწმობასა, რომ იგინი ნამდვილად წარმართნი არიან. მაგრამ ქრისტიანეთა უმრავლესობა-კი, მიუხედავად წამება-ტანჯვათა, მტკიცედ იდგნენ თვის რჯულზედ და თავს სწირავდნენ მას. ასრეთნი იყვნენ, სხვათა შორის, ეპისკოპოსნი: რომისა-ფაბიანე, ანტიოქიისა-ბაბილე, იერუსალიმისა-ალექსანდრე და მრავალნი სხვანი. ეპისკოპოსთა კვლა-ხოცვა ეკკლესიისათვის დიდი დასაკლისი იყო. ამიტომ ზოგი-ერთნი ეპისკოპოსნი, თვის მრევლის რჩევით, წინ-და-წინვე გაიხვეწნენ

სამწყსოებიდგან და გარედგან ჰპატრონობდნენ თავიანთ ეკ-
კლესიებს. ასრე მოიქცნენ, მაგალ., წმ. ციპრიანე ქართაგენე-
ლი, დიონოსი ალექსანდრიელი და წმ. ბრიგორი, ეპისკოპოსი
ნეოკესარიისა, სასწაულთ მოქმედი.

დეკის შემდეგ გალლიენმა ქრისტიანებს მიანიჭა სრული
თავისუფლება. ამისაგამო ქრისტიანობა 40 წლის განმავლო-
ბაში სტკბებოდა მშვიდობიანობითა. ქრისტიანები ხელ-ახლა
შეაშფოთა დიოკლეტიანისა და მის თანაშემწის გალერის-მიერ
აღმართულ დევნამ. ბალერი კერპების მოწიწებით თაყვანის-
მცემელი იყო. ქრისტიანების დევნა ნიკომიდიის მშვე-
ნიერ ტაძრის დანგრევის შემდეგ დაიწყეს. ბრძანება გასცეს
დაენგრიათ აგრეთვე სხვა ტაძარნიც, დაეწვათ საღმთო წიგნები
და თვით ქრისტიანეთათვის ჩამოერთმიათ თანამდებობანი და
უფლებანი. ამ დროს ერთ ქრისტიანს ხელში ჩაუვარდა ის ქა-
ღალდი, რომელზედაც ქრისტიანების წინააღმდეგი განკარგუ-
ლება დაწერილ იყო და დაფხრიწა, ამის გამო მას თავი წარ-
ჰკვეთეს. ქრისტიანების საუბედურად ნიკომიდიის სასახლეს
ორჯელ ზედი-ზედ ცეცხლი წაუკიდეს, სომხეთსა და სირიაში
ამბოხება მოახდინეს. ბალერიმ ყველა ეს უბედურებანი ქრის-
ტიანებს მიაწერა. ამის გამო ქრისტიანებს უფრო სასტიკი დევ-
ნა დაუწყეს. რომელი ქრისტიანიც კერპებს მსხვერპლს არ შესწი-
რავდა, დაუყოვნებლივ სიკვდილით ისჯებოდა. ყველა საპყ-
რობილენი ქრისტიანებით გაივსო და ამათი სისხლი მთელს
იმპერიაში,—გარდა ბალლიისა, ბრიტანიისა და ისპანიისა, საცა
მმართველად იყო ღვთისნიერი კოსტანცი ქლორი,—რუებრ
დიოდა. წარმართობა ყოვლის თვისის ძალ-ღონით შეებრძო-
ლა ქრისტიანობას, რათა სრულიად ამოეფხვრა იგი. ქრისტია-
ნებზე სცდიდენ ყოველ გვარ ტანჯვათა და წამებათა: ხორცს
რკინის ბრჭყალებით აგლეჯდნენ და მერმე წყლულებზე აყ-
რიდნენ მარილსა ან ასხმიდნენ ძმარსა. ცეცხლში სწვავდნენ,

ჯვარზე თავ-და-ყირა აკრავდნენ, ტანის ასოებს გაზებითა და სხ. იარაღებით ჰგლეჯდნენ; ხან ქრისტიანების მთელს გუნდს ერთად სწვავდნენ ანუ ახჩობდნენ. საეკკლესიო ისტორიის მწერალი—ევსევი ამბობს, რომ მისირიაში ჩემის თვალით ვნახეო, როგორ ჩლუნგდებოდნენ ხრმალნი, როგორ ეღლებოდათ მკლავნი ქრისტიანეთა თავების მკვეთელ მტარვალთაო და ბრალდებულნი როგორის სიხარულითა და გალობით ეგებებოდენ სიკვდილსაო. ევსევის აღრიცხვით მხოლოდ მისირიაში წამებულთა რიცხვი 144,000 სულამდე ყოფილა.

ქრისტიანების დევნის დროს დიოკლეტიანე ისე ავად-გახდა, რომ იძულებული შეიქმნა ქვეყნის მმართველობა უარ-ეყო (305 წელს). რომის იმპერია სამმა იმპერატორმა გაინაწილა: აღმოსავლეთი მხარე დაიჭირა ბალერიმ, დასავლეთისა ქოსტანციმ და მაქსენტიმ. რომელი საწყაულითაც ბალერი ქრისტიანებს მიაგებდა წამებას, იმავე საწყაულით მიეგო მასაც 311 წელს. იგი მძიმე ავად-მყოფი შეიქმნა. თვისი დაუძლურება ქრისტიანეთა ღმერთისაგან მოვლინებულ სასჯელად მიიჩნია. სიკვდილის წინად გააუქმა ქრისტიანების წინა-აღმდეგნი განკარგულებანი და ქრისტიანებს შეევედრა, რომ იმპერატორისა და იმპერიისთვის ელოცნათ თვის ღმერთის წინაშე.

ბალერის სიკვდილის შემდეგ აღმოსავლეთის იმპერატორობა დაულოცეს მაქსიმინსა და ეეისრობა ლიკინსა. მაქსიმინმა ხელ-ახლა დაუწყო დევნა ქრისტიანებს. ასრევე მოიქცა მაქსენტიც იტალიაში. მაგრამ ეს დევნულება ისრეთი სასტიკი აღარ იყო, როგორც წინად და არც დიდხანს გასტანა. ქოსტანცი ძლორის ძემ ქოსტანტინემ,—რომელიც 306 წ. მამის სიკვდილის შემდეგ, დანიშნულ იქმნა მის მოადგილედ,—ჩამოაგდო ტახტიდამ მაქსენტი, თვითონ შეიქმნა იმპერატორად და ბოლო მოუღო ქრისტიანეთა დევნას.

ქოსტანტინეს წინა დროის შესანიშნავნი წამებულნი

არიან: მთავარ-მოწამე გიორგი, თეოდორე ტირონელი, დედოფალი ალექსანდრა, ეკატერინა და ბარბარე.

წმ. მთავარ მოწამე გიორგი ჩამომავლობით იყო კაპადოკიელი. ამ ქვეყანაში მაშინ ქართველი ტომის ხალხი მკვიდრობდა. გიორგი მშვენიერი სახის ჭაბუკი იყო, კარგი განათლებაც მიეღო და თვალ-საჩინო მხედრად ითვლებოდა. დიოკლეტიანეს იგი ძრიელ უყვარდა და მხედართ-მთავრობა მიუბოძა. გიორგი მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო რჩევაშიაც. გიორგიმ, დაინახა-რა, რომ მთავრობა ქრისტიანებს ებრძვის, გადასწყვიტა დაეცვა თვისი სარწმუნოება. იგი სახელმწიფო რჩევის წინაშე უშიშრად წარსდგა და მოსარჩლეობა გაუწია ქრისტიანებს. ამისაგამო მეფე გარისხდა და ბრძანა: ჩასვით ეგე ციხეშიო. გიორგი კი შეევედრა: გთხოვთ, ჩემი ქონება გლახებს დაურიგეთო. იმპერატორი უფრო გარისხდა. და თავის მოხელეებს უბრძანა ურმის თვალზედ გაეკრათ იგი. შიშველის ტანით, ლურსმებ ჩაყრილ ურმის თვალზედ, გააკრეს და თვალი დაატრიალეს მრავალჯერ. დიოკლეტიანეს ეგონა გიორგი ამ წამებისაგან მოკვდებაო, მაგრამ ანგელოსმა დაიფარა წმიდანი და არაფერი დაუშავდა. შემდეგ გიორგის ხელ-ფეხი მაგრა შეუკრეს და ჩააგდეს საკირეში; სამ დღე-ღამე საკირეში იდვა, ვითა მკვდარი სამარეში; მაგრამ აქაც ღმერთმა დაიფარა. დიოკლეტიანემ ახლა სხვა წამება მოიგონა: გააკეთებინა რკინის ქალამნები, შიგ ლურსმები ჩაუმატა, გაახურა, ჩააცვა წმიდანსა და გაატარა. წმიდანი ისევ უვნებლად დარჩა. შემდეგ გიორგი აცემინა ხარის ტყავის შოლტით. გიორგის დაალევინეს ათანასე გრძნეულისაგან შემზადებული საწამლავი, მაგრამ გიორგის ვერც ცემამ და ვერც საწამლავმა დაკლა-ლო-რა. პირიქით, ამ სასწაულებისაგან გაოცებული

გაკვირვებული გრძნეული ათანასეც მოიქცა ქრისტესადმი და ამის გამო წარჰკვეთეს თავი. დიოკლეტიანემ წამებას თავი დაანება და მაცთურის სიტყვებით შეეხვეწა ბიორგის ერწმუნა წარმართთა ღმერთნი. ბიორგი აპოლონის ტაძარში წავიდა, მას წაჰყვა იმპერატორი, მისი ამალა და ხალხი. ყველას ეგონა, რომ ბიორგი საღმთოს შესწირავს ღმერთებსაო. მაგრამ ბიორგიმ პირჯვარი დაიწერა და კერპნი დაიმხნენ. მაშინ განრისხებულმა იმპერატორმა, ქურუმების თხოვნით, წარჰკვეთა თავი წმიდანსა. წმ. ბიორგის სასწაულებრივ წამებათა მხილველი დედოფალი, მეუღლე დიოკლეტიანესი, ალექსანდრაც, მოიქცა ქრისტესადმი და აგრეთვე ბრავალნი წარმართნიც. ამისაგამო დედოფალიც აწამეს.

წმ. თეოდრე ტირონელმა ქრისტე აღიარა თვის უფროსებთა და ამხანაგთა წინაშე, რისგამო იგი ჩააგდეს ცეცხლში. იგი სულის განტევებამდის ადიდებდა ღმერთსა.

§ 13. მოქცევა კოსტანტინე დიდისა.

კოსტანტინე დიდს ქრისტიანეთადმი სიყვარული დაებადა თვის მამის კოსტანცი ქლორისა და დედის ელენესაგან. კოსტანცი ქრისტიანებზე იტყოდა ხოლმე, რომ ერი მართალი წინაშე ღვთისა, არ შეიძლება მართალი არ იყოს თვის ხელმწიფის წინაშეცაო. მაქსენტისთან ბრძოლის დროს კოსტანტინე დარწმუნდა, რომ ქრისტიანებრივი რჯულის დამაარსებელი არის ჭეშმარიტი ღმერთი. მტერთან შებრძოლების წინად, როდესაც ზეციდგან გამარჯვებასა და მტრის ძლევას ითხოვდა, მან და მისმა ჯარმა, შუა დღის გულზედ, ცათა შინა, იხილეს შუქისაგან შემდგარი ჯვარი, ზედ წარწერით:

„ამით სძლევ“. ამის შემდეგ, პირველსავე ღამეს, უფალი კოსტანტინეს სიზმარში გამოეცხადა იმავე ჯვარით, რომელიც წინადღეს იხილეს ზეცაზედ. იესო ქრისტემ უბრძანა ხელმწიფეს აღემართა დროშა, მსგავსი ცათა შინა ხილულის ჯვრისა და ყოველთვის, მტერთან ბრძოლის დროს, წინ წაემძღვარა. მეორე დღესვე კოსტანტინემ დაიბარა დახელოვნებულნი კაცნი და გააკეთებინა დროშა, მსგავსი ცათა შინა გამოცხადებულის ჯვრისა.

დროშა გააკეთეს ხისაგან, ჯვარის სახით და ოქრო გადაკრული. დროშის თავზედ გაემაგრებინათ ოქროსივე გვირგვინი, ძვირფას ქვებით შემკული და ქრისტეს სახელის დასაწყის ასოებით გადახლართული. ჯვარზედ ეკიდა ბრწყინვალე ოქრო-ქსოვილი და ძვირფას ქვებით შემკული აბრეშუმეული. იმაზედვე გამოხატული იყო სახე იმპერატორისა და მისის ვაჟებისა. ამ დროშის მტვირთველად მეფემ დანიშნა 50 კაცი, განთქმულნი ვაშკაცობითა და ღვთის-მოყვარეობით. ესენი იცავდენ დროშას და რიგ-რიგობით დაჰქონდათ წინაშე ლაშქრისა ბრძოლის დროს.

ქრისტიანენი აღივსნენ სიხარულითა. ყოვლის მხრიდგან შეიკრიბნენ მისაშველებლად ღვთის-მოყვარე ხელმწიფისა. კოსტანტინემ წაიმძღვარა დროშა და იერიში მიიტანა მაქსენტიზედ. რომის კარებზედ დამარცხდა მაქსენტი, გაიქცა და ლტოლვის დროს, მდ. ტიბრის ხიდზედ რომ გადიოდა, ხიდი ჩაუტყდა, ჩავარდა წყალში და დაიხრჩო. დამორჩილებულ მოქალაქეთ რომში კოსტანტინეს დაუდგეს ძეგლი, რომელზედაც გამოაქანდაკეს თვით მეფე, ხელში ჯვარ-ჭერილი; ძეგლს, მეფის ბრძანებით, წარაწერეს: „ამ ძლევა-მოსილის ჯვარით რომი განთავისუფლებულ იქმნა წამების უღლისაგან“. კოსტანტინემ გამოსცა ბრძანება ყოველთა სარწმუნოებათა თავისუფლად

აღვიარების შესახებ. ეს იყო 312 წელს. მეორე წელიწადს კიდევ ახალი განკარგულება გამოვიდა. მასში მოხსენებულიყო, რომ ყველას თავისუფლად შეუძლიან აღიაროს ის რჯული, რომელიც ყველაზე უკეთესად მიაჩნიათ. ქოსტანტინე ყოველ სარწმუნოებას მეგობრულად ეკიდებოდა: დაახლოებული ჰყვანდა ქრისტიანენი და ამავე დროს არ სდევნიდა წარმართთაც. ქრისტიანებს ნება დართო, რომ აღედგინათ დანგრეულნი ტაძარნი და იმავე დროს ხელ-უხლებლად დასტოვა წარმართთა სალოცავნიც. ასრე იყო ლიკინიის დამარცხებამდე და ქოსტანტინეს თვით-მპყრობელ იმპერატორად გახდომამდე (323 წ.).

რომის იმპერიას ორნი იმპერატორნი განაგებდნენ: ქოსტანტინე და ლიკინი. ერთი მათგან ჰმართავდა აღმოსავლეთის მხარეს, მეორე დასავლეთისას. ლიკინი მფარველობდა წარმართობასა და ქოსტანტინე-კი ქრისტიანობას. 314 წ. მათ შორის ჩამოვარდა უთანხმოება და ასტყდა ომი. ლიკინი დამარცხდა. დაიდვა ზავი, რომლის ძალით ლიკინიმ ქოსტანტინეს დაუთმო უმეტესი ნაწილი თვის ევროპაში მყოფ სამფლობელოსი. თვისი დამარცხება ლიკინიმ ქრისტიანებს მიაწერა და დაუწყო მათ დევნა. ნიკომიდიისა და სხვა ქალაქებში ქრისტიანეთ აღუკრძალა ღვთის-მსახურება. ზოგიერთგან დახურა და დაანგრია ტაძარნი, რადგან მათში ლოცულობდენ დღეგრძელობისთვის ქოსტანტინესი და არა მისი. მის მოხელეებმა, დაინახეს-რა ასრეთი მტრობა იმპერატორისა ქრისტიანეთა მიმართ, თვის-მიერ რწმუნებულს ქვეყნებში ქრისტიანებს დევნა დაუწყეს და ხელ-ახლა რუებრ ადინეს სისხლი მართალთა. ეწამნენ სებასტიის ეპისკოპოსი ვლასი და 40-ნი სხვანი. ვლასს ტანი ჯერ რკინის სავარცხლით ჩამოვარცხნეს და მერმე დახრმალეს. 40-ნი მოწამენი ყველანი მხედარ-

ნი იყვნენ. იგინი განაშიშვლეს და ისრე მთელი ლამე გაათევებინეს გაყინულს ტბაზედ. ამ ნაირმა ტანჯვამ ვერ შეარყია სარწმუნოება მათი. მაშინ დახოცეს 40-ნივე.

კოსტანტინემ ვეღარ მოითმინა და ქრისტიანებს მოსარჩლეობა გაუწია. ისევ ომი ასტყდა, რომელსაც უფრო სარწმუნოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, მინამ პოლიტიკური. ლიკინის უნდოდა აღედგინა ძველი რჯული, კოსტანტინეს-კი ჰსურდა მთელს იმპერიაში გაევრცელებინა ქრისტიანობა. ომის წინად ერთი საღმთოს უკლავდა კერპებსა, მეორე-კი გულმოდგინედ სთხოვდა შემწეობას ჯვარ-ცმულსა, და მხედრობის ალმებზედ აკრავდა ჯვრებსა. ასტყდა ბრძოლა. სრულიად დამარცხდა ლიკინი. კოსტანტინემ ლიკინი დაამხო, ხოლო ქრისტიანობამ წარმართობა.

ამის შემდეგ თვით-მყრობელი იმპერატორი ქრისტიანების უფრო გამბედავი მოსარჩლე შეიქმნა. წარმართების ზოგი-ერთი ტაძარი ეკლესიად აქცია, ზოგნი-კი დაანგრია. მოხელეებს აღუკრძალა კერპებისთვის შესაწირავის მიტანა. ჯვარცმით დასჯა გააუქმა. რომაელნი უკმაყოფილონი იყვნენ, რომ კოსტანტინემ თავათაც მიიღო ქრისტიანობა და ქვეშევრდომთა გაქრისტიანებაც სწადდა. რომაელებს წარმართად დაშთენა უნდოდათ. ამის გამო კოსტანტინე გამოერიდათ. დასტოვა რომი და წამოვიდა აღმოსავლეთისაკენ ახალ სატახტო ქალაქის დასაარსებლად. მშვენიერი ადგილიც ამოირჩია: ძველი ბიზანტია, მდებარე ზღვის პირზედ, იქ, საცა შავი ზღვა მცირე სრუტეთი უერთდება მარმარილოს ზღვას.

ბიზანტიას კოსტანტინემ შემოავლო გალავანი ზღვიდამ ზღვამდე. აშენეს მრავალნი შენობანი და სახელმწიფო სასახლე რომის კაპიტოლიის ოდენი. წარმართთა ტაძარნი ქრისტიანეთა ტაძრებად გადააკეთეს და ახლებიც ააშენეს. კოსტანტინესი და ელენეს ანდალმები (ძეგ-

ლები) ჯვრებით იყო გამოქანდაკებული. Oვის სასახლის ყველაზე უკეთეს ოთახის ჭერში მეფემ მიაკვრევინა ოქროს ჯვარი, ძვირფასის თვლებით შემკული. Aხალ სატახტო ქალაქის მცხოვრებთ მიენიჭათ ისეთივე უფლებანი, როგორც რომისას. Lარიბებს ურიგებდენ ღვინოსა, პურსა და ზეთს უფასოდ. Aხალს სატახტო ქალაქს ხალხმა უწოდა ქოსტანტინოპოლი, ესე იგი ქალაქი ქოსტანტინესი.

Aმგვარად ქოსტანტინემ დიდი სარგებლობა მოუტანა ქრისტიანებსა და ეკკლესიას. ქვირა დღის უქმობა პირველად მან შემოიღო. Aღაშენა ყველგან მრავალნი ეკკლესიანი და მათ შესანახავად გადასდო ფული ქალაქების შემოსავლიდამ. Eკკლესიანი განათავისუფლა ყოველგვარ ხარჯისაგან. Sადავო საქმის გარჩევის უფლება, თუ ორივე მხარე მოინდომებდა, ეპისკოპოსებს მიანიჭა. ქოსტახტინეს სურვილისამებრ მისმა დედამ, Lვთის-ნიერ Eლენემ, მიმოვლო პალესტინა, იპოვნა ის ჯვარი, რომელზედაც ჯვარს-ეცვა მაცხოვარი და ქრისტეს საფლავის ადგილზედ აღმართა მშვენიერი ტაძარი საოხად ქრისტეს აღდგომისა. Aღაშენა ტაძარნი აგრეთგე ბეთლემში, ნაზარეთში, ქანას გალილიისას და თაბორის მთაზედ.

ქოსტანტინე გარდაიცვალა ნიკომიდიაში 337 წელს, 65 წლისა. Sიკვდილის ექვსის დღის წინად თვით მეფემაც ნათელიღო ნიკომიდიის ეპისკოპოსის Eვსევისაგან. Eლენეცა და ქოსტანტინეც ეკკლესიამ შერაცხა წმიდათა შორის.

§ 14. იულიანესაგან ქრისტიანების დევნა და წარმართობის დამხობა.

ტახტზე ასვლისავე უმალ იულიანე წარმართებს მიემხრო. მისის ბრძანებით წარმართებმა კვლავ გახსნეს ტაძარნი, ააშენეს აგრეთვე ახალნიც. ჭურუმთაც ხელ-ახლა მიიღეს თვისნი უფლებანი. იულიანემ წარმართებს ნება დართო ეთხოვნათ ყველაფერი, რასაც-კი მოისურვებდნენ. იმპერატორი კერპების გულმოდგინე მსახური შეიქმნა. თავი თვისი დასახა უპირველესს ჭურუმად და მფარველად აპოლონის ტაძრისა. მისი ბალი სალოცავებით გაივსო. ამ სალოცავებს ყოველ დღე მსხვერპლს სწირავდა. მის სასახლეში იდგა მზის სალოცავი. აქ იულიანე საღმთოს სწირავდა ყოველ დღე, მზის ამოსვლა-ჩასვლის დროს. იგი ხშირად დაიარებოდა ტაძრებში და თვისის ხელით ჰხოცავდა საღმთო პირუტყვებსა. ხალხში კერპთადმი სიყვარულის განსაღვიძებლად ხშირად დაიჩოქებდა ხოლმე კერპების წინაშე და ეეედრებოდა მათ. ქრისტიანებს ზიზღით უყურებდა და „გალილეველებს“ უწოდებდა. ქრისტიანების სახელის გასატეხად და ქრისტეს წინასწარ-მეტყველების საწინააღმდეგოდ, მან დაიწყო იერუსალიმის ტაძრის განახლება. მრავალი შრომა და ფული მოახმარეს ამ საქმეს, მაგრამ ამაოდ. წარმართთა მწერლის ამმიანე მარცელინის მოწმობით სჩანს, რომ რამდენჯერაც ჩაჰკარეს საძირკველი ტაძრისა, იმდენჯერ მიწიდგან ამოიხეთქა ცეცხლმა და დასწვა მაშენებლნი. ასე რომ კალატოზებმა ძალა-უნებურად დაანებეს თავი ამაო შრომას. ტაძარი განუახლებელი დარჩა. ამ შემთხვევამ იულიანე უფრო გააბოროტა. ეველა ეკკლესიებსა და სამღვდელოებას შეუმცირა ულუფა, მათთვის განწესებული კოსტანტინესაგან, ქრისტიანებს მეცნიერების შესწავლა აუკრძალა, ქრისტიანეთა მასწავლებლებს.

კი—სწავლა-მოძღვრება. სპარსელებთან ამტყდარ ომის წინად, იულიანემ თავის ღმერთები დაიფიცა, რომ, თუ გაიმარჯვებდა, მათ მსხვერპლად შესწირავდა ყველა ქრისტიანებს. მაგრამ არ აღუსრულდა ესრეთი ბოროტი განზრახვა: ისარმა გაჰგმირა მისი გული. სულის აღმოსვლის ჟამს ბოროტმა წარმოსთქვა: „გალილეველო! შენ მძლიე“.

იულიანეს მეცადინეობა წარმართობის აღსადგინებლად ამაო შეიქმნა: მისმა მოადგილემ იოვინიანმა ტახტზე ასვლისავე უმალ გააუქმა ყველა ოქმნი, წინააღმდეგ ქრისტიანეთა გამოცემულნი იულიანესგან.

იმპერატორმა გრაციანემ და მის თანაშემწე თეოდოსი I-მა აგრეთვე დაიწყეს წარმართობის დამცირება. ტახტზე ასვლისავე ჟამს გრაციანემ არ მიიღო სხვა-და-სხვა ნიშანნი წარმართობის მღვდელ-მთავრობისანი, სენატის სასახლიდამ გაატანინა „ძღვევის სამსხვერპლო“, ბრძანა გამოეხვათ წარმართთა სამლოცველოების ქონება და ქურუმნი და ვესტალკნი (დაუშრეტელი ცეცხლის მსახურნი ქალნი) გადაეყენებინათ. 381 წ. მან თეოდოსისთან ერთად გამოსცა განკარგულება, რომლის ძალით, სიკვდილის დაქადებით, აღკრძალულ იქმნა კერპთათვის მსხვერპლის შეწირვა. როცა გრაციანე მოკლულ იქმნა და ტახტზე აღვიდა ძმა მისი ვალენტინიანე, რომის პრეფექტ სიმმახმა სთხოვა მას ძღვევის სამსხვერპლო მაინც აღედგინა. ამავე თხოვნით წარმართების სენატორებმა ოთხჯერ გაუგზავნეს იმპერატორს მოციქულნი. მაგრამ ვალენტინიანემ, მედიოლანის ეპისკოპოსის, წმ. ამბროსის შთაგონებით, მოციქულნი არ მიიღო და სიმმახის თხოვნა არ შეიწყნარა. საუბედუროდ, ევგენიმ მოჰკლა ვალენტინიანე, აღვიდა ტახტზედ და წარმართებს სურვილი შეუსრულა: „ძღვევის სამსხვერპლო“ დასდგა სენატის პალატში. სასიხარულოდ ქრისტიანეთა, თეოდოსი დიდმა სძლია ევგენის და ბრძანა

ძლევის სამსხვერპლო სენატის პალატიდამ გაეტანათ. თეოდოსიმ თვისის ძლევა-მოსილობით რომაელთ საუკუნოდ დაუკარგა წარმართობის აღდგენის იმედი. თეოდოსის წყალობით აღმოსავლეთის ქვეყნებშიაც ანგრევდნენ წარმართთა ტაძრებსა. ალექსანდრიაში წარმართნი სცდილობდენ დაეცვათ ტაძარი სერაპისა, მაგრამ ეპისკოპოს თეოფილემ სძლია მათ და ძველი ტაძარი სერაპისა დაანგრევინა. 391 წელს თეოდოსიმ კერპთაყვანის-მცემლობა დანაშაულობად აღიარა.

თეოდოსი დიდის მოადგილე არკადი დიდის გულ-მოდგინებით შეუდგა წარმართობის ფესვის აღმოფხვრას. მის ნება-დართვით, ყველგან და ყოველ-მხრივ მუსრავდნენ კერპებს. ზნეობითი ძალა წარმართობისა ჰსუფევდა მარტო ათინის სკოლაში და ის სკოლაც იუსტინიანემ გააუქმა და წარმართების ყველა ფილოსოფოსნი განდევნა იმპერიიდამ. ეს იყო სიკვდილის ჟამი წარმართობისა იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში. დასავლეთი მხრის იმპერატორნი ასრე გულ-მოდგინედ არ ებრძოდნენ წარმართობასა. რისგამო უდიერმა ამა სარწმუნოებამ დასავლეთში გასტანა მე VII-დე საუკუნემდე და მხოლოდ მაშინ დაიმხო აქაც საუკუნოდ.

§ 15. მოკლე ცნობანი შესახებ ქრისტიანობის გავრცელებისა მე-IV საუკუნიდგან მე-IX საუკუნემდე.

დამკვიდრდა-რა ქრისტიანობა რომის იმპერიაში, იქიდგან სწრაფად გავრცელდა სხვა ქვეყნებსა და ხალხებშიაც—აზიასა, აფრიკასა და მეროპაში.

აზიაში ქრისტიანობა, სხვათა შორის, მიიღეს ქართველებმა და სომხებმა. ქართველნი 318 წ. მოაქცია წმ. ნინომ მეფე მირიანის დროს. მირიანმა კოსტანტინე დიდს

გამოსთხოვა მღვდელნი და ეპისკოპოსნი და მთელის ხალხით ნათელ-იღო მცხეთას და აღაშენა მრავალნი ეკკლესიატაძარნი*. სომეხნი მონათლა მეოთხე საუკ. წმ. გრიგორიმ და აღაშენა მრავალნი ეკკლესიანი და სკოლანი.

ა ფ რ ი კ ა შ ი ქრისტიანობა გაავრცელა ორმა ყრმამ— ფრუმენტიმა და ედეზიმ, ესენი დაატყვევეს აბისინელებმა (აბაშელთ). ტყვეობაში მყოფობის დროს მათ თვისის ქადაგებით 327 წ. დააარსეს ეკკლესია აბისინიაში. აქედგან შემდეგში ქრისტიანობა გავრცელდა ნუბიასა და ეთიოპიაში.

ე ვ რ ო პ ა შ ი ქრისტიანობა გავრცელდა გუთებსა და გერმანიის ტომ შორის.

გუთებმა მესამე საუკუნეში მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება—ტყვე ქრისტიანეთაგან. 360 წ. მათმა ეპისკოპოს ულფილამ შეადგინა გუთური ანბანი და გუთურს ენაზე გადათარგმნა დაბადება. სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზთა გამო გუთთა ტომთ (ვესტგუთთა, ოსტგუთთა, სვევთა, ვანდალთა, ბურგუნდთა და ლონგობარდთ) შორის გავრცელდა არიოზის მწვალებლობა (არიოზის მწვალებლობაზედ ცნობანი იხილე ქვემოდ). ვანდალთა დაიმორჩილეს კართაგენის ქვეყანა და საშინელი დევნა აღმართეს მართლ-მადიდებელ ქრისტიანებზე. ესრეთი დევნა არ შესწყდა ამ სამეფოს ველისარის-მიერ დაპყრობამდე (533 წ.). შემდეგს საუკუნეში მთელი ჩრდილოეთი აფრიკა და კართაგენის მხარეც დაიმორჩილეს მაჰმადიანებმა, რომელთაც გაავრცელეს აქაურობაში თვისი სარწმუნოება. ქრისტიანობა, რომელიც ტერტულიანისა, წმ. კვიპრიანისა და ავგუსტინის დროს ბრწყინავდა, სრულიად აღმოიფ-

* დაწვრილებითნი ცნობანი ქართველთ მოქცევასა და ქრისტიანობის დამკვიდრებაზედ საქართველოში მოიპოვება ჩვენ-მიერ შედგ. წიგნში—„საქართველოს საეკკლესიო ისტორია“.

ხერა, ოსტ-გუთნი არიოზის მწვალებლობას აღიარებდნენ იმ დრომდე, ვიდრე ველისარი დაიპყრობდა მათს სამეფოს (553 წ.). ვესტ-გუთებმა ტოლედის კრების შემდეგ (589 წ.) უარჰყვეს არიოზის სწავლა და მართლ-მადიდებელ ეკკლესიას შეუერთდნენ მეფე რეკარდეს დროს. ამათზე ადრე მართლ-მადიდებლობა მიიღეს სვევთა და ბურგუნდთ. 671 წელს კი ლონგობარდთაც.

ბალლიაში უკვე არსებობდა ქრისტიანობა. ამ ქვეყანაში, მეხუთე საუკუნეს, შემოვიდნენ ახალნი ხალხნი—ბურგუნდელნი და ფრანკნი. პირველთ სწამდათ არიოზის სწავლა, მეორენი წარმართნი იყვნენ. ბურგუნდთ მეფის ასულმა ქლოტილდა მიეთხოვა ფრანკთ მეფეს ქლოდვიგს. დედოფალმა თვის სასახლეში დააწესა ქრისტიანული ღვთის-მსახურება. დანათლა თვისნი შვილნი და განუწყვეტლივ სცდილობდა მოექცია თვისი წარმართი ქმარიც. 496 წ. ამანაც მიიღო ქრისტიანობა და რეიმის ეპისკოპოსის წმ. რემიგიასაგან მოინათლა თვისი ხალხით, 517 წ. ვიენის ეპისკოპოსის ავიტას შთაგონებით ბურგუნდთაც დასტოვეს არიოზის სწავლა და კათოლიკეთა ეკკლესიას შეუერთდნენ.

ბრიტანიაში ქრისტიანებრივი სწავლა აღმოფხვრილიყო წარმართ ინგლის-საქსთაგან. მხოლოდ კუნძულის დასავლეთ მხარეს-ვალისსა და ორნვალისში დაშთენილიყო კვალი ქრისტიანობისა. ამ ქვეყნებიდგან ქრისტიანობა ბრიტანელ პატრიკის მეცადინეობით გაბრწყინდა ირლანდიაში, საცა პატრიკმ შემოიღო ლიტერატურული ენა, საეკკლესიო გალობა; დააარსა მონასტერნი, სემინარიანი, სასულიერო სასწავლებელნი და საეპისკოპოსო კათედრა ქალაქ არმაში. მისი კურთხეული ღვაწლი დაგვირგვინდა დიდის წარმატებით. მის მიერ დაარსებულ სასწავლებელთ ბადალი არა ჰქონდა მთელს საქრისტიანოში. ირლანდიის ეკკლესიამ მიაღწია ისრეთ ბრწყინ-

ვ ლე მდგომარეობამდე, რომ ევროპაში ამ ქვეყანას უწოდეს „ კუნძული წმიდანებისა ".

შ ო ტ ლ ა ნ დ ი ა ს მეექვსე საუკუნეში ქრისტიანობა მოეფინა ირლანდიიდგან. ირლანდიელი ბერი კოლუმბანი 12 მონაზონით დაესახლა ზებრიდის ერთ კუნძულ გიზედ. აქ ააშენა მონასტერი (565 წ.) და თავის ქადაგებითა და ღვთისნიერ ცხოვრებით შესძლო მოქცევა შოტლანდიელთა.

ი ნ გ ლ ი ს შ ი ქრისტიანობა მოიტანეს რომიდგან. კენტის მეფემ ეტელ ბერტმა შეირთო ფრანკთა მეფის ასული ბერტა. ეს გიგო რომის პაპმა და 40 ბერი გაგზავნა მეფის მოსაქცევად. ძმათა მქადაგებელთა წინამძღვარ ავგუსტინმა დიდის მეცადინეობით ძლივს დაიყოლია ეტელ ბერტი და ორავალ ქვეშევრდომებთან ერთად მონათლა. ავგუსტინი გახდა კენტენბერის პირველ ეპისკოპოსად. მთელს ინგლისში-კი ქრისტიანობა გავრცელდა 70 წ. შემდეგ.

ბ ე რ მ ა ნ ი ი ს ქალაქებში: კელნსა, ტრირსა, მაინცსა, ვორმსსა, ბაზელსა, სტრასბურღსა და ლიუტიხში ქრისტიანეთა ეპისკოპოსნი მსხდარან მე-III-სა და მე-IV საუკუნეში. ირლანდიისა და ფრანკის მოძღვრებმა ქრისტიანობა გაავრცელეს თვით ბერმანიის ტომთ შორის. ამ მოძღვართ შორის შესანიშნავნი არიან: ვილლიბროდი, განმანათლებელი ფრიზებისა და წმ. ბონიფაცი, მოციქული ბერმანიისა. იგი დაიბადა ინგლისში 680 წელს. 715 წლიდამ მან უკვე დაიწყო მოღვაწეობა ბერმანიაში. 722 წელს ბესსენსა და ტურინგიაში მონათლა ორნი წარმართნი თავადნი და დააარსა მონასტერი. პაპმა აკურთხა იგი ეპისკოპოსად ბერმანიისა. ბონიფაციმ თავისივე ხელით მოჰკვეთა ვეისმარის საღმთო მუხა—დიდი სალოცავი წარმართთა და მოაქცია ყველა გესენელნი და ტურინგიელნი. ახლა უფრო ბეჯითად შეუდგა იგი ეკლესიების აშენებას. ყველა ამ ღვაწლისათვის პაპმა მიუბრძა მას მთავარ-

ეპისკოპოსობა მთელის ბერმანიისა. კათედრა ბონიფაცისა მდებარებდა მაინცში. მას ემორჩილებოდა 13 ეპისკოპოსი და ყველანი ერთად-კი რომის პაპს. მონასტრების დასაარსებლად ბონიფაციმ ბერნი გამოიწერა ინგლისიდამ. თვითონაც მთავარ-ეპისკოპოსობა დაულოცა თავის მოწაფეს ლულს და წავიდა ფრიზების ქვეყანაში საქადაგებლად ქრისტიანობისა. ხოლო ფრიზებმა იგი აწამეს.

საქსონელნი მოაქცია კარლოს დიდმა 30 წლის ბრძოლის შემდეგ.

სკანდინავის კუნძულელნი—ნორვეგელნი და შვედნი მოაქცია ანსგარიმ. ეს შესანიშნავი მოძღვარი აზნაური იყო. დაიბადა 801 წელს ფრანგთა ქ. ამიენის ახლოს. საქსონიაში რომ ქრისტიანობა შემოიღო კარლოსმა, მდ. ვეზერის ნაპირზე ქორვეში დააარსა მონასტერი და მასთან სასწავლებელიც. ამ მონასტრის წინამძღვრად დაინიშნა შესანიშნავი მქადაგებელი ანსგარი. 822 წ.—826 წლამდე ანსგარიმ დაჰყო ამ მონასტერში და ბევრი მწუხარება—ტანჯვანი გამოიარა. 826 წ. იგი დანიშნულ იქმნა მქადაგებელად დანიაში. აქ ანსგარიმ დაჰყო სამი წელიწადი. დანიელთა ყრმათ აღსაზრდელად დააარსა სასწავლებელი და მრავალი ხალხი მოაქცია. შემდეგ ამისა ანსგარი წავიდა სკანდინავს იმპერატორის ბრძანებისამებრ. ინახულა შვედიის მეფე ბიორნო, რომელმაც ნება დართო ესწავლებინა და ენათლა ხალხი. პირველი ეკკლესია დააარსა შვედიის მეფის მოხელის ბერიგარის მამულში. ბერიგარი თვითონაც მოინათლა და ბევრნი მისნი მემამულენიც. ეს გაიგო იმპერატორმა ლუდოვიკმა და საეპისკოპოსო კათედრა დააარსა ბამბურღში და მთავარ-ეპისკოპოსად დასვა ანსგარი. 1014--1035 წ. წ. ანსგარის-მიერ დანიაში დაარსებული ეკკლესია აღიარა კანუტ დიდმა. 1019 წ. ანსგარისაგანვე დადგენილი ეკკლესია შვეცია—ნორვეგიაში მეფე

ოლაფ წმიდამან ალარა თვის სამეფოში. ისლანდიამ, აღმოჩენილმა ნორმანელთაგან 861 წელს, 1000 წელს მიიღო ქრისტიანობა საქსონელთა და ნორვეგელ მქადაგებელთაგან. ისლანდიიდგან ქრისტიანობა მოეფინა იმავე წელს ახლად აღმოჩენილ ბრელანდიის კუნძულს.

სლავიან ერთა შორის ქრისტიანობა მეცხრე საუკუნეში გაავრცელეს ქირილემ და მეთოდიმ. მამა მათი იყო სალუნის მმართველი. ქირილე პატარაობიდგანვე კოსტანტინეპოლის სასახლეში იმპერატორ მიხეილ მე-III-სთან ერთად აღიზარდა და უმაღლესი განათლება მიიღო. თვის მდგომარეობით მას შეეძლო ესარგებლნა და დიდი ადგილი მიეღო სამსახურში, მაგრამ მან ეს არ მოინდომა. სასულიერო წოდება მიიღო, დაინიშნა ბიბლიოტეკრად და ფილოსოფიის მასწავლებლად.—შინაურ აღზრდა-განათლების მიღების შემდეგ მეთოდი სამხედრო სამსახურში შეეიდა და რამდენიმე წელიწადს იყო მმართველად ერთის ბერძენ-სლავიანთა მოსახლე ქვეყნისა. შემდეგ ამანაც დასტოვა საერო წოდება და ძმასთან ერთად წავიდა ოლიმპს, საცა მარხვასა და ლოცვაში დროს ატარებდნენ. 858 წელს ორთავენი იმპერატორმა ქრისტიანობის საქადაგებლად გაგზავნა ჭაზარეთში. აქედგან დაბრუნების შემდეგ ამავე მიზნით გაგზავნილ იქმნენ იგინი მორავიაში.

მორავიაში წასვლამდე ქირილე და მეთოდიმ შეადგინეს სლავიანური ანბანი, სლავიანურს ენაზე გადიღეს ახალი აღთქმის ზოგიერთი წიგნები: საწინასწარმეტყველო, დავითნი, ჭამნი, ქონდაკი, პარაკლიტონი, წესნი საიდუმლოთა შესრულებისა და ანდერძ-აგებისა. ამისთანა სახელ-მძღვანელოებით აღჭურვილებმა, მოვიდნენ-რა მორავიაში, დაადგინეს ღვთისმსახურება სლავიანურს ენაზე, დააარსეს სკოლანი და ხალხის მოძღვრება დაიწყეს ხალხისავე ენაზე. მორაველნი დიდის სიხარულით იღებდნენ ქრისტიანობას. მხოლოდ ახალი მქადა-

ბებლების- მისვლა მორავიაში, ქრისტიანობის გასავრცელებლად სლავიანთა შორის, არ მოსწონდათ და არ იამებოდათ არც ნემეცთა ეპისკოპოსებს და არც პაპს. პაპ ნიკოლოზმა ძირილე და მეთოდი რომს დაიბარა. იგინიც წმ. ძლიმენტოს ნაწილებით წავიდენ. ნიკოლოზი ცოცხალი არ დახვდათ. მის მაგიერ მქადაგებელნი სიყვარულით მიიღო პაპ ადრიანმ და მოიწონა მათ მიერ სლავიანურს ენაზე გადაღებული ღვთის-მსახურება. წმ. ძრილე რომშივე მონაზონებაში აღესრულა, ხოლო მეთოდი ისევ თავის სამწყოსს დაუბრუნდა. მორავიაში ხალხის ამბოხება მოჰხდა და ამისგამო მეთოდი იძულებული შეიქმნა თავის მოწაფეებით პანონიაში გაქცეულ იყო. ამ ქვეყნის მთავარ ბოცელმა სიყვარულით მიიღო მეთოდი, რომლისთვისაც პაპს გამოსთხოვა მთავარ-ეპისკოპოსობა პანონისა. ამისაგამო ნემეცთა სამღვდელოება განრისხდა და ბერმანიის იმპერატრიცა და მორავიის მთავარი სვიატოპოლკიც მეთოდს გადაემტერნენ. წმიდანი საპყრობილეში ჩასვეს. პაპი იოანე VIII-ე წაესარჩლა მას. თავ-გასულ ეპისკოპოსებს აღუკრძალა ღვთის-მსახურება, მეთოდეს-კი ისევ წინანდელი ღირსება დაუბრუნა და ამას გარდა, მორაველთა თხოვნისაგამო, მიუბოძა მთავარ-ეპისკოპოსობა მორავიისა. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ნემეცთა ეპისკოპოსებმა შეატყობინეს პაპს, რომ მეთოდი არ აღიარებს წმ. სულის გამოსვლას „და ძისაგანაც", არც პაპის უფლებას ემორჩილება და ამაზრით აერცელებს ღვთის-მსახურებას სლავიანურს ენაზე. პაპმა აღკრძალა ღვთის-მსახურება სლავიანურს ენაზე და მეთოდიც რომშიც გაიხმო. რომის კრებაზედ თავი იმართლა მეთოდიმ და ისევ თავის სამწყოსს დაუბრუნდა. მაშინ ნემეცნი შეუჩნდნენ მორავიის მთავარს სვიატოპოლკს და გადაჰკიდეს მეთოდის. მოციქულებრივ ტანჯვათა და შრომათა დათმენით აღესრულა წმიდანი 885 წელს, 6 აპრილს. მორავიის მთავარ-ეპისკოპოსი ისევ

რომის ტახტს დაემორჩილა. მაგრამ ეს ქვეყანა მალე დროში დაიპ-ყრეს ბოჰემელთა და ვენგერთ და ურთი-ერთ შორის გაინაწილეს. მორავიის საეპისკოპოსო გაუქმდა. ეს ქვეყანა პაპმა მიაწე-რა ჯერ პასავის საეპისკოპოსოსა და მერმე პრაგისას. მაგრამ 1062 წელს ისევ დაარსდა საეპისკოპოსო ქათედრა მორავიაში.

მორავიიდამ ქრისტიანობა შევიდა ბოჰემიაშიაც თვით მე-თოდის დროსვე. მეთოდიმ ბოჰემიის მთავარი ბორიევი ჯარი-თურთ მონათლა და ამ მთავრის შემწეობით გაავრცელა ქრი-სტიანობა ბოჰემიაში. აქედგან ქრისტიანობა მოეფინა პოლშას. პოლშის მთავარი მეჩისლავი მოინათლა 966 წელს, დააარსა პოზნანის საეპისკოპოსო და თვის ქვეყნის ქრისტიანობა და-უმორჩილა რომის პაპს.

წმ. კირილე და მეთოდის მიერ გაქრისტიანებულ სლა-ვიანთა ქვეყნები პაპთა მეცადინეობით დაემორჩილნენ რომის ტახტს და მათში გავრცელებული სლავიანური ღვთის-მსახუ-რება ლათინურზედ შეიცვალა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სლა-ვიანების განმანათლებელთა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. მათ მიერ მორავთათვის თარგმნილი საღმთო წერილი რუსებს დაშთათ და იგი თარგმანება რუსთა შორის სწრაფად ქრის-ტიანობის გავრცელების მიზეზად შეიქმნა.

რუსნი ვლადიმერის დრომდისაც უცნობნი არ იყვნენ ქრი-სტიანობისა. ჯერ ასკოლდისა და დირის დროს კიევში მოი-კიდა ფეხი ქრისტიანობამ. ასკოლდ და დირი თავის ჯარით რომ არბევდნენ კოსტანტინეპოლის აქეთ-მარეს და ძრიელ შეა-ჭირვეს ბერძენნი, მაშინ ეს უკანასკნელნი შეეეედრნენ ღმერ-თსა და შემწეობა სთხოვეს. პატრიარქმა ფოტიმ ვლაქერ-ნის ტაძარში დაცული სამოსელი ღვთის-მშობლისა ჩაასვენა ზღვაში, ასტყდა ქარიშხალი და შთანთქა რუსთა გემები. ამ გარემოებამ დიდი ზედ-მოქმედება იქონია ასკოლდსა და დირ-ზედ. კიევში დაბრუნებისავე უმალ მ თ მოციქულები გაგზავ-

ნეს კოსტანტინეპოლეს და ქრისტეს სარწმუნოების მოძღვარნი გამოითხოვეს. კიევში მოვიდა ბერძენთ ეპისკოპოსი. ამან წინაშე ხალხისა დაიწყო ქადაგება ქრისტეზედ და სასწაულებზე, რომელნიც ღმერთმა მოახდინა ძველს აღთქმაში, რუსებმა მოისმინეს მოძღვრება და მერმე უთხრეს: „თუ ჩვენ ჩვენის თვალით არ ვიხილეთ იმის მსგავსი, რაც სახმილში შეემთხვათ სამთა ყრმათ, არ ვირწმუნებთო. სახარება, რომელიც ხელში გიჭერია, ცეცხლში ჩააგდე და თუ არ დაიწვა, მაშინ მოვიქცევით ქრისტიანეთა ღმერთისადმიო". მაშინ ეპისკოპოსი შეევედრა ღმერთსა ამ სიტყვებით: „უფალო! ადიდენ სახელი შენი წინაშე ამ ხალხისა". წიგნი დასდო ცეცხლზე. სახარება უვნებლად დაშთა. თვით ბაბთაც (ლენტი), რომლითაც სახარება იყო შეკრული, არ დაიწვა. სასწაულით ზარ-დაცემულ რუსებმა ქრისტესადმი მოქცევა დაიწყეს (867 წელს).

დედოფალმა ოლგამ შეიყვარა უბიწო ცხოვრება კიევის ქრისტიანებისა, ამის გამო შეიყვარა თვით ქრისტიანებრივი სარწმუნოებაცა და გაქრისტიანება განიზრახა. ქრისტიანობის უკეთესად გასაცნობად დიდის ამალით წავიდა კოსტანტინეპოლეს, და ნათელ-იღო. მისი მოძღვარი იყო თვით პატრიარქი, იმპერატორი-კი მიმრქმელი და ნათლია. დაბრუნდა რუსეთში და მოიწადინა თავის შვილის მთავარ სვიატოსლავის მოქცევა, მაგრამ მან არ ისურვა და უარ-ჰყო ქრისტიანობა. ოლგას შვილის-შვილი ვლადიმერი-კი თვითონაც მოინათლა და მთელი ხალხიც განათლა (988 წ.)

თავი მეორე.

სწავლა ეკკლესიისა.

§ 1. საღმრთო წერილი.

ქრისტეს სწავლა დასაწყისში, ეკლესიის დადგინების დროს, ხალხში ვრცელდებოდა ზეპირ-გადმოცემითა და მოძღვრებით. შემდეგში-კი, რომ ქრისტეს სწავლა არ გაურყვნათ, წმიდა მოციქულებმა ქრისტეს-მიერ ყოველივე თამოძღვრე დასწერეს. ამნაწერებით შესდგა ახალი აღთქმა, რომელიც შეიცავს 27 წიგნს. ესენი ეს წიგნები დაიწერა პირველ საუკუნის განმავლობაში — სხვა-და-სხვა ადგილასა და სხვა-და-სხვა პირთაგან. ოთხი წიგნი — სახარება წარმოგვიდგენს ქრისტეს ცხოვრებასა, სწავლასა და ეკკლესიის დაფუძნებას. წმიდა წიგნების მწერალნი ესენი:

ა) მათე. ეს არის ერთი ათორმეტთა მოციქულთაგანი. იგი სახარების წერას ყველაზე ადრე შეუდგა, ათანასეს მოწმობით, ქრისტეს ამაღლების რვა წლის შემდგომ. სახარება შესდგება ოთხის თავისაგან, რისგამო ქართველები ამ წიგნს ოთხ-თავსაც უწოდებენ. მათესაგან დაწერილია პირველი თავი, რომლის დასაწყისში მოყვანილია იესო ქრისტეს შთამომავლობის ხე, ანუ კიბე.

ბ) მ ა რ კ ო ზ ი. ეს მახარობელი არის პეტრეს თანამგზავრი და აგრეთვე პავლესი და ბარნაბასი. აქამდის არ იციან, თუ მარკოზმა სად დასწერა თვისი სახარება. მესე

რომელთაგან მარტო პავლე მოციქულს ეკუთვნის თოთხმეტი. ყველა ეს წმიდა წიგნები ანუ ახალი აღთქმა დამთავრდება იოანე მოციქულის გამოცხადებით.

შ ე ნ ი შ ნ ვ ა. ამ წიგნებ გარდა მოციქულებს კიდევ მიაწერენ სარწმუნოების სიმბოლოს შედგენას. ამ სიმ-ბოლოს ჰქვიან „სამოციქულო სიმბოლო". იგი იკითხება ასრე; ა) მრწამს მამა ღმერთი ყოვლად შემძლებელი; ბ) შემოქმედი ცათა და ქვეყანისა; გ) და მრწამს იესო ქრისტე, ძე მისი, მხოლოდ შობილი, უფალი ჩვენი; დ) რომელი სულისაგან წმიდისა გარდამოხდა და მარიამ მისაგან იშვა; ე) პონტოელის პილატეს ზე ჯვარს-ეცვა, ივნო და დაეფლა; ვ) შთავიდა ჯოჯოხეთად და მესამესა დღესა აღსდგა მკვდრეთით; ზ) ამაღლდა ზეცად და მჯ-დომარე არს მარჯვენით მამისა ყოვლად შემძლებელისა; ჰ) იქითგან გარდამოვა განსჯად ცხოველთა და მკვდარ-თა; თ) და მრწამს სული წმიდა და წმიდა სამოციქულო ეკკლესია; ი) წმიდა ზიარება; მოტევება ცოდვათა; ია) აღდგომა მკვდართა; იბ) ცხოვრება საუკუნო. ამინ.

ყველა ეს წიგნნი პირველად კერძო კუთვნილებას შეად-გენდნენ, ესე იგი იმ ეკკლესიებისას, რომელთა მიმართ მიწე-რილ და წარგზავნილ იყვნენ. ხოლო მეორე საუკ. დასაწ-ყისს-კი, როდესაც ყველა ეკკლესიანი მჭიდროდ შეკავშირ-დნენ, საერთონი შეიქმნენ ყველა ქრისტიანეთათვის. მთელ კრებულს ამ წიგნებისას დაერქვა „წიგნნი ახალის აღთქმისანი". ამავე საუკუნეს ბერძნულის ენიდამ,—რომელზედაც უმეტესი ნაწილი ამ წიგნებისა დაწერილ იყო,—ახალი აღთქმა გადა-ღებულ იქმნა ლათინურსა და სირიულს ენებზედ*. რომელი

* სახარებისა და წმ. წიგნების ქართულს ენაზე გადმოღების შესახებ ცნობანი იხ. „საქართ. საეკკლესიო ისტორიაში"

მოარწმუნენიც ამ თარგმანებითა ანუ ბერძნულის დედნით ვერ სარგებლობდენ, იგინი გზას (იოლად) მიდიოდნენ მოციქულთა გარდმოცემის ზეპირ-სწავლით. საღმრთო გარდმოცემა უმთავრესად არის სარწმუნოების მოკლედ აღვიარება, სიმბოლოს სახით.

§ 2. მოციქულების მოადგილეების ნაწერი.

მოციქულების შემდეგ, რაოდენიმე ხნის განმავლობაში, მათ მიერ გარდმოცემულის სწავლის მცველ-მაუწყებელნი იყვნენ მოციქულებრივნი კაცნი. მოციქულთა-მიერ გარდმოცემულის უმეტესი ნაწილი მათ აღწერერეს. ამიტომაც მათი ნაწერები მოციქულების გარდმოცემათა ჭეშმარიტ საუნჯედ და წმინდა წყაროდ ითვლება. ამ მოციქულებრივ პირთ ეკუთვნიან:

ა) ბ ა რ ნ ა ბ ა, ერთი 70-თთა მოწაფეთაგანი ქრისტესი და თანამშრომელი მოციქულის პავლესი. ამან თავი თვისი ქრისტეს სწავლის ქადაგება-ხარებას შესწირა. იგი მოღვაწეობდა კუნძულს ქვიპრეზედ. ბარნაბამ დაგვიტოვა ერთი ეპისტოლე, სწავლა-მოძღვრებით აღსავსე; ბ) ე რ მ ა აგრეთვე იყო ერთი სამოც-და-ათთაგნი, ძველის გარდმოცემით, ეპისკოპოსი ფილიპეპოლისა. ამან დასწერა წიგნი „მწყემსი", აღსავსე საიდუმლო სახილველებითა და ცხება-იგავებითა; გ) კ ლ ი მ ე ნ ტ ო ს ი, რომის პირველ ეპისკოპოსთაგანი, რომელიც ბევრ მოციქულებთან ერთად ჰქადაგებდა და ეწამა მოციქულ პავლესთან ერთად. ამან დაგვიტოვა ორი ეპისტოლე ქორინთის ეკკლესიის მიმართ; დ) დ ი ო ნ ო ს ი, არეოპაგის შესაკრებელის წევრად ყოფილი, შემდეგში მოწაფე პავლესი და პირველი ეპისკოპოსი ათინისა. ბარდმოცემის თქმით, იგი სახარების საქადაგებლად

წასულა ბალლიაში, და იქვე წამებულა. მის დაწერილებად მიაჩნიათ 12 წერილი და სხვა თხზულებანი, რომლებშიაც განმარტებულია ცისა და ეკკლესიის იერარქია (სალმრთო მთავრობა), ღვთიური სახელები, ღვთის-მეტყველების საიდუმლოება; 8) ᲘᲒᲜᲐᲢᲔ, მოწაფე Ioانე მოციქულისა, მოციქულთა მიერვე ხელ-დასხმული ანტიოქიის ეპისკოპოსად. ღვთის სიყვარულისაგამო იგი ტროიანეს ბრძანებით მიუგდეს ლომებს და დააგლეჯინეს. აზიისა და რომის ეკკლესიებს და აგრეთვე წმ. პოლიკარპეს მან წარუგზავნა შვიდი ეპისტოლე; 9) ᲠᲝᲚᲘᲙᲐᲠᲞᲔ, ეპისკოპოსი ზმირინისა და მოწაფე მოციქულის Ioانესი, ქრისტეს სახელისათვის წამებული იმპერატორის მარკ ᲐᲕᲠᲔᲚᲘᲐᲜᲔᲡ დროს. მის მრავალ ეპისტოლეთა შორის, რომელნიც სხვა-და-სხვა ეკკლესიებს წარუგზავნა, დაშთენილია მხოლოდ ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ.

§ 3. დასავლეთ-აღმოსავლეთის ეკკლესიათა მამანი და მოძღვარნი.

მწერლობითი მოღვაწეობა მამათა და მოძღვართა მეორესა და მესამე საუკუნოებში დამოკიდებული იყო მაშინდელ დრო-ჟამის ვითარებასა და გარემოებაზედ. ქრისტიანებზე ცუდი ხმები დადიოდა ხალხში. ამ ხმებს ავრცელებდნენ წარმართთა მწერალნი, მაგ. Celsus და Porfirio; საჭირო იყო ამ გვარ ხმებისა და ცრუ ბრალდებათა დარღვევა და ქრისტიანების დაცვა. ქრისტიანებისა და ქრისტიანობის დამცველთ შორის შესანიშნავნი არიან: წმ. Iუსტინე მოწამე, Athinagori, Tertullianი და Origenი. შინაარსი ყველა apologiaთა (დაცვათა) არის შემდეგი: Ა) ქრისტიანებისათვის შეწამებულ ცილისწამებათა დარღვევა, ვითარნიც არიან: ულვთოება და სხვა დანაშაულობანი; ქრისტიანთათვის მართლ-მსაჯულების გამოთ-

ხოვა; დაცვა ქრისტიანობისა, მის შინაგან ჭეშმარიტების ახსნა ჩვენებით; დამტკიცება მისი, რომ ქრისტიანების ცხოვრება და ყოფა-ქცევა არის ღვთის-ნიერი, წმინდა და ქრისტიანებრივ ჭეშ-მარიტებათა შესაფერი; განმარტვა იმისი, რომ ქრისტიანობის ჭეშმარიტებას ჰმოწმობენ სასწაულნი და წინასწარმეტყველებანი და იგი ეთანხმება ძველი დროის ფილოსოფოსთა თქმულსა და მოლოდებას. ბ) წარმართობას ჰხატვენ იმ-ისანა რჯულად, რომელიც კაცობრიობის საღს ჭკუასა და გონიერებას ეწი-ნააღმდეგება და აღნიშნავენ კაცის გონიერებასთან მოუთავსე-ბელ და გარეგნილ წეს-ჩვეულებათა და აგრეთვე ზნეობის და-ცემულობასა მთელს საწარმართო ქვეყანაში.

Ცილის-წამებისაგან დაცვის გარდა, ეკლესიის მამანი და მოძღვარნი იძულებულნი იყვნენ ებრძოლნათ თვით ქრისტია-ნეთა საზოგადოებაში გაჩენილ ცთომილებათა წინააღმდეგ. ამ ცთომილების გავრცელებას ხელს-უწყობდნენ ის ურიანი და წარ-მართთაგანნი, რომელნიც გაქრისტიანების შემდეგ იმდენ თავ-განწირულებას ვერ იჩენდნენ, რომ სრულად უარ ეყოთ თვისნი წინანდელნი რწმენანი; პირიქით, ჰსურდათ ესრეთნი რწმენა-შეხედულებანი ქრისტიანობასთან მოეთავსებინათ. მათ შეითვისეს ხნვა-და-ხვა მიმართულებანი და თვის თანა-მოაზრეთაგან შეა-დგინეს განსაკუთრებულნი სკოლანი. მაგრამ მათ მიერ აღიარე-ბული სწავლა ქრისტიანობას რყვნიდა და მათი სკოლანი საე-რეტიკო მწვალებლობას ჰქადაგებდნენ. ამ ნაირი მწვალებლობა სამი იყო: ა) წვალება ურიებრივი. იგი ქრისტეს სარწ-მუნოებასთან ერთად აღვიარებდა მოსეს რჯულსაც; ბ) წვა-ლება გნოსისთა, რომელსაც, აღმოსავლეთის სარწმუნოე-ბისა და საბერძნეთის ფილოსოფიასთან საზარების შეკავშირე-ბით, ჰსურდა დაეარსებინა ახალი სარწმუნოებრივ-ფილოსო-ფიური სწავლა: გ) წვალება მონარქიანთა, რომელსაც ბერძენთა ფილოსოფიის შემწეობით ქრისტეს სარწმუნების

უმაღლესნი საიდუმლონი უნდოდა შეეთანხმებინა ადამიანის მოკლე ჭკუის და მარტივ გონების შემეცნებასთან.

ამისთანა ცთომილებებმა მამანი და მოძღვარნი მეორესა და მესამე საუკუნოებში იძულებულ-ჰყო წინანდელზედ უფრო ვრცლად განემარტათ ჭეშმარიტი სწავლა ქრისტესი; და რადგან მწვალებელნი, თავის აზრის დასამტკიცებლად, ხშირად განგებ რყვნიდენ საღმრთო წიგნების დედა აზრსა და აგრეთვე თავათაც არდგენდენ ყალბს საღმრთო წიგნებსა, ამის გამო მწყემსთ იზრუნეს იმისთვისაც, რომ საყოველთაო ცნობაში მოეყვანათ საღმრთო წერილის ყველა კანონიერნი წიგნნი, განემარტათ და გაეჩხრიკათ იგინი. ამისთანა მამათა და მოძღვართ შორის შესანიშნავნი არიან:

ა) წმ. ირინე, პოლიკარპეს მოწაფე. იგი თვისის მრევლით მცირე-აზიიდგან გადასახლდა გალლიაში (177 წ.) და აქ, პოთინეს სიკვდილის შემდეგ, აღვიდა ლიონის საეპისკოპოსო კათედრაზე; ბ) ტერტულიანე, მოძღვარი ქართაგენისა და ქრისტიანეთაგან პირველი მწერალი ლათინურს ენაზე. იგი განთქმული იყო თვისის მეცნიერებითა, გულმოდგინეობა-ღვთისნიერებით და დიდის სიყვარულით ქრისტეს სარწმუნოებისადმი; გ) წმ. კვიპრიანე, ეპისკოპოსი ქართაგენისა, წამებული ქრისტესთვის ვალერიანეს დროს (258 წ.); დ) პანთენი, ე) კლიმენტოსი და ვ) ორიგენი: ამათ სამთავემ თვისის სწავლით ალექსანდრიის საკათაკმეველო სკოლა აღიყვანეს უმაღლეს ხარისხამდე. მათ ჰსურდათ ეკკლესიისათვის მოემზადებინათ განათლებულნი და ღირსეულნი მწყემსნი. პანთენმა არა დასწერა-რა. იგი უფრო ცნობილია თვისის ნამოწაფარის კლიმენტოს ალექსანდრიელისაგან. უმეტესი ნაწილი თვისის ცხოვრებისა კლიმენტოსმა წარმართობაში გაატარა; შეისწავლა ფილოსოფია და მთელი მაშინდელი დროის მეცნიერება ზედ-მიწევნით იცოდა. შეეიდა-რა

ალექსანდრიის სკოლაში, საცა პანთენი საღმრთო წერილს განმარტავდა, იგი გაჰკვირდა ქრისტიანებრივ სარწმუნოების სიღრმე-სიჭეშმარიტებითა და მოინათლა. შემდეგში იგი აღრჩეულ იქმნა პანთენის მოადგილედ (191—202). შეიქმნა-რა ეპისკოპოსად, მან მთელი თვისი ძალ-ღონე და წარმართობის დროს შეთვისებული ფილოსოფიური ცოდნა მოახმარა ეკლესიის დიდებას. ფილოსოფიის დახმარებით მრავალნი წარმართნი სწავლულნი მოაქცია. მის თხზულებათაგან შესანიშნავნი ესენი: 1) შეგონება წარმართთა. ამ თხზულებაში კლიმენტოსი არკვევს წარმართობის მითოლოგიის სიმჩატე-სიცარიელეს და ფილოსოფიურ სწავლათა ნაკლულევანებას; 2) პედაგოგი (აღმზრდელი), რომელშიაც მოყვანილია ქრისტიანეთა ყოფა-ქცევის წესნი და 3) სტრომატა (ნარკვევი), რომელშიაც მოყვანილია უკეთესნი აზრნი და თქმულებანი ბერძენთ ფილოსოფოსთა და ქრისტიანეთა მწერალთანი.

ორიგენი, კლიმენტოს მოწაფე, შეიქმნა თვისის მასწავლებლის მოადგილედ. იგი თვისის სწავლა-განათლებით შეიქმნა დიდებად და საკვირველებად მაშინდელ დროის მეცნიერებისა; იგი იყო წარჩინებული ფილოსოფოსი, შესანიშნავი ფილოლოგი, კრიტიკოსი, განმმარტებელი, ღვთის-მეტყველი და დამცველი (აპოლოგეტი). დაუღალავად შრომისა და მეცადინეობისგამო მას უწოდეს „ანდამანტი". ჯერ ისევ 18-ის წლისა იყო, რომ კლიმენტოს ღირსეულ მოადგილედ აღიარეს. მრავალნი წარმართთა მსწავლულნი მოდიოდნენ მისი მოძღვრების მოსასმენად. ქრისტეს სარწმუნოების უმარტივეს და პირველ—დაწყებით სწავლათა მოძღვრება ორიგენმა მიანდო ერთს თავის მოწაფეთაგანს და თვითონ-კი ბერძენთ სიბრძნის საიდუმლოებათა ქადაგებას იკისრა. მსმენელთ ამგვარად ამზადებდა და ასწავლიდა, რათა ადვილად შეეგნოთ საღმრთო წერილი. მისმა სიტყვამ მოაქცია მრავალნი წარმართნი და მწვალებელ-

ნი. სამწუხაროდ, მიუხედავად თვისის განათლებისა, მას შეცდომებიც მოსდიოდა. პლატონის ფილოსოფიით გატაცებული, მიუმხრო იმ აზრს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქმნილებადი საუკუნოა, ადამიანის დაბადებამდე მისი სული უკვე არსებობსო და სხვ.; ამისთანა ცთომილებისაგამო ალექსანდრიის ხალხს კათედრიდგან გადააყენეს. წარვიდა-რა პალესტინას, ახალი სკოლა დააარსა კესარიაში და ამ სკოლასაც ისეთი სახელი მოუხვეჭა, როგორიც ალექსანდრიისას ჰქონდა. აქ აღზარდა შემდეგნი შესანიშნავნი პირნი: გრიგორე საასწაულთ-მოქმედი და მოწამე პანფილე. ორიგენი აღესრულა წამებით 251 წელს. ორიგენის 6000 თხზულებათა შორის შესანიშნავნი არიან: 1, საფუძველი, მოთხრობა სარწმუნოებაზედ; 2, თხზულება წინააღმდეგ ცელსისა; 3, დაბადების განმარტება, 4 ექზაპლა ანუ ძველი აღთქმის წიგნთა დებნის შედარება ამავე წიგნების მრავალ ძველ და ახალ თარგმანებთან.

§ 4. მსოფლიო კრებანი.

ა) პირველი მსოფლიო კრება.

ალექსანდრიის მოძღვარ არიოზს სამებაზედ სწავლა ჰსურდა შეეთანხმებინა ღვთის ერთარსებასთან და ამ აზრის განმარტვის დროს იქამდის მივიდა, რომ წმიდა სამების ძეორე პირის ღვთაებობა უარ-ჰყო. მისი აზრით ძე ღვთისა იყო უმაღლესი და უსრულესი ქმნილება ღვთისა, ქვეყნისშემოქმედისა. თუმცა მეორე პირი სალმრთო წერილში იწოდება ძედ ღვთისად, ხოლო იწოდება არა არსებით, არამედ ძეობითაო (შვილობილობითა). ალექსანდრიისავე მთავარეპისკო-

პოსს ალექსანდრეს არიოზის შთაგონება უნდოდა. მაგრამ მისმა შთაგონებამ უნაყოფოდ ჩაიარა, არიოზის ცრუ-სწავლა კი ალექსანდრიის გარეშე ქალაქებშიაც გავრცელდა; ამიტომ მთავარ-ეპისკოპოს ალექსანდრემ ეკლესიისაგან არიოზი განაყენა. მწვალებელი წავიდა პალესტინას, სადაც იგი თავის მფარველობაში მიიღო მისმა წინამდგომმა სკოლის ამხანაგმა და ეხლა ნიკომიდიის ეპისკოპოსმა ევსევიმ, ფლიერმა და გავლენიანმა ხელ-მწიფის სასახლეში. ევსევის შემწეობით მწვალებლობა სწრაფად გავრცელდა და ყველგან უკმაყოფილება, უთანხმოება და ღელვა დაჰბადა. ეველა ამ უწესოებათა მოსასპობლად იმპერატორმა კონსტანტინემ მთელის ქვეყნიდამ შეკრიბა ეპისკოპოსნი გამოსარკვევად ქრისტიანეთა. კრებაზე გაიხსნა ნიკეაში 325 წ. დაესწრნენ 318 ეპისკოპოსნი. კრების გახსნის დროს თვით იმპერატორიც ბრძანდებოდა. არიოზის სწავლა მთელი კრების წინაშე ბრწყინვალედ დაარღვია ალექსანდრიის ეპისკოპოსთან მოყოლილ მთავარ-დიაკონმა, სახელ-ვანთქმულმა ათანასემ. ამიტომ შეკრებილთა მამათ შეაჩვენეს არიოზის მწვალებლობა; ქრისტიანი სწავლა მსოფლიო ეკლესიისაკენ განმარტეს სიმბოლო სარწმუნოების პირველი შვიდი მუხლით. ეს სიმბოლო ხელ-მოწერით დაამტკიცა მთელმა კრებამ. ხოლო ხელი არ მოაწერა თვით არიოზმა და მისი ორი ეპისკოპოსმა. მრეტიკოსნი ეკლესიისაგან განკვეთილ და იმპერატორის-მიერ ექსორია ყოფილ იქმნენ.

კრებამ, განმარტა-რა დოლმატი შესახებ ძის ერთარსებისა მამასთან, მოახდინა კიდევ შემდეგნი განკარგულებანი: დაადგინა ქამი აღდგომის დღესასწაულისა, სახელდობრ, გაზაფხულზედ მთოვარის გავსების შემდგომ პირველ კვირა დღეს; დაადგინა ოცამდე კანონი ეკლესიის მმართველობასა და ზედამხედველობის შესახებ. ეკლესიის იერარქიაში უპირატესობა მიენიჭათ რომის, ალექსანდრიის

და ანტიოქიის მთავარ-ეპისკოპოსებს.

არიოზს იმპერატორის სასახლეში ძლიერნი მომხრენი ჰყვანდნენ. ეს მომხრენი ისრე ერთგულად მოქმედებდენ სასარგებლოდ თავის წარმომადგენელისა, რომ იმპერატორმა არიოზი ექსორიობიდამ დააბრუნა და ჯერ ალექსანდრიისა და მერმე კოსტანტინეპოლის მთავარ-ეპისკოპოსთ მისწერა მოუნიჭათ მისთვის წინანდელი ღირსება. ხოლო სიკვდილმა უსწრო არიოზს და ეკკლესიის გზა გადულობა. არიოზის სიკვდილით მისი მწვალებლობა არ განელდა და არ ჩაქრა.

არიოზის მიმდევართ სრულიად შეიპყრეს გონება კოსტანტინე იმპერატორის მოადგილის კოსტანცისა და მის შემწეობით თვის მწვალებლობას დიდი მნიშვნელობა მოუპოვეს აღმოსავლეთსა და დასავლეთში. კოსტანცის ბრძანებით, ვინც ნიკიის კრების დადგენილებას აღიარებდა, იმას ჰხდიდენ ყოველივე უფლებას, ართმევდნენ ქონებასა და ექსორიას უწესებდენ; იმპერატორ ვალენტმა-კი ბრძანება გასცა, რომ გაჯნურჩეველად წლოვანობისა, სქესისა და ღირსებისა ყველანი აეძულებინათ არიოზის სწავლის მისაღებად; ვინც არ მიიღებდა, სიკვდილით დაესაჯნათ. ამის გამო ვალენტის დროს მართლ-მადიდებელნი წარმართ იმპერატორების დროზედ ნაკლებ არ იდევნებ-ისჯებდნენ. ამ დროის მართლ-მადიდებლობის დამცველთა შორის შესანიშნავნი იყვნენ: წმ. ათანასე დიდი, რომელმაც ექსორიობაში გაატარა 20 წელიწადი; წმ. ვასილი დიდი და გრიგორი ღვთის-მეტყველი.

წმ. ვასილი დიდი და გრიგორი ღვთის-მეტყველი ორთავე შთამომავლობით კაპადოკიელნი იყვნენ და ორთავეს მდიდარნი და კეთილ-შობილნი შშობლები ჰყვანდათ. სამშობლო ქვეყანაში დაწყებული სწავლა დაამთავრეს ათინაში, საცა „მე და ვასილს, ამბობს გრიგორი ღვთის-მეტყველი, გვქონდა ერთი დიდი საქმე და

მზრუნველობა და ეს მზრუნველობა ის იყო, რომ ვყოფილ-ვიყავით ქრისტიანები და ქრისტიანის სახელი გვეტარებინა".

სწავლის დამთავრების შემდეგ ორთავენი დაბრუნებულან სამშობლოში; დაბრუნებულან და ქრისტიანობა მიულიათ. ამის შემდეგ ვასილის მოუვლია მესოპოტამია, პალესტინა და მისირი. ყველგან შეხვედრიან მეუდაბნოენი; გაკვირვებულა მათის მოღვაწეობით და გადაუწყვეტია თავის თავიც შეეწირა მოღვაწეობისათვის. ამოურჩევია ერთი მშვენიერი, ხშირის ტყით დაჩრდილული, მთა მდ. ირისის ნაპირას და იქ დასახლებულა. თანა-მოღვაწედ გრიგორიც მიუწვევია. მაგრამ ეს ჯერ ხნობით თავის მოხუცებულ მშობლების მოსავლელად შინ დარჩენილა. აქ მუშაობასა და ღვთის ლოცვაში გაუტარებია დრო. საჭმელად ჰქონია მხოლოდ პური და მარილი, სასმელად წყალი, საცმელად-უბრალო სამოსელი, საწოლად-მიწა. ასრე უცხოვრია დიდხანს, მინამ ვასილის თხოვნას არ გაუჭრია და გრიგორი არ მისულა მეგობართან: ერთად დაუწყიათ შუშაობა: ქვის კვეთა, ხეხილის დარგვა-მოვლა, მიწის განოყიერება და სხ. დასვენების ჟამს ლოცვასა, გალობასა და საღმრთო წერილის კითხვაში ატარებდნენ. მალე განითქვა მათი სახელი და მათთან დასახლდნენ მრავალნი მოღვაწენი, რომლებსაც ვასილი, სხვათა შორის, ასწავლიდა მონასტრების და ღარიბთათვის თავ-საფარის აგებას.

ვასილი დაინიშნა ეპისკოპოსად კაპადოკიის ქესარიისა. აქ ვასილიმ სახელი განითქვა ქრისტიანობის დაცვით არიოზის მწვალებლობისაგან. იგი არ შეუშინდა ვალენტსაც და არც ერთი ბრძანება არ შეუსრულა. სარწმუნოებაზედ სიმტკიცისა და მის უშიშრად აღვიარებისაგამო იმპერატორმა არა დაუშავა-რა და ამის შემდეგ შეამცირა დევნულება მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა წინა-

ალმდეგ. ვასილიმ შეადგინა ლიტურღია, რომელიც ეწოდება ვასილის ლიტურღიად, კესარიაში თავის ხარჯით დააარსა ერცელი ქსენონი. იგი აღესრულა 50 წლისა. სიყვარულით დაიტირეს წმიდანი ქრისტიანეთა, ურიათა და წარმართთაც-ჯ.

წმ. გრიგორ აკურთხა ეპისკოპოსად წმ. ვასილიმ. ბრიგორის სახელიც განითქვა მთელს საქრისტიანოში. იგი კოსტანტინეპოლის ქრისტიანებმა მიიწვიეს და დასვეს თავის ეპისკოპოსად. აქ მან უმეტესად განითქვა სახელი თვისის მჭევრ-მეტყველებითა, სიტყვითა და განათლებით. თვით ერეტიკოსნი და წარმართნიც იყრებოდნენ მისის სიტყვის მოსასმენად. ხუთს საუბარში მან განმარტა დოღმატნი წმ. სამებაზედ, ძის თანაარსებაზედ მამასთან და წმ. სულთან, სული წმიდის გამოსვლაზედ მამისაგან. ამ გვარ ღვაწლის გამო მას შეეძინა სახელი ღვთის-მეტყველისა. თეოდოსი დიდი რომ შეიქმნა იმპერატორად, კოსტანტინეპოლის კათედრა დაუმტკიცა ბრიგორის და იმპერატორმა თვითონვე შეიყვანა იგი სატახტო ქალაქის უმთავრეს ტაძარში, რომელიც აქამდე ეპყრათ არიოზის მწვალებლობის მალიარებელთ. აქ იგი დიდხანს არ დაშთა: დაეთხოვა იმპერატორსა და წავიდა თავის მამულში, საცა დახშო ყოველივე ზრუნვანი ხორცისათვის და შეუდგა ზრუნვას ახოლოდ სულისათვის. ბარეშე ქვეყანა სრულიად დამარხულიყო მისთვის და მთელი მისი არსება შეპყრობილიყო ღვთის დიდებით. ამნაირს ყოფაში აღესრულა წმიდანი: ხრწნილებადი ხორცი დაუტევა მიწასა და უხრწნელი სული მიაბარა შფალსა 390 წელს. ეკკლესია იხსენიებს მას 25 იანვარს. 950 წ. მისნი ნაწილნი ნაზიანზინიდგან კოსტანტინეპოლეს გადასვენებულ და წმ. იოანე ოქროპირის ნაწილებთან ერთად დაკრძალულ იქმნენ.

ბ) მეორე მსოფლიო კრება.

მეორე მსოფლიო კრების მოწვევა საჭირო შეიქმნა არა მარტო დასამტკიცებლად ნიკიის კრებისაგან აღიარებულის დოლმატისა შესახებ იესო ქრისტეს ღვთაებობისა, არამედ მაკედონის მწვალებლობის დასარღვევ-განსაპატიჟებლადაც. მაკედონი წმ. სულის ღვთაებას უარ-ჰყოფდა და მას, წმ. სულს, სთვლიდა იესო ქრისტეს ქმნილებად. აღმოსავლეთისა და დასავლეთის იმპერატორ თეოდოსი I-მა მიიწვია მეორე მსოფლიო კრება ქოსტანტინეპოლეს 381 წელს. კრებას დაესწრნენ 150 მამანი, კრებამ უცვალებლად დაამტკიცა ნიკიის სიმბოლო, რომელსაც თავის მხრით მიუმატა კიდევ ხუთი წევრი და განმარტა ჭეშმარიტი სწავლა წმ. სულის ერთარსებაზედ მამა ღმერთთან.

თეოდოსიმ ყველა ეკკლესიანი, ქოსტანტინეპოლეში მყოფნი, წაართო მწვალებელთა და დაუბრუნა მართლ-მადიდებელთ. ასე რომ მართლ-მადიდებლობამ სრულიად გაიმარჯვა არიოზისა და მაკედონის მწვალებლობაზედ.—ამ მსოფლიო კრებამ პონტისა, მცირე აზიისა და თრაკიის ეკკლესიანი დაუმორჩილა ქოსტანტინეპოლის პატრიარქს.

გ) მესამე მსოფლიო კრება.

ორმა მსოფლიო კრებამ რომ განამტკიცა წმ. სამების დოლმატი, მაშინ აღუხსნელი დარჩაი ესო ქრისტეს ორ-ბუნების ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება. ამით ისარგებლა ქოსტანტინეპოლის პატრიარქმა ნესტორიმ და თავისებური სჯა დაიწყო ქრისტეს ორ ბუნებაზედ. იგი ამტკიცებდა, რომ ქრისტე უბრალო კაცად იშვა და ღვთაება კი, მისის წმიდა ცხოვრებისათვის მიე-

ნიჭა მერმე და მიენიჭა არა პიროვანებით, არამედ ღვთაება თვით მასშიე ეარსებობდა, როგორც თვის ტაძარშიო, ვითარცა სხვა წინასწარ-მეტყველებშიაცაო. ამიტომაც ქრისტე არა ღმერთ-კაცია, არამედ ღმერთ-შემოსილიო. ყოვლად წმიდა მარიამს უნდა ეწოდოს ქრისტეს მშობელი და არა ღვთის-მშობელიო. ამ ცთომილების დიდი წინააღმდეგნი შეიქმნენ: ალექსანდრიის პატრიარქი წმ. კირილე და რომის პაპი ცელესტინე. ბარდა-საწყვეტად ამ საკამათო საგნისა 431 წელს თეოდოსი II-მ ეფე-სოში მოუწოდა მესამე მსოფლიო კრებას, რომელზედაც დაეს-წრნენ 200 მამანი. კრებამ უარჰყო სწავლა ნესტორისა და დაადგინა იესო ქრისტეში, მის განკაცებიდგან მოკიდებული, ელვიარებინათ ორი ბუნება და ერთი პიროვნება. ყოვლად წმ. ქალწულ მარიამს-კი კრებამ აღუდგინა წოდება ღვთის-მშობ-ლისა. ამასთანავე კრებამ დაამტკიცა ნიკია-კოსტანტინეპოლის სიმბოლო და აღკრძალა მასში რისიმე შეცვლა ან დამატე-ბით, ან შემოკლებით.

ამავე კრებამ დაჭგმო დასავლეთში გამოჩენილი პელაგეანთა მწვალებლობა. ბრიტანელი ბერი პელაგე ასწავლიდა, რომ ადამიანი პირველადვე ღმერთმა უკვდავად არ შექმნა. ადამმა თვისის შეცთომით სრულიად არა აენო-რა თვის ბუნებასაო. და ამიტომაც ყოველი კაცი იბადება სრულიად უმწიკვლოდ, თვინიერ პირველთა მშობელთ ცოდვისაო. კაცს მარტო თვისის ბუნებრივის ძალით, ღვთის შეუწევნელად, შეუძლიან მიაღწი-ოს ზნეობრივ სისრულემდეო.

ამნაირ აზრების გასავრცელებლად პელაგე წავიდა რომს და მერმე კართაგენს, საცა მას გამოუჩნდა მოწინააღმდეგე. ეს იყო იპპონის ეპისკოპოსი ნეტარი ავგუსტინე. საკუთარის გამოცდილებით დარწმუნებულმა ადამიანის უძლურებაზედ, ავგუსტინემ პელაგეს გამტყუნება დაიწყო. იგი თვის თხზუ-ლებებში ცხონებისა და ქრისტიანებრივ ჭეშმარიტ ცხოვრე-

ბისათვის აუცილებელ მოთხოვნილებად ჰხადიდა ღვთის მადლსა. ქართაგენის კრებამ 418 წ. შეაჩვენა პელაგეს მწვალებლობა. ქართაგენის კრების გმობა დაამტკიცა მესამე მსოფლიო კრებამაც.

დ) მეოთხე მსოფლიო კრება.

კოსტანტინეპოლის ერთმა არქიმანდრიტმა, სახელდობრ, ევტიქიმ, დაიწყო გამტყუნება ნესტორისა და ამასობაში თვითონაც ცთომილებაში შევიდა. მან დაიწყო მოძღვრება, რომ ღვთაებამ იესო ქრისტეს კაცება სრულიად შთანთქა და ამიტომ იესო ქრისტეში უნდა ვაღიაროთ მხოლოდ ერთი ბუნება ღვთაებრივი. კოსტანტინეპოლის პატრიარქმა ფლაბიანემ ადგილობრივ კრებაზედ დაჰგმო ევტიქის სწავლა. მაგრამ ევტიქის მომხრეობა აღმოუჩინეს სასახლეში და აგრეთვე ალექსანდრიის პატრიარქმა დიოსკორიმაც თავის მხრით. დიოსკორი მეცადინეობდა აღმოსავლეთის ეკკლესიის გამგეობა მიენიჭებინათ მისთვის და ამიტომ მსოფლიო კრების მოწვევა მოითხოვა. იმპერატორის მარკიანეს ბრძანებით მოჰხდა კრება ხალკიდონში 451 წელს. კრებას დაესწრო 650 ეპისკოპოსი. ახალი სწავლა დაგმობილ იქმნა, აგრეთვე განმეორებულ იქმნა გმობა ნესტორის სწავლისაც. დიოსკორე და ევტიქი განკვეთილ იქმნენ. კრებამ დაამტკიცა დოღმატი, რომ ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი. ღვთაებით იგი მარადის იშობება მამისაგან და ყოვლად მსგავსია მისი; ხოლო ადამიანობით იგი შობილია ყოვლად წმიდა ქალწულის ღვთის-მშობლისაგან და ყოველივეთი, გარდა ცოდვისა, მსგავსია ჩვენი. ბანხორციელებიდგან ქრისტესა აქეს ერთ-პიროვანება და ორი ბუნება, შეკავშირებულნი მასში შეურევნელად და უცვალებლად, განუყრელად და განუშორებლად.

ე) მეხუთე მსოფლიო კრება.

მეოთხე მსოფლიო კრებამ თუმცა განიმეორა გმობა ნესტორის მწვალებლობისა, მაგრამ არც კარგი, არც ავი სთქვა იბა ედესელის, თეოდორიტე ქირსელის, თეოდორე მანსუეტელის თხზულებებზედ. ამ თხზულებებში ეს სირიის ეკკლესიის სამნი მასწავლელნი მომხრეობას უწევდენ ნესტორის მწვალებლობასა. ამით ისარგებლეს ნესტორიანელებმა და ხალკიდონის კრების დადგენილება თავის სასარგებლოდ ახსნეს. ამისაგამო ევტიქის მიმდევარნი უფრო განრისხდნენ ხალკიდონის კრებაზედ. ხალკიდონის კრების შესახებ უთანხმოებისა და მიუხდომელობის მოსასპობლად იუსტინიანემ კოსტანტინეპოლეში მიიწვია მეხუთე მსოფლიო კრება 533 წ. და კრებას მიანდო განეხილათ სირიის ეკკლესიის მოძღვართ თხზულებანი. კრება შესდგა 165 ეპისკოპოსთაგან. საქმის გარემოება დაწვრილებით გამოიკვლიეს, თეოდორე მანსუეტელი და მისი თხზულება არ მოიწონეს და შეაჩვენეს; ხოლო თეოდორიტესი და იბას წიგნთაგან შეაჩვენეს ზოგიერთნი; ხოლო მათი პიროვანება შეუჩვენებლად დასტოვეს.

ვ) მეექვსე კრება.

ერეკლე იმპერატორმა მოინდომა მოექცია ევტიქის მწვალებლობის მიმლებნი (მონოფიზიტნი). ზოგიერთ მონოფიზიტთა ეპისკოპოსების რჩევით, ერეკლემ ერთს თვის მიერ გამოცემულ ოქმში ერთ-პიროვან და ორ-ბუნებოვან ღმერთ-კაცში აღიარა ერთი ნება. ამისგამო ერეკლეს წინააღმდეგი შეიქმნა იერუსალიმის პატრიარქი სოფრონი. ხელ-ახლად კამათობა

გაიმართა. საქმის გამოსარკვევად საჭირო შეიქმნა მსოფლიო კრების მოწოდება. იმპერატორმა კოსტანტინე პოგონატმა 680 წ. კრება გახსნა კოსტანტინეპოლეში. კრებას დაესწრო 170 ეპისკოპოსი. ფიცხელის კამათობის შემდეგ გარდასწყვიტეს, რომ იესო ქრისტეს, მიხედვისამებრ მისის ორის ბუნებისა, აქვს ორი ნებაცა.

11 წლის შემდეგ ამავე კრებამ, იუსტინიანე II-ს ნებისამებრ, კიდევ გახსნა თვისი სხდომანი თვით იმპერატორის პალატში, თრულისად წოდებულში. ამ ჟამად ეპისკოპოსთა, რომელთა შორის იყვნენ აღმოსავლეთის ოთხნი პატრიარქნი და პაპის ლეგატნი, განიმეორეს გმობა მონოფიზიტებზედ, რომელნიც აღვიარებდნენ ორს ბუნებასთან ქრისტესში ერთს ნებასა და განიხილეს კანონნი და დადგენილებანი წინანდელთა კრებათა შესახებ ეკკლესიის მართვისა და კეთილ-წესიერებისა; ზოგი-ერთნი თვითონაც დაუმატეს და ვალდებულად ჰყვეს მათი სამარადისოდ აღსრულება მსოფლიო ეკკლესიისაგან. და რადგან ეს კრება იყო დამატებითი კრება მეხუთე და მეექვსე მსოფლიო კრებათა, ამიტომ მას—ორულის კრებას, ეწოდა მეხუთე—მეექვსე კრება.

იმ კანონ-დოლმატთ გარდა, რომელნიც მოიპოვებიან საღმრთო წერილში, კრებამ მიიღო კიდევ:

ა) 85 კანონნი წმ. მოციქულთა.

ბ) კანონნი ექვსის მსოფლიო კრებისა.

გ) კანონნი ადგილობრივ შვიდ კრებათა, რომელნიც მეოთხესა და მეხუთე საუკუნოებში იყო

დ) კანონნი ეკკლესიის 14 მამათა მიერ შემოღებულნი.

შემდეგში ამ წეს-კანონებს ეკკლესიამ მიათვალა კანონნი მეშვიდე მსოფლიო კრებისა და აგრეთვე ორ ადგილობრივ კრებისა, რომელიც იყო მეცხრე საუკუნეში. კრებული ყველა ამ კანონთა შეადგენს საეკკლესიო სჯულდებულების საფუძველს მოაქამომდე.

ზ) მეშვიდე მსოფლიო კრება.

ბიზანტიის იმპერატორ ლევ ისავრომ, შემუსრა—რა ძალა სარაცინთა, რომელნიც კოსტანტინეპოლეს დაესხნენ 718 წ., განიზრახა აგრეთვე მოქცევა არაბებისა (იგივე სარაცინნი), რათა სატახტო ქალაქი კვლავ უძრუნველ-ეყო მათ მიერ ზედ-დასხმისა და მისევისაგან. ხატთ-თაყვანისცემის სიმძულვარე და უარყოფა მაჰმადიანეთა მიერ, სხვათა შორის, შეიქმნა ერთ უმთავრეს მიზეზად იმპერატორის სურვილის აღუსრულებლობისა. ხატთ-თაყვანის ცემა ლევ ისავრომ უმსხვერპლა თავის სურვილს-სარაცინთა მოქცევას. მან სახელმწიფო ოქმით აღკრძალა პატივ-ცემა წმ. ხატთა და სრულიადაც მათი ხმარება. ამ განკარგულების დიდი მოწინააღმდეგე შეიქმნა კოსტანტინეპოლის პატრიარქი ბერმანე, აგრეთვე სამღვდელოება და ხალხი. რომის პაპ ბრიგორი მე-III-ემ და მაშინდელ დროის დიდმა ღვთის-მეტყველმა იოანე დამასკელმა ქრისტიანობის დასაცველად ხმა აღიმაღლეს. ამისთანა წინააღმდეგობამ ლევ ისავრო უფრო განარისხა. პატრიარქი ბერმანე გადააყენა და ბრძანება გასცა, რომ პაპი ბრიგორი ან მოეკლათ, ან მოეწამლათ. იოანე დამასკელი დაასმინა ხალიფასთან. პაპის მოკვლა ვერ მოახერხა. რომაელნი პაპის დასაცველად შეიარაღდნენ და უარ-ჰყვეს ხელმწიფება ხატთ-მბრძოლისა. რომის პაპს, რომ ვერა ავნო-რა, ახლა მიუბრუნდა სხვა ხატთ-თაყვანისმცემელთ და დევნა დაუწყო. ეს დევნულება არ შეწყვეტილა მის მოადგილე ხელმწიფეების ჟამსაც-კოსტანტინე კოპრონიმისა და ლევ მეოთხისა. მაგრამ ამ ხელმწიფეებს წადილი არ შეუსრულდათ, თუმცა ამისთვის იხმარეს ყოველ გვარი მეცადინეობა: ხატთა პატივის-მცემელთ პყრობილება, ტანჯვა, წამება, ხოცვა, ქონების იავარ-ყოფა და სხ. ლევ მეოთხის შემდეგ ხელმწიფება

მიიღო მისმა მეუღლე ირინემ. ამან ნიკიას მიიწვია მეშვიდე მსოფლიო კრება (787 წ.). კრებამ დაადგინა ხმარება წმ. ხატებისა ეკკლესიებსა და სახლებში, აგრეთვე მათი პატივ-ცემა მუხლ-მოყრით, მთხვევით, სანთლის დანთებით მათ წინაშე და საკმეველის კმევით. პატივ-ცემა ხატისა, გარდავალს მის დედანზედაცო; ხატის თაყვანის-მცემელი, თაყვანსა სცემს იმ წმიდა პირს, რომელიც დახატულია მასზედაო.

ლევ სომეხმა (813—820) და შემდეგ თეოფილემ ხელ-ახლა დაუწყეს დევნა ხატთ-თაყვანის მცემელებს, რომელთა მოთავედ ამდროს იყო სტუდის მონასტრის წინამძღვარი თეოდორე სტუდელი. იგი მრავალჯერ საშინლად აწვალეს, სტანჯეს, საპყრობილეში შეამწყვდიეს, მაგრამ მაინც, მიუხედავად ყველა ამ ტანჯვათა, თეოდორე თავის ნაწერებით განუწყვეტლივ ამხნევებდა და ნუგეშ-სცემდა მართლ-მადიდებელ ხალხს. თეოფილეს სიკვდილის შემდეგ მისმა მეუღლემ თეოდორამ კერძოდ მოწვეულ კრებაზედ კოსტანტინეპოლეში (842 წ.) ყოვლის სისრულით დაამტკიცა გარდაწყვეტილება მეშვიდე მსოფლიო კრებისა და პატივის-საცემლად ამ გარდაწყვეტილებისა დააწესა დღესასწაული მართლ-მადიდებლობისა, რომელსაც დღეინდელამდე დღესასწაულობს მართლ-მადიდებელი ეკკლესია დიდი მარხვის პირველ კვირიაკეს.

წმ. იოანე დამასკელი დამასკის ხალიფას ვეზირის შვილი იყო. მშვენიერის განათლების და სამსახურისათვის იოანეს ჯერ ქალაქ დამასკის უფროსობა მისცეს და მერმე ხალიფას პირველ ვეზირადაც დაინიშნა. როდესაც საბერძნეთის იმპერატორ ლევმა აღკრძალა პატივ-ცემა ხატთა, მა'მინ იოანემ დასწერა რაოდენიმე თხზულებანი, რომლებშიაც ხატთა თაყვანის-ცემის კანონიერებას ამტკიცებდა და ეს თხზულებანი კოსტანტინეპოლეში წარგზავნა. მის თხზულება-ეპისტოლეთ დიდის სიხარუ-

ლით ჰკითხულობდნენ ქოსტანტინეპოლეში და დიდ-ზედ-გავლენაც ჰქონდათ მართლ-მადიდებლებზე. როდესაც ლევ იმპერატორმა გაიგო ვინაობა ამ ეპისტოლეთა დამწერისა და მათი გავლენა ხალხზე სცნო, დამასკოს ხალიფას გაუგზავნა წერილი, თვის მიერვე დაწერილი, მაგრამ მიმსგავსებული წმ. იოანეს ხელისა. ამ წერილში ლევი სწერდა, რომ, ვითომ, იოანეს აღეთქვას დამასკოს დათმობა ბერძენთა ჯარისათვის. მოტყუებულმა ხალიფამ, ვითომ და მოღალატეს, მარჯვენა მკლავი მოჰკვეთა. იოანე ღვთის-მშობლის ხატის წინ დაჰვარდა და დაუწყო ვედრება, რომ იგი გაემართლებინა. ძალა მიხდილს რომ დაეძინა და მერმე გაეღვიძა, მკლავი სრულიად განკურნებული იხილა. სიხარულისაგან აღტაცებულმა წარმოსთქვა გალობით: „შენდამი იხარებს, მიმადლებულო, ყოველი დაბადებული". ხალიფას გამართლებულისათვის წინანდელივე თანამდებობის დაბრუნება უნდოდა, მაგრამ იოანემ არ ინდომა. მთელი თვისი ქონება ღარიბებს განუყო და თვითონ იერუსალიმის წმ. საბას მონასტერს მიჰმართა. აქ მყუდროებაში შეადგინა თხზულებანი ეკკლესიის სადიდებლად. მის ნაწერთაგან შესანიშნავნი არიან: დალაგებული სწავლა მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზედ და საცისკრო საგალობელნი, ძილის პირნი წმ. აღდგომისათვის, ქრისტეს შობისა, ნათლისღებისა და ამაღლებისათვის უფლისა. აგრეთვე კვირადღეთათვის შეადგინა რვა-ხმიანი მსახურება (პარაკლიტონი) და მრავალნი საგალობელნი მიცვალებულთათვის. ბითარცა საგალობლების მწერალი, იოანე დამასკელი

შეუდარებელია. ყველა ამ მოღვაწეობისათვის წმ. იოანეს „ოქროს ნეკტარი ეწოდა“. იოანე გარდაიცვალა 104 წლისა.

იოანე დამასკელის თხზულებათაგან უმეტესი ნაწილი გადმოღებულია ქართულად (იხ. საქ. საეკ. ისტორ. გვ. 63—65).

თავი მესამე.

სამოციქულო ეკკლესიის გამგეობა,

§ 1. ეკკლესიის გამგეობის დადგენა.

ეკკლესიას, როგორც მწყემსთა და სამწყსოთაგან შემდგარ კრებულს, თვისი უფროს-უმცროსობაც ჰქონდა, ესე იგი თვისი მთავრობა და გამგეობა. სამოციქულო ეკკლესიის მაგალითებითა და გარდმოცემით სჩანს, რომ ეკკლესიის უმაღლესი ერთმთავრობა ეკუთვნის ქრისტესა, რომელიც განაგებს მას თვისის სიტყვის გამოცხადებითა და სული წმიდის მონიჭებითა. მღვდელ-მთავრობა არც ერთ სხვა საერო მთავრობა-ხელმწიფებას არ მიემსგავსება. აქ სამღვდელო პირნი, მიხედვისამებრ მათის ნიჭისა და მსახურებისა, განყოფილნი არიან დას-დასად და ხარისხებად. ყოველი ამათგან, მისთვის მიმადლებულ ნიჭის შემწეობით, სცდილობს კაცს განუნათლოს სული და სასუფეველის კარი განუღოს. ასე რომ აქ, ამ მღვდელ-მსახურბაში, თვით უპირველესი ხარისხითა და თანამდებობით უმდაბლესი მოსამსახურეა ყველასი. ესრეთია მღვდელ-მთავრობისა და მსახურების მოვალეობა.

სამოციქულო ეკკლესია ყველა მორწმუნეთ ორ ჯგუფად ჰყოფს. პირველ ჯგუფს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში ეწოდებათ მოძღვარნი (ებრ. თ. XIII 17, 7) და მეორეს—პეტრე მოციქულის პირველ ეპისტოლეში ცხოვარნი და უფრო კი ძმანი ჰქვიანთ.

ქრისტეს ამაღლების შემდეგ უმთავრეს და უპირველეს მოძღვრებად ითვლებოდნენ: ა) თვით წმ. მოციქულნი, შემოსილ-მიმადლებულნი სული წმიდის მადლითა და ბ) აგრეთვე წინასწარმეტყველნი და მახარობელნი. პავლე მოციქულს, ხანგრძლივ მოღვაწეობისაგამო წარმართთა შორის, ეწოდა მოციქული წარმართთა; ამან სხვა მოციქულებზე მომეტებული იშრომა და მეტი საღმრთო წიგნები დასწერა. სამოციქულო თვისებანი და ღირსებანი არიან შემდეგნი: ა) ღვთის მსახურებისათვის მოწოდება თვით იესო ქრისტესაგან; ბ) ზეგარდამო მომადლებული ნიჭი და სული წმიდის შთაგონებითა და ხელ-მძღვანელობით მოღვაწეობა გ); ხილვა და რწმენა ქრისტესი; დ) სასწაულთ მოქმედება და სული წმიდის მადლის სხვათათვის ხელ-დასხმით მიმადლება; ე) წერა კანონიერ საღმრთო წიგნებისა და სხ.

წინასწარმეტყველებად პირველ-დაარსებულ ეკკლესიაში იწოდებოდნენ ისეთნი პირნი, რომელნიც მიმადლებულნი იყვნენ ისეთის ნიჭითა, რომ მომავალი დროის ამბებს წინადვე ტყობულობდნენ ანუ წინასწარმეტყველებდნენ. წინასწარმეტყველებადვე იწოდებოდნენ ისინიც, რომელნიც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებათა და ახალი აღთქმის შემთხვევათა და გარემოებათა შემწეობით სახარების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად განმარტავდნენ საღმრთო წერილსა. ასრეთნი იყვნენ: აგაბი, იუდა, შილა და ფილიპეს ოთხნი ასულნი.

მახარობელნი მოციქულების თანამშრომელნი იყვნენ. იგინი სიტყვითა და წერით ქრისტეს სახარებას ჰქადაგებდნენ. ას-

რეთი პირნი სალმრთო წერილში ცნობილნი არიან: დიაკონი ფილიპე და ტიმოთე და აგრეთვე დამწერნი წმ. სახარებისა: მათე, მარკოზ, ლუკა და იოანე.

მოციქულების შემდეგ მათი მოადგილენი შეიქმნენ ეპისკოპოსები, ხუცესნი და მთავარ-დიაკონები.

ეპისკოპოსი ანუ ქართულად ზედამხედველი, თვალყურის მჭერელი. პავლე მოციქულის ტიმოთეს მიერ პირველ ეპისტოლეში არის მოყვანილი ცნობა შესახებ ეპისკოპოსის ვალდებულებისა. ეპისკოპოსს ენიჭება უფლება დაადგინოს მღვდელნი და დიაკონნი, დაარიგოს, გაამხნეოს და გასამართლოს იგინი. ხუცესნი ანუ მოხუცებულნი, მღვდელნი. ამათი მოვალეობა ხალხის მოძღვრება და საიდუმლოთა შესრულება არის. იგინი ეპისკოპოსების რჩევაშიაც მონაწილეობას იღებდნენ. დიაკონნი ანუ მოსამსახურენი. მოციქულების დროს მთელი ქრისტიანეთა საზოგადოება იერუსალიმში, როგორც ზემოთაც ვსთქვით, ერთად სცხოვრებდა. ქონებაც საერთო, საზოგადო ჰქონდათ. საჭიროებისამებრ ამ ქონება-სარჩოდამ მოციქულნი ურიგებ-უყოფდნენ მორწმუნეთა. შემდეგში, მოციქულნი რომ ველარ იცლიდენ საზრდოს დასარიგებლად, ამორჩეულ იქმნენ შვიდნი კაცნი, ცნობილნი წმინდა ცხოვრებითა, სიბრძნითა და ამასთანავე სულიწმიდისაგან მიმადლებულნი. ამ გვარ პირთ დიაკონნი ერქვათ და მათ ებარათ საზრდო ძმათა. შემდეგში დიაკონების მოვალეობად შეიქმნა მსახურება წმ. საიდუმლოს შესრულების ჟამს და ქადაგება სახარებისა. ამათ გარდა იყვნენ აგრეთვე დიაკონისნი ანუ დაქვრივებულნი დედაკაცნი. ამათი მოვალეობა ალბად ის იყოვო, ამბობს ფილარეტი, რომ ნათლობის დროს ჰშველიდნენ მშობიარეთა, უვლიდნენ ავადმყოფთა და უბედურთ.

პირველ ეპისკოპოსებად იყვნენ მოციქულების მოწაფენი და თანამშრომელნი; მაგ., ანტიოქიისა, რომისა და ალექ-

სანდრიის ეპისკოპოსებად პეტრე მოციქულმა დაადგინა თვისნი მოწაფენი: ევოდი, ლინი და მახარობელი მარკოზი; პავლემ-კი ეფესოს ეპისკოპოსად აკურთხა ტიმოთე და ქრიტისად ტიტე.

§ 2. მიტროპოლიტნი და პატრიარქნი.

დასაწყისს მოციქულნი ქალაქებში ჰქადაგებდნენ ქრისტიანობასა და ამ ქალაქებშივე აფუძნებდნენ ეკკლესიას. ქალაქებიდგან ნელ-ნელა ქრისტიანობა გავრცელდა გარეშემომდებარე ადგილებსა და სოფლებში. ახლად მოქცეულნი ემორჩილებოდნენ ქალაქის ეპისკოპოსსა, რომელიც მათ უმწესებდა მღვდლებსა. ასრე დაწესდნენ ეპარქიანი. საეპისკოპოსო ქალაქიდგან ქრისტიანობა მოეფინა მრავალს დაბა-სოფელსა. სამწყსოს სიმრავლისა გამო, ქალაქის ეპისკოპოსებმა ზოგი-ერთ დაბა-სოფელში თვის თანაშემწედ ეპისკოპოსები დაიდგინეს. ეს ეპისკოპოსნი, თუმცა დაუკითხავად განაგებდენ მრევლს, მაგრამ მაინც უმთავრესი ქალაქის ეპისკოპოსის დამოკიდებულებაში იყვნენ; ქალაქის ეკკლესია ისევ მეთაურ ეკკლესიად ითვლებოდა და ამ ეკკლესიის ეპისკოპოსი-კი ეპარქიის ყველა ეპისკოპოსების უფროსი იყო. რადგან უმთავრეს ქალაქებს ბერძენნი მიტროპოლიებს (დედა ქალაქი) უწოდებდენ, ამიტომ ამ ქალაქების ეპისკოპოსთაც დაერქვათ მიტროპოლიტნი. მხოლოდ მიტროპოლიტებს ჰქონდათ უფლება მოეწვიათ საეპარქიო კრება, დაემტკიცებინათ კრების გადაწყვეტილებანი, თვალ-ყური სჭეროდათ ეპარქიის ეკკლესიის საქმეებზედ, ეკურთხებინათ და დაემტკიცებინათ ახლად დადგენილნი ეპისკოპოსნი, მიეღოთ მათზე საჩივარი და სხ. მიტროპოლიტს ირჩევდა მთელი ოლქის ეპისკოპოსთა კრება. მიტ-

როპოლიტთა შორის უაღრესი ღირსება იმ ქალაქების ეპისკოპოსებს ჰქონდათ, რომლებშიაც ქრისტიანობა თვით მოციქულებს შემოეღოთ და დაემკვიდრებინათ. ამ გვარ ქალაქებად ითვლებოდნენ: რომი, ანტიოქია, ალექსანდრია და იერუსალიმი. სამ პირველ ქალაქების მღვდელ-მთავრების ღირსება და უპირატესობა აღიარებულ და დამტკიცებულ იქმნა პირველ მსოფლიო კრებისაგან, მიხედვისამებრ ძველის ჩვეულებისა. მეორე მსოფლიო კრებამ მათთან გაათანასწორა—საპატიო სახელითა და მღვდელ-მთავრობითი უფლებით ეპისკოპოსი ქოსტანტინეპოლესი, ხოლო ხალკიდონის კრებამ კი—აგრეთვე ეპისკოპოსი იერუსალიმისა. ამავე კრებაზე ხუთთავე ამა ქალაქთა მღვდელ-მთავრებს ეწოდათ პ ა ტ რ ი ა რ ქ ი. ამასთანავე პატივ-დებისა გამო მსოფლიო იმპერიის სატახტო ქალაქისა, რომის პატრიარქს მიეცა უპირატესობა ყველა სხვა პატრიარქებზედ, ხოლო შემდეგ ამისა ქოსტანტინეპოლის პატრიარქსაც, როგორც ახალი რომის ეპისკოპოსს; უპირატესობა მიეცათ უფლებით-კი არა, არამედ მარტო წოდებით. უფლებით ყველა იგინი აღიარებულ იყვნენ თანასწორად და ურთიერთისაგან დაძოუკიდებელად.

§ 3. მ ს ო ფ ლ ი ო დ ა კ ე რ ძ ო კ რ ე ბ ა ნ ი.

უმაღლესი ხელმწიფება, რომელსაც თვით პატრიარქნიც ემორჩილებოდნენ, ეკუთვნოდა მსოფლიო კრებასა. მსოფლიო კრებად იწოდება უჩვეულებრივო შეკრებილება ქრისტეს ეკკლესიის მწყემსთა, ქვეყნის ყოველი მხრიდამ შემოკრებილთა განსამარტებელადა და გასამართავად სარწმუნოების ჭეშმარიტ სწავლისა და კეთილ-წესიერებისა ქრისტიანეთა შორის. რასაკვირველია, ვერც ყველა მწყემსნი შესძლებდნენ ამ კრებებზე დასწ-

რებას და არც იყვნენ ვალდებულნი. ხოლო, შეძლებისამებრ, ყოველი მხარე კრებაზე დასასწრებად ჰგზავნიდა თავის წარმომადგენელსა, მოთხოვნილებისამებრ. კრებაზე დასწრებისა და ხმის უფლება ჰქონდათ მხოლოდ ეპისკოპოსებს, როგორც წარმომადგენლებს სამწყსოისას. მაგრამ ამათ ჰქონდათ ის უფლება, რომ თვის მაგიერ კრებაზე გაეგზავნათ ხუცესნი და დიაკონნიც. საპატრიარქოების დაწესების შემდეგ-კი აუცილებელ მოთხოვნილებად ითვლებოდა, რომ ყოველს ხუთ პატრიარქთაგანს კრებაზე წარმოეგზავნა თვისნი წარმომადგენლები ღრამატითა, რომელშიაც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო თვით პატრიარქთა შეხედულებანი და აზრნი შესახებ გასარჩევ და გასარკვევ საგნისა.

მსოფლიო კრებათა დადგენილებანი, როგორც გამოხატულებანი ეკლესიის სწავლისა, საყოველთაო სავალდებულო შეიქმნენ არა თუ იმ დროისთვის მხოლოდ, არამედ ყოველთა საუკუნეთათვისაც. ამისაგამო შემდეგ მომხდარნი მსოფლიო კრებანი უცვლელად სტოვებდენ წინანდელ კრებების დადგენილებათა, რომელთაც, თუ საჭიროება მოითხოვდა, მხოლოდ მაშინ უფრო დაწვრილებით განმარტავდნენ. ადგილობრივს ანუ რომელიმე ქვეყნის კერძო კრების განჩინებას ამ გვარი ძალა არა ჰქონდა. ამ გვარ კრებათა დადგენილება მსოფლიო კრებას კიდეც შეეძლო მიეღო, კიდეც უარ-ეყო.

მაშინდელ დროის მსოფლიო ხელმწიფეთაგან მსოფლიო კრებას შემდეგი შემწეობა ჰქონდა: იმპერატორნი საკრებულო ადგილსა ანუ ქალაქს ირჩევდნენ და ჰნიშნავდნენ შეკრებილების ჟამსა; აგრეთვე მთელის იმპერიიდამ იწვევდნენ ეპისკოპოსებსა და, ბოლოს, ან თვითონვე ესწრობობდნენ კრების სხდომებსა, ან თვის წარმომადგენლებს ჰგზავნიდნენ, მაგრამ არც ეს წარმომადგენელნი და არც იმპერატორნი თვით კრების

თათბირსა და განჩინებაში მონაწილეობას არ იღებდენ. კრების დაშლის შემდეგ იმპერატორნი მამათა დადგენილებათ აღიარებდენ სახელმწიფო სჯულ-დებად ანუ კანონად; ამ დადგენილობათა გამოაცხადებდნენ-რა მთელს სახელმწიფოში, ყველას აუწყებდნენ, რომ უცვლელად აღესრულებინათ იგინი, ხოლო ვინც არ მიიღებდა და არ დაემორჩილებოდა მსოფლიო კრების გარდაწყვეტილებას, ისჯებოდა კანონისამებრ.

მაშასადამე მსოფლიო კრება ყოფილა საქრისტიანო ეკკლესიის უმაღლესი საჯულ-მდებელო. მსოფლიო მართლ-მადიდებელი ეკკლესია ამისთანა კრებად აღიარებს მხოლოდ შვიდს,* სახელდობრ: ნიკაისა პირველი (325 წ.), კოსტანტინეპოლისა პირველი (381), ეფესოსი (431), ხალკიდონისა (451), კოსტანტინეპოლისა მეორე (533), კოსტანტინეპოლისა მესამე (680) და ნიკაისა მაორე (787 წ.); ეს შვიდი კრება მოჰხდა მე-IV საუკუნესა და მე-IX საუკუნეს შორის, როდესაც დასავლეთის ეკკლესია ჯერ ისევ განუყრელად იმყოფებოდა აღმოსავლეთის ეკკლესიასთან.

ძერძო ეკკლესიათა სარწმუნოებრივნი კითხვანი და ეკკლესიურნი წესნი განიხილებოდნენ და განირჩეოდნენ ხოლმე ადგილობრივ კრებათაგანვე. ასრე იწოდებიან ერთისა და ანუ რაოდენისამე ქვეყნის მწყემსთა კრებანი. ადგილობრივნი კრებანი, ძველებურის ეკკლესიის წესით, ყოველ წლივ ყოველს მხარეს უნდა მომხდარიყო ორჯერ. მაგრამ შემდეგში, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, დადგენილ იქმნა, რომ კრება ერთჯერ მაინც მომხდარიყო. ადგილობრივი მღვდელ-მთავარი თვის ხელ-ქვეით მყოფ ეპისკოპოსებს აცნობებდა კრების დროსა და ადგილს. სხდომების თავ-მჯომარეო-

* დასავლეთ ეკკლესიაში კი მსოფლიო კრებათა რიცხვი ოცამდე ითვლება.

ბასაც თვითონვე ტვირთულობდა, კრება იხილავდა თვის ეკ-
კლესიის მდგომარეობას, ჰსინჯავდა და ერკვეოდა სარწმუნოებ-
რივს კითხვებს, ირჩევდა და ამტკიცებდა ეპისკოპოსებს, იძიებ-
და ეპისკოპოსებზე შეტანილ საჩივრებსა და მათ შორის მომ-
ხდარ უთანხმოებას*.

ზოგიერთნი ადგილობრივნი კრებანი ხანდისხან არჩევდენ
იმისთანა სარწმუნოებრივს კითხვებსაც, რომელნიც შეეხებო-
დენ მსოფლიო ეკკლესიასა საერთოდ და ისრე გონიერადაც არჩევ-
დენ, რომ მათს განაჩენს მსოფლიო კრებანი იწყნარებდნენ და აკა-
ნონიერებდნენ. ამ წმირ ადგილობრივ კრებათაგან შეწყნარებულ-
ლია მხოლოდ ცხრა: ანკირისა (314 წ.), ნეოკესარიისა
(315), პართაგენისა (318), ზანგრისა (340), ან-
ტიოქიისა (341), სარდიკიისა (341), ლიოდიკიისა
(364), და კოსტანტინეპოლისა ორი (394 და 861 წწ.).

ეპისკოპოსებმა ადრევე დაიწყეს მამათა მოწოდება
სათათბიროდ და საზოგადო თანხმობა-მორიგების ჩამო-
საგდებად ეკკლესიასა და სარწმუნოებაში. ამ ნაირი კრე-
ბები იმართებოდა 150 წლიდამ ქრ. შემდეგ.

მსოფლიო კრებათა დადგენილება საეალდებულოა
მთელის ეკკლესიისათვის; ამ დადგენილებათა კრებული
შეიქმნა ჯაეკკლესიო სჯულ-დების საფუძვლად. კოს-
ტანტინეპოლის პატრიარქმა იოანე მმარხველმა 578 წელს
შეადგინა ნომოკანონი** (რჯულის-კანონი), რომელშიაც
შეიტანა ეკკლესიის შესახებნი სახელმწიფო სჯულ-დებანი

---

* ამისთანა კრებები იმართებოდა საქართველოშიაც; მაგ. მეფე დავით აღმაშენებელის დროს და სხ. ოუ რასა ეკვლევ-იძიებდენ ამ კრებებზე, ამის ნიმუში ოხილე წიგნში „საქართველოს ეკკლესიო ისტორიაა“ (გვ. 81—86).

** ეს ნომოკანონი ქართულს ენაზე გადმოიღო საქართველოს კათოლიკოს ევდემოსმა.

(ნ ო მ ი) და მსოფლიო კრებათა დადგენილებანი (კ ა ნ ო ნ). იმავე საუკუნეში ამისთანავე კრებული მსოფლიო კრებათა დადგენილებათა და პაპთა გარდაწყვეტილებათაგან (დეკრეტალი) დასავლეთის ეკკლესიისათვის შეადგინა რომის მღვდელმა დიონოსი მცირემ. ეს კრებული გაავრცელა და წესიერებაში მოიყვანა ისიდორე სევილიელმა მეექვსე საუკუნეში.

§ 4. რომის გამეთაურება დასავლეთში.

რომის მნიშვნელობა და მეთაურობა დასავლეთში შეიქმნა მიზეზად რომის მღვდელ-მთავრის გამეთაურებისაც. თუ კი რომელიმე მხრის უმთავრესი ქალაქის ეპისკოპოსნი მეთაურობდენ იმავე მხრის სხვა ქალაქების ეპისკოპოსებზედ, რომის ეპისკოპოსსაც, როგორც მთელის მსოფლიო იმპერიის სატახტო ქალაქის ეპისკოპოსს, შეეძლო მოეთხოვა თავისთვის უპირატესობა ყველა სხვა ეპისკოპოსებზე. ამას გარდა მთელს დასავლეთში მხოლოდ რომის ეკკლესია იყო სამოციქულო, ესე იგი თვით მოციქულთაგან დაარსებული და ამისაგამო ითვლებოდა დედად ყველა სხვა ეკკლესიათა. ამასთანავე ეს ეკკლესია ყველაზე ვრცელი და მდიდარი იყო, სამწყსოში ჰყვანდა მრავალნი პირნი, განთქმულნი განათლებითა, შთამომავლობითა და ღირსებით, აღემატებოდა სხვა ეკკლესიებს აგრეთვე წამებულთა და მორწმუნეთა რიცხვით და სხ. და სხ. ყველა ესე რასაკვირველია, რომის ეკკლესიას სხვა ეკკლესიებზე მაღლა აყენებდა და, მაშასადამე, რომის ეპისკოპოსსაც სხვა ეპისკოპოსებზე. ამისა და მრავალთა სხვათა მიზეზთა გამო რომის ტახტს დაუწყეს პატივის ცემა. ესრეთი პატივ-ცემა რომის პაპებმა მოინდომეს გარდაექმნათ ღვთიურ მცნების მოთხოვ-

ნილებად. უფლის შემდეგნ სიტყვანი პეტრესადმი: „შენ ხარ კლდე და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდენ მას; და მოგცენ შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანი“,—პაპებმა ისრე განმარტეს, რომ, ვითომ, პეტრე მოციქული ყოფილიყოს მთავარი ყველა სხვა მოციქულებისა და თვითონ ქრისტეს დაემკვიდრებინოს მისთვის მთელი ეკკლესია; რადგან რომი არის სატახტო ქალაქი პეტრე მოციქულისა, მისნი ეპისკოპოსნიც პეტრეს მოადგილეები არიანო. ამისაგამო რომის ეპისკოპოსებმა მეორესა და მესამე საუკუნოებშივე მოინდომეს მსოფლიო ეკკლესიის მეთაურობა. მაგრამ მათი სურვილის წინააღმდეგნი შეიქმნენ თვით დასავლეთშივე. პირველმა მსოფლიო კრებამ რომის მღვდელ-მთავრებს მიანიჭა უზენაესი უფლება სამხრეთსა და შუა იტალიაზედ, აგრეთვე კუნძულებზე: სარდინიასა, სიცილიასა და კორსიკაზედ. რომის ეპისკოპოსის გავლენა მალე აღნიშნულს სამზღვარს გასცილდა. სარდიკის კრებამ რომის ეპისკოპოსს მიანიჭა უფლება მიეღო საჩივრები ეპისკოპოსებზე და შეხედულებისამებრ თვისისა გაესამართლებინა იგინი. ეს უპირატესობა იმპერატორმა გრაციანემ პაპთ დაუმტკიცა 348 წელს. მეორე მსოფლიო კრებამ, შემდეგ რომის ეპისკოპოსისა, უპირატესობა მიანიჭა კოსტანტინეპოლის ეპისკოპოსსა, როგორც ახალი რომის მწყემს-მთავარსა. ეს არ მოეწონათ რომის ეპისკოპოსებს. უფრო არ მოეწონათ ისა, რომ კოსტანტინეპოლის პატრიარქს იმპერ. მავრიკიმ მიანიჭა წოდება „მსოფლიო პატრიარქისა“. პაპმა გრიგორი დიდმა წინააღმდეგობა დაიწყო და ამტკიცებდა, რომ ეს წოდება ქრისტიანული არ არისო. მაგრამ რომ პაპნი ვერას გახდენ და კოსტანტინეპოლის პატრიარქებს „მსოფლიო პატრიარქის“ წოდება ვერ ჩამოჰხადეს, სამეფო ტახტის უსჯულოდ მიმტაცებელს ფოკის თავისთვისაც გამოსთხოვეს,-მათივე სიტყვით რომ ვსთქვათ,

ფგვიე არა ქრისტიანული წოდება. მე VI საუკუნეში პაპ გრიგორი დიდის დროს მათი უფლებანი საკმაოდ გაფრცელდა დასავლეთში. ძან კათოლიკე ეკკლესიის წიალსა შინა მიიღო Ариозъелнი: Вестгуотნი, ლონგობარდნი, მონათლა Инглисსაქსნი და განუწესა მათ მღვდელ-მთავარნი. შემდეგ საუკუნეში წმ. ბონიფაციმ პაპის ტახტს დაუმორჩილა ახლად დამკვიდრებული ბერმანიის ეკკლესია. ამის შემდეგ პაპებს არა თუ აღარ ეშინოდათ ბიზანტიის იმპერატორებისა, რომელთა ხელმწიფებაც ეტალიაზედ ამ დროებში ძრიელ უსუსტი იყო, არამედ, თუ შემთხვევა მოიტანდა, ადეკ შეეჩვენებოდენ ხოლმე.

პაპებმა სამეფო გვირგვინი რომ დაადგეს პიპინს და საიმპერატორო-კი კარლოს დიდსა, სამაგიეროდ თვითონაც გასამრჯელოში მიიღეს წინად ბიზანტიის იმპერატორთა კუთვნილი რავენის ექსარხოსო და ასრე შეიქმნენ საერო მეუფენი. კარლოს დიდმა, მოიწადინა-რა იარაღით დამორჩილებულნი ქვეშევრდომნი დაემორჩილებინა სულიერადაც, პაპს მიანიჭა მეფეობა მთელს დასავლეთის ეკკლესიისა. ასრე ამაღლებულ პაპებმა აღარ იკადრეს თანასწორობა აღმოსავლეთ პატრიარქებთან და მოინდომეს თავისუფლის მიესაკუთრებინათ უზენაესი სასულიერო უფლება მთელის საქრისტიანო ქვეყნისა. მეცხრე საუკუნეში გამოვიდა ვრედ წოდებულ ცრუ-ისიდორეს დეკრეტალნი, რომლებშიაც მოყვანილნი იყვნენ აქამდე უცნობნი გარდაწყვეტილებანი ეპისკოპოსთა; ამ დეკრეტალიებში გაყვანილი იყო ის ჯბრი, რომ ვითომ, უზენაესი გამგეობა საეკკლესიო საქმეთა და განსაკუთრებით ზედამხედველობა და უზენაესი და შეუცილებელი საპარდალი ეპისკოპოსებზედ სულ მუდამ ეკუთვნოდა რომის მღვდელ-მთავარსა. და რადგან დეკრეტალიების გამოცემის ჟამს განათლება და კრიტიკა დახშული იყო, ამიტომ იგინი ადვილად მიღებულნი იქმნენ ნამდვილ და ჭეშმარიტ სიგელებად, ეს ხელზე დაიხვიეს პაპებმა

და მოითხოვენ ყველა ეკლესიების მწყემსთა მორჩილებას, მაგრამ ამ უკანონო მოთხოვნილების წინააღმდეგნი შეიქმნენ ალმოსავლეთის პატრიარქნი. უმეტესად კი კოსტანტინეპოლისა, დაიბადა უთანხმოებაც და მოსპო კავშირი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა შორის — პაპის ფოტისა, და კოსტანტინეპოლის პატრიარქ მიხეილ კერულარიოსის ჟამს.

§ 5. დასავლეთის ეკლესიის განცალკევება აღმოსავლეთ ეკლესიისაგან და მეცადინეობა მათ შესაერთებლად.

IX-ე

იმპერატორ მიხეილ III-ის მცირე-წლოვანობის ჟამს საეხელმწიფოს ჰმართავდა მისი ბიძა, ვარდა. ეს იყო ფრიად გარყვნილი კაცი. პატრიარქმა ეგნატემ ბევრი დაარიგა იგი, მაგრამ რომ ვერას გახდა, წმ. საიდუმლოს მიღების ღირსად არა სცნო და წმ. საიდუმლოს მიღება აღუკრძალა. ვარდა განრისხდა, ტახტიდამ ეგნატე ჩამოაგდო და ექსორია ჰყო, მის მაგიერ კი პატრიარქობა მისცა ფოტისა. არც ხალხმა და არც პაპმა ნიკოლოთ I-მა არ შეიწყნარეს ვარდას განკარგულებანი. პაპმა იმიტომ არ შეიწყნარა უფრო, რომ თავის თავს სთვლიდა მთელი ეკლესიის მეუფედ და იმიტომ იუკადრისა, რომ მეტ დაუკითხავად ტახტიდამ ამხრობდენ პატრიარქებს და დამხრობილის მაგიერ სხვას ნიშნავდენ. ნიკოლოზმა მოითხოვა, რომ ტახტი პატრიარქისა ისევ ეგნატესთვის დაებრუნებინათ. მაგრამ რომ არ შეუსმინეს, მაშინ ფოტის ყოველივე სამღვდელო ხარისხის ჩამოხდა გაბუნჭინა. ფოტიმ თავის მხრით რომის ეკლესია ამხილა მსოფლიო კრებებისაგან აღიარებულ მართლმადიდებლობის განდგომილებისათვის. ეს რა და რაში მდგომარეობდა პაპთა განდგომილებმა: მ ღ ვ დ ე ლ თ ა უ ტ ო ლ ო ბ ა, მ ა რ ხ ვ ნ ო ბ ა თ ღ ღ ე ს, მ ა რ ხ ვ ა ნ ო ბ ა ღ ლ ე ბ ი ს ყ ვ ე ლ ი ს

და კვერცხის ხსნილება; აგრეთვე შეცვლა დოღმატისა სული წმიდაზედ. მსოფლიო კრებათაგან აღიარებულ იყო, რომ სული წმიდა გამოვალს მამისაგანო, პაპებმა კი ეს დოღმატი შესცვალეს და სიმბოლოს მერვე წევრში შეიტანეს სიტყვები „და ძისაგან", ესე იგი, მამი სწავლით, სული წმ. გამოვალს მამისაგან და ძისაგან. ამ გვარად უთანხმოება პატრიარქთა შეიქმნა თვით დასავლეთ-აღმოსავლეთ ეკკლესიათა უთანხმოებადაც. ამ უთანხმოებამ მე-XI-ე საუკ. სრულიად განაშორა და გაჰყარა ეს ეკკლესიანი. ამ საუკუნის ნახევარში ამხილა პატრ. მიხ. კერულარიოსმა, რომ ლათინები უცომო პურზედ ასრულებდნებენ ლუტრგიას. პაპ ლევ XI-მ იწყინა ესრეთი მხილება და თავის მხრით კოსტანტინეპოლის პატრიარქს მიხეილ კერულლარის მოსთხოვა სრულიად დამორჩილებოდა რომის ტახტს. პატრიარქმა, რასაკვირველია, უარ-ჰყო ასრეთი თხოვნა, იმპერატორმა მოინდომა მათი შერიგება. დაიწყეს მოლაპარაკება; საქმის გადასაწყვეტად პაპმა კოსტანტინეპოლეს გამოგზავნა თვისნი მოციქულნი. მოლაპარაკებამ ვერ შეარიგა ეკკლესიანი და უმეტესი განხეთქილება ჩაშოაგდო. პატრიარქი რომ ვერ დაიყოლიეს, პაპის მოციქულნი შეეიდნენ სოფიოს ტაძარში და ტრაპეზზედ დასდვეს პაპის ბულლი, რომელშიაც ეწერა შეჩვენება მთელის აღმოსავლეთის ეკკლესიისა (1,054 წელს). პატრიარქმა ეს ბულლი დასწვა და თვითონაც შეაჩვენა ფრანგთა ანუ ლათინთა ეკკლესია. მის შემდეგ ყოველივე ურთიერთობა და დამოკიდებულება ამ ეკკლესიებ შორს მოისპო.

ჯვაროსნების ომებმა უფრო დიდი განხეთქილება და სიმძულვარე დაჰბადა ბერძენთა და ლათინთ შარის. ჯვაროსნების მეოთხედ გალაშქრების დროს, მთელი ჯვაროსანთა ლაშქარი შეეიდა კოსტანტინეპოლეში; განსდევნეს იქიდგან პატრიარქი და მთელი ბერძენთა სამღვდელოება, გაცარცვეს და დაჰკეტეს

ტაძარნი, პაპის ტაძტის უარ-მყოფელთ საშინელი ტანჯვა მიაყენეს და ზოგიერთგან-კი (მაგ. კვიპრზედ) ცეცხლშიაც სწვამდენ.

ბიზანტიის იმპერიის აღდგენის შემდეგ, იმპერატორებმა რამდენიმეჯერ სცადეს შაერიგებინათ რომისა და აღმოსავლეთის ეკკლესიანი, მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა.

მიხეილ პალეოლოგმ ლათინთა მფლობელობას აღმოსავლეთში ბოლო მოუღო და რომ უშიშრად მჯდგრიყო თავის ტახტზე, გადასწყვიტა აღმოსავლეთის ეკკლესია დაემორჩილებინა პაპთათვის. სამღვდელოება და ხალხი უარზედ დადგა. მიხეილმა ძალა იხმარა. მართლ-მადიდებლობაზედ სიმტკიცისაგამო სამი პატრიარქი ზედი-ზედ იმპერატორმა ტახტიდამ დაამხო. სხვა მაღვიარებელნი მართლ-მადიდებლობისა ცემით სტანჯა, საჯაროდ შეარცხვინა, შორეულ ადგილებში დასამწყვდევად ანუ დასატანჯავად გაგზავნა. შესდგა აგრედ წოდებული მსოფლიო კრება ლიონში (1274 წ.). აღმოსავლეთის ეკკლესიის წარმომადგენლებს ძალად მოაწერინეს ხელი კრების განაჩენზედ: პაპთა პირველობა (მეთაურობა) და ფრანგ-ლათინთაებრ აღვიარება სარწმუნოებისა კრებამ მიიღო. მოკვდა მიხეილი და ასრე დაძალადებით მოხერხებული შეერთება ეკკლესიებისა ჩაიშალა. თვით იმპერატორ მიხეილს ეკკლესიურის წესით დასაფლავებაც არ აღირსეს. მისნი თანამოაზრენი დასაჯეს. ფრანგნი ისევ შეაჩვენეს. მაგრამ სარაცინნი რომ ყოვლის მხრით შემოერტყნენ ქოსტანტინეპოლესა და ქრისტიანენი შეაჭირვეს, მაშინ იმპერატორ იოანე VII პალეოლოღმა მოინდომა აღმოსავლეთი ეკკლესია როგორმე დაემორჩილებინა პაპისათვის, რომ ამ გაჭირებულ დროს მისგან მიეღო შემწეობა წინააღმდეგ მტერთა. დაიწყეს მოლაპარაკება. პაპ ევგენი IV-მ განაახლა კრება ფერრარში (1438 წ.). მაგრამ აქ იმავე წელიწადს გაჩნდა ჭირი და კრება მეორე წელიწადს გადიტანეს ფლორენციაში. ქოსტანტინეპოლის პატრიარქისა და

ალმოსავლეთის 20 მღვდელ-მთავრითურთ კრებას დაესწრო თვით იმპერატორი. კრებაზედ სულ გამოცხადდა 150 მამა. მათ შორის მხოლოდ თითო წარმომადგენელნი იყვნენ: რუსეთიდამ, ბოლგარიდამ, ელახეთ-ბოლდავიიდამ და საქართველოდამ*. ალმოსავლეთის სამი პატრიარქი არ დაესწრო ამ კრებას. ამ კრებაზედაც ყოველმზვე სიმართლე-ბერძნების მხარეს იყო, მაგრამ ძალდატანებით დაათანხმეს დამსწრენი და განაჩინეს, რომ მართლ-მადიდებელი ალმოსავლეთის ეკკლესია ემორჩილება რომის ტახტსაო და სული წმიდა გამოვალს მამისა და ძისაგანაო. ამ განაჩენზე ხელი არ მოაწერეს მხოლოდ: მარკოზ ეფესელმა, საქართველოს მიტროპოლიტ გრიგორიმ და ბერძნების ზოგიერთ ფილოსოფოსებმა. კრების დადგენილება სახალხოდ გამოცხადებულ იქმნა ფლორენტინის ეკკლესიაში 6 იულისს 1439 წელს.—დიდის სიძულვარით და მუქარით ძალიან ბერძნებმა მეოთხენი ეპისკოპოსნი, დაბრუნებულნი კრებიდამ, პატრიაქნი, რომელნიც კრებას არ დაესწრენენ, შეიყარენენ იერუსალიმში და საჯაროდ დასწვეს ფლორენტინის კრების უნია (1443 წელს).

---

* საქართველოდგან ამ კრებაზე დასასწრებად წარგზავნილ მოციქულის შესახებ ცნობანი იხ. საქართველოს საეკკლესიო ისტორიაში (გვ. 104—105).

თავი მეოთხე.

პირველთა ქრისტიანეთ ცხოვრება და ღვთის მსახურება.

§ 1. პირველ ქრისტიანეთ მკაცრი ცხოვრება და ძმური სიყვარული.

თუ ვითარ სცხოვრობდენ პირველნი ქრისტიანენი ურთიერთ შორის, ამაზედ ჩვენ მოკლე ცნობანი მოვიყვანეთ ამ ისტორიის პირველ თავის მე § 2-ში. ნათქვამს დავუმატებთ ეხლა თვით სახარებისავე თხრობას ამ საგნის შესახებ; — „საქმე მოციქულთა“ (თ. 4, მმ. 31—35) გვასწავლის:

„და ლოცვასა მათსა შეიძრა ადგილი იგი, სადა იყვნენ შეკრებულ და აღივსნეს ყოველნი სულითა წმიდითა, და იტყოდეს სიტყვასა მას ღმრთისასა განცხადებულად. ხოლო სიმრავლისა მის მორწმუნეთასა იყო გული და გონება ერთ, და არცა ერთმან ვინ სთქვის მონაგები მისი თვისად, არამედ იყო ყოველივე მათდა ზოგად. და ძალითა დიდითა ჰყოფდეს მოციქულნი წამებასა მას აღდგომისასა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესსა; და მადლი დიდი იყო მათ ყოველთა-ზედა. და არავინ იყო ნაკლულევან მათ შორის; რამეთუ რომელნი იგი პოვნიერ

იყვნეს სახლებისა, გინა დაბნებისა, გინჰყიდდეს და მოაქვნდა სასყიდელი განსყიდულთა მათ და დასდებდეს ფერხთა თანა მოციქულთასა; და მიეცემოდა კაცად-კაცადსა, რაცა ვის-უხმდა".

ძონების ამნაირად მოხმარებისაგამო, ქრისტიანეთა შორის Ierusalimში არც ერთი ღარიბი არ იყო. ასეთი ძმური სიყვარული ჰსუფევდა არა თუ მარტო ერთის ეკკლესიის ქრისტიანეთა შორის, არამედ ყოველთა შორის, განურჩეველად გვარ-ტომობისა ან ჩამომაელობისა; ყველანი ერთმანერთს ძმებად და დებად უწოდებდენ. ქრისტიანეთა საზოგადოებანი სიყვარულით უველიდენ მგზავრთა, გლახათა, მოხუცთა, უძლურთა, ქვრივთა და ობოლთა, არ იშურებდენ ფულს ტყვეთა დასახნელად. საზოგადო უბედურებათა—შიმშილისა და ჭირი, გაჩენის ჟამს თავ-განწირულებით ემსახურებოდენ ქრისტიანენი არა თუ თვის ქრისტე Iesoს მიერ ძმათა, არამედ წარმართთაც-კი.

ამას გარდა ქრისტიანენი განთქმულნი იყვნენ თვისის მკაცრის ცხოვრებით. ყველა ფერში ქრისტიანენი სულ მცირეოდენით კმაყოფილდებოდენ. ელტოდენ-რა უმაღლეს მიზანს, სიამოვნებდენ უმაღლესის და უწმინდესის სიხარულითა, საჭიროდ აღარა რაცხდენ გართობას საზოგადოებრივ უწესო თამაშობა-მსახიობითა და უმართებულო შეკრებილებითა. ზოგი-ერთნი წარმართნი მოიქცეოდენ-რა ქრისტიანობისადმი, აღიგზნებოდენ ისეთის დიდის სიყვარულით ღვთისადმი, რომ უარ-ყოფდენ ყოველ გვარ გასართობელსა, უცოლოდ ლევდენ თვის დანარჩენ სიცოცხლესა და ყოველსავე თვის ძალ-ღონეს ღარიბთა საშველად ხმარობდენ. ესრეთნი პირნი იწოდებოდენ განდეგილებად. პირველად იგინი საზოგადოებას არ შორდებოდენ. შემდეგში-კი მისირიაში მათ სოფლების ახლო დასახლება დაიწყეს. ბოლოს კი სულ განშორდნენ საზოგადოებას. პავლე Thivanელი, დეკის მიერ ქრი-

სტიანეთა დევნულების ჟამს, გაიქცა მეწამულ ზღვისკენ, აღ-ვიდა ერთს მთაზედ და სცხოვრობდა აქ ვიდრე 340 წ. Იგი იყო პირველი განდეგილი, მწირი მეუდაბნოე.

§ 2. ზნეობითი გავლენა ეკკლესიისა საზოგადრებაზედ კონსტანტინე დიდს აქეთ და ბრძოლა ულვთოებასთან.

Ზაიმარჯვა-რა ქრისტიანობამ რომის იმპერიაში, დიდი ცვ-ლილება მოახდინა სახელ-მწიფოს სჯულ-დებაში, საოჯახო და სამოქალაქო ცხოვრებაში. Ბლადიატორეთა ბრძოლანი, წარმართთა უზნეო გასართობელნი და გარყვნილებით აღსავსე შესაქცევარნი მოისპო. საქველ-მოქმედო დაწესებულებანი-კი გამრავლდნენ. Ცოლ-ქმრობა შეიქმნა წმინდა და განუყ-რელი. ხალხში გავრცელდა ქრისტიანებრივი შეხედულობა კაც-მოყვარეობასა, პატიოსნებასა და სათნოებაზედ, წარმარ-თობასა და გარყვნელებაში მილეული ქვეყანა განახლდა ქრი-სტიანობით...

მხოლოდ ერთმა შემთხვევამ, ცოტა არ იყოს, შეაფერინა ქრისტიანების წმინდა ცხოვრება. ეს იყო კანონი, რომლის ძალით სახელმწიფოის ყოველი წევრი და წარმომადგენელი უსათუოდ იმავე სახელმწიფოს ეკკლესიის წევრადაც უნდა ყო-ფილიყო. Ამისაგამო ეკკლესიის ჭეშმარიტ ცხოვართ შაერიენენ იმისთანანიც, რომელთაც ქრისტიანობისკენ გული ჯერ მიუწევ-დათ და არც ასრულებდენ სარწმუნოების მოთხოვნილებას. Ამის გამო ქრისტიანეთა საზოგადოება ორად გაიყო, ერთნი სცხოვრებდენ ღვთის-ნიერად, კეთილად, ღვთის მოსაყვარულე-მოშიშნი იყვნენ, მეორენი შთაცვივნულ იყვნენ ცხოვრების მორევში, და წარმართთა ცხოვრებაზედ უკეთესი ცხოვრება არა ჰქონდათ. Ამ გვარ ბოროტების და უზნეობის აღმოსაფ-

ხვრელად იბრძოდენ ეკლესიის ყველა უკეთესნი წარმოშადგენელნი, სახელდობრ: წმ. ვასილი დიდი, გრიგორი ღვთისმეტყველი, ამბროსი, ნეტარი აგვუსტინე და უმეტესად კი წმიდა იოანე ოქროპირი.

იოანე ფუო სირიის სპასპეტისა და ღვთის-ნიერ დედა-კაცის ანთუზას შვილი. იგი დაიბადა 347 წ. იოანემ მაშინდელ დროის შესაფერი განათლება მიიღო. მჭევრმეტყველების მასწავლებლად ჰყვანდა განთქმული ლიბანე. სწავლის დასრულებისათანავე მას უნდოდა წასვლა უდაბნოში სამოღვაწეოდ. დედის ვედრებამ დაამლევინა ეს გარდაწყვეტილება. მაგრამ დედის გარდაცვლისავე უმალ წავიდა ანტიოქიის ახლოს და აქ ერთ გამოქვაბულში განატარა შვიდი წელიწადი დიდის მოღვაწეობით. ანტიოქიის მთავარ-ეპისკოპოსმა მელეტიმ გამოიყვანა იგი გამოქვაბულიდამ და მისცა დიაკონობა; მელეტის მოადგილე ფლაბიანემ აკურთხა მღვდლად (386 წ.) და მიანდო მას მოძღვრება საკრებულო ტაძარში. იოანეს ბაგედამ წარმოედინა ისრეთი მიმადლებული მოძღვრება, რომ მისნი მსმენელნი ველარ სძღებოდენ მის ტკბილ სიტყვით.

იოანეს სახელი, როგორც მჭევრ-მეტყველ მქადაგებელისა, განითქვა. მას უწოდეს ოქროპირი. ანტიოქიიდგან იმპერატორმა იგი დაიბარა კონსტანტინეპოლეს და მიუბრძანა მთავარ-ეპისკოპოსობა სატახტო ქალაქისა. აღგზნებული წმინდა სიყვარულით ქრისტესადმი, იგი განცვიფრდა, როდესაც ნახა უწესო და უშვერი ხნე დიდებულის ქალაქისა. სამღვდელოებაში ჰსუფევდა პატივ-მოყვარეობა და მიდრეკილება მდიდრულ ცხოვრებისადმი, ხოლო ხალხში უზრდელობა, ცრუ-მორწმუნეობა, გარეგნული ღვთის-მოყვარეობა. ბეჯითად შეუდგა წმინდა იოანე სამწყოს უძლურებათა განკურნებას. არ შეიწყალა არც მწყემსნი და არც სხვანი. ასტყდა ქუხილი მჭევრ-მეტყველებისა

წინაალმდეგ მდიდრულად ცხოვრებისა და გარყვნილებისა. საასპარეზო მოედანი და მსახიობების სახლნი ცარიელდენ, ხალხი მიაწყდა ეკლესიის კარებს Іოანესაგან ოქრო-სიტყვების მოსასმენად. Ყოველ კვირიგ საშჯელ ქადაგებდა ეგი და ხან-კი ყოველ დღე განმარტებდა მოციქულთა საქმეთა და ეპისტოლეთა, ამხილებდა ჭეშმარიტის სწავლის შემრევნელთა და ზნეობით დარიგებას აძლევდა ხალხსა. Іგი ხმა მაღლივ ჰლაღადებდა, რომ მოწყალების გაღება უკეთესი სწხსარია ცოდვების მოსანანებლადო. ხალხმა შეიყვარა თავისი დაუღალავი და წმინდა მღვდელ-მთავარი. მაგრამ მის მიერ გაწყენებულნი ეპისკოპოსნი და მწყემსნი, მისი მართალი სიტყვისგან გულნატკენნი ხეფეწულნი, მის წინაალმდეგ შურით აღსილი ალექსანდრიის მთავარ-ეპისკოპოსი Თეოფილე და თვით დედოფალი, რომელიც ყოველს Іოანეს მიერ წარმოთქმულ მხილებას თავის თავს მიაწერდა, — ყველა ესენი Ოქროპირის მოწინაალმდეგენი იყვნენ და სცდილობდენ მის დაღუპვას. Ოქროპირი ცგლისწამებისა და მტრობისაგან ვერ დაიფარა ვერც მისმა წმინდა ცხოვრებამ, ვერც განთქმულმა მისმა სახელმა და ვერც ხალხის სიყვარულმა: ორჯერ განდევნეს ეგი სამეფო ქალაქიდგან. მეორე ვანდევნის დროს გზაზედ აღესრულა (407 წელს).

პირველად რომ განდევნეს Ოქროპირი, კოსტანტინეპოლეში მიწის ძერა მოხდა. შეშინებულმა დედოფალმა ევდუქსიამ წმინდა Іოანე დაიბრუნა დიდის ეედრებით. მეორედ განდევნის დროსაც ცეცხლი თავის თავად გაუჩნდა საკრებულო ტაძარსა და დიდი ზარალი მისცა ქალაქსა. მაგრამ ახლა კი აღარ დაბრუნეს. წმიდანი გაგზავნეს ჯერ მცირე სომხეთის ქალაქ კუკუზაში, და მერმე იქიდგან აფხაზეთის ქალაქ პოთინეში, და შემდეგ გადიყვანეს ქომანში. წმიდანმა წინასწარ სცნო სიკვდილის მოახლოვება. ჩაიცვა თეთრი ტანისამოსი, რაც კი

რამ ებადა, ყოველივე თავისთან მყოფებს დაურიგა, ეზრარა, შეეეედრა ღმერთსა, ჩაწვა კუბოში და სული განუტევა. აი უკანასკნელი მისი სიტყვები: „მადლობა უფალსა ყოველისათვის". 30 წლის შემდგომ მისნი უხრწნელნი ნაწილნი გადიტანეს ქრისტანტინეპოლეს.

§ 3. მონასტრების დაარსება აღმოსავლეთში.

პირველ მონასტრის დამაარსებელად ითვლება წმ. ანტონი. იგი დაიბადა 251 წელს სოფ. თივაიდაში (ზემო ეგვიპტეშია). მისი მშობლები იყვნენ ქრისტიანენი და ამასთანავე მეტად მდიდარნი. ყრმობიდგანვე მწირი ცხოვრება დაიწყო. არ უყვარდა მდიდრული, მხიარული ცხოვრება. დედ-მამას მუყაითად ჰშველიდა ყოველ გვარ საოჯახო საქმეებში და ასრევე მუყაითად დედ-მამასთან ერთად დადიოდა ტაძარში და ყოველსავე იქ შესმენილს ღრმად იჭდევდა გულში.

20 წლისა რომ შეიქმნა, მშობლები დაეხოცნენ. ძცირე წლოვან დის და მთელი ქონების მზრუნველი შეიქმნა ანტონი. ერთხელ იგი ტაძარში ლოცულობდა. ამ დროს სახარებიდამ წაიკითხეს ქრისტეს შემდეგნი სიტყვანი, მდიდარ ჯაბუკისადმი მიმართულნი: „უკეთუ გნებავს, რათა სრულ იყო, წარვედ და განჰყიდე მონაგები შენი, და მიეც გლახაკთა, და გაქვნდეს საუნჯე ცათა შინა, და მოვედ და შემომიდეგ მე". ეს სიტყვები ანტონიმ თვისადმი მიმართულად მიიჩნია. დაბრუნდა-რა შინ, უარ-ჰყო ყოველივე ქონება თვისი. 300 ღლიური მიწა აჩუქა გლეხებს; მოძრავი ქონება გაჰყიდა და მიღებული ფული დაურიგა გლახაკთა. სულ მცირეოდენი-კი შეინახა თავის დის სარჩენად. მეორეჯერ ეკკლესიაში რომ მოისმინა ქრისტეს სიტყვანი: „ნუ ჰზრუნავთ ხვალისათვის, რამეთუ ხვალემან

იზრუნოს თავისა თვისისა",-დაბრუნდა შინ, დისთვის შენახული ოქროც კვლავ დაურიგა ღარიბთა, ერთად ერთი და მიაბარა ღვთის-მსახურ ქალთა, თვითონ-კი გავიდა სოფლიდამ, განდეგილი ცხოვრება და მოღვაწეობა დაიწყო. ეშმაკი შეუჩნდა და მისი შეცდენა მოიწადინა. მაგრამ ანტონიმ ღვთის სახელით სძლია მაცთურს. ანტონი მკაცრად სცხოვრებდა: ხშირად ღამეებს თეთრად ათენებდა, საჭმელს მზის ჩასვლის შემდეგ იკარებდა, ხშირად სამსა და ოთხს დღეს განუწყვეტლივ მარხულობდა, არ იკარებდა აგრეთვე არც ხორცსა, არც ღვინოსა; იკვებებოდა მხოლოდ წყალ-პურითა და მარილითა; იძინებდა ტიტველა მიწაზედ. ბოლოს ამითაც არ დაკმაყოფილდა. წავიდა და ნაოხარს გამოქვაბულში შთაიკეტა. აქაც ეშმაკი შეუჩნდა, მაგრამ შეცდენით რომ ვერ შეაცდინა, დაუწყო წვალება-ტანჯვა. წმინდანს მოეევლინა იესო, განაგდო ეშმაკი, წყლულებისა და ავად-მყოფობისაგან განკურნა, აღუთქვა შემწეობა და ქრისტეს სახელის გაბრწყინება ქვეყანასა ზედა.

ანტონის სახელი, როგორც უკეთესის მოღვაწისა, მთელს საქრისტიანოში განითქვა. მაგრამ მისი მოღვაწეობა ამით არ დასრულდა.

აქამდე თუ იყვნენ სადმე მოღვაწენი და განდეგილნი, ისინი სოფლების და ხალხის საცხოვრებელ ბინების მახლობლად სცხოვრებდენ. უდაბნოებში ცხოვრება არავის ეკისრნა. ანტონიმ გარდასწყვიტა განმორებოდა ხალხს. ღვთისა-მიმართ ლოცვის შემდეგ, წარვიდა უდაბნოდ. ეშმაკმა მის გასავლელ გზაზედ ერთი ტომარა ოქრო დააგდო, რომ შეეცდინა. მაგრამ ანტონიმ არც კი შეხედა ოქროსა და ღვთის შემწეობით მიაღწია მეწამულ ზღვის პირად მდებარე მთებამდე, საცა ჰპოვა ერთი ნაოხარი და შიგ დასახლდა. ამ მხარეში წყალი საკმარ იყო, პურს-კი წელიწადში ორჯერ მოუტანდენ მეგობარნი და ბანიდგან თოკებით ჩააწვდიდენ ხოლმე, რადგან კარები სახლისა

განგებ დაეხშო შიგ მცხოვრებ მოღვაწესა, ასრე გაატარა 20 წელიწადი. ამ დროს განმავლობაში ფრიად განითქვა მისი სახელი და მრავალნი მივიდნენ მასთან სამოღვაწეოდ. ანტონი, დიდის ვედრების შემდეგ, გამოეცხადა მათ. იგი მიემსგავსებოდა ღმერთის წინასწარმეტყველსა. სახე არ შეცვლოდა, სული-კი განწმენდილი ჰქონდა, რადგან მიჰმადლებოდა მადლი უფლისა. ანტონი ჰკურნებდა ავად-მყოფებს, განაძევებდა ბოროტ სულთა, ნუგეშ-ცემდა დავრდომილთა, არიგებდა მტრებსა და ევედრებოდა ყველას დაეტოვებინათ ზრუნვა სოფლისათვის და შესდგომოდენ ქრისტესსა. ანტონი შეიყვარა ხალხმა. თვით იმპერატორი კონსტანტინე მთელის თავის სახლობით მას წერილებს სწერდა ხოლმე და ისრე პატივ-ცემდა, რომელიც მამას. ანტონიც დარიგებას აძლევდა და ყოველფერს აგონებდა იმპერატორსა, რომ მეფეთა მეუფე ჯერის მხოლოდ ქრისტე.

საზოგადოებაში ანტონი სულ ორჯერ გამოცხადდა. ერთხელ მაშინ, როდესაც წავიდა ალექსანდრიაში მაქსიმიანესაგან დევნულ ქრისტიანების გასამხნევებლად და საპყრობილეში დამწყვდეულების სანუგეშებლად. მეორეთაც ისევ ალექსანდრიაში წავიდა (325 წელს), არიოზის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ჟამად ანტონიმ რამდენიმე დღეს იმდენი წარმართნი მოაქცია, რამდენსაც მთელს წელიწადს ძლივს მოაქცევდენ ხოლმე. წმიდანი აღესრულა 105 წლისა.

ანტონის მიმბაძველნი მრავალნი გვმოჩნდენ. ამათ შორის შესანიშნავნი არიან: წმ. პახუმე, რომელმაც ნილოსის კუნძულს ტავენზედ დააარსა მამაკაცთა და დედათა მონასტერნი*; წმ. მაკარი მეგვიპტელმა სკეტის უდაბნოს მონასტერი; წმ. ილარიონ დიდმა დააარსა მონასტერი სირიაში

---

* მონასტერი ლაფინური ს�sტეა, ქართულად „სამზრუველი“.

გაზის ახლოს; წმ. ხარიტონმა—პალესტინის პირველი უდაბნოფარრანისა. ამათგან ყოველმა თვის მიერ დაარსებულ მონასტრის ძმათათვის დაადგინა წეს-რიგი, რომლის ძალით ძმათა მოეთხოვებოდათ: სრული მორჩილობა წინამძღვარ (იღუმენი) არხიმანდრიტისა, უარ-ყოფა თვისის ნებისა და ქონებისა, დათრგუნვა ხორციელის მოთხოვნილებისა, მუდმივი კითხვა ღვთის სიტყვისა, საღმრთო საგალობელთა გალობა, ლოცვა და მუშაობა.

წმ. ვასილი დიდმა და შემდეგ სხვა ეპისკოპოსებმაც ბერთათვის აღაშენეს დიდნი შენობანი (კინოვიანი). აქ მონაზონნი ერთად სცხოვრობდენ. მათი ზედამხედველი იყო წინამძღვარი არხიმანდრიტი. ამის შემდეგ მონასტერნი უფრო საესარგებლონი შეიქმნენ: იგინი შეიქმნენ მფარველად დევნულთა და ტანჯულთა, საქველმოქმედო თავ-საფარად გლახაკთა, უძლურთა და მოგზაურთათვის, ავრეთვე ყრმათა და სამღვდელო პირთა აღმზრდელ სკოლებად.

ამ ნაირად მე IV საუკუნეში ცნობილნი შეიქმნენ ორ გვარნი მონაზონნი: განდეგილნი* და კინოვიელნი. პირველნი ან სრულიად ცალკ-ცალკე, განმარტოებით სცხოვრობდენ სადმე შორს საზოგადოებისაგან, ან-და საზოგადოე-

---

* განდეგილთაგან შესანიშნავნია აგრედ წოდებულნი მესვეტენი. ასრე იმიტომ იწოდებოდენ, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში დაუუდებულნი იყვნენ სვეტებზე, მაღალ კლდეებზე. პირველი მაგალითი დაუუდებულის ცხოვრებისა გვიჩვენა ახალგაზდა სირიელმა, ნეტარმა სიმეონმა. მონასტრიდამ წავიდა ანტიოქიის ახლო მთაზედ და მკაცრ ცხოვრებას შეუდგა. მრავალი ხალხი მოდიოდა და მოსვენებას არ აძლევდა. ამიტომ სიმეონმა შეაგროვა ქვები და ნელ-ნელა აღაშენა $8^1/_2$ საჟენის სიმაღლე სვეტი. ამ სვეტზე სიმეონმა გაატარა 40 წელიწადი და აქვე აღესრულა 103 წლისა. ამის მაგალითს მრავალთა წაუბაძეს. სხვათა შორის ზოგიერთ ქართველთა ბერებმაც. მაგ. წმ. ანტონი მარტყოველმა და სხ.

ბის მახლობლად, აგრედ წოდებულ ლავრებში, მხოლოდ აქაც ცალკ-ცალკე, თვითოეული საკუთარს სენაკში ანუ ღვიმეში, მეორენი-კინოვიელნი მოთავსებულიყვნენ ერთს საზოგადო შენობაში, ანუ ყველა სენაკები შემოზღუდულ იყო ერთის საზოგადო გალავანით; იგინი ემორჩილებოდენ ერთგვარ წესსა, საკუთრება არა ჰქონდათ, არამედ ყოველივე მათ შორის იყო საზოგადო.

§ 4. დასავლეთის მონაზონება.

ბალლიებში ექსორიად წარგზავნილმა წმ. ათანასემ აღწერა ცხოვრება ანტონი დიდისა და მით დასავლეთს მკროპას გააცნო მონაზონებრივი ცხოვრება. მარტინი, ტურის ეპისკოპოსი და ძალიან ცდილობდენ მონაზონება დაემკვიდრებინათ გალლიაში, წმ. ამბროსი და იერონიმე—იტალიაში და ნეტარი აგვისტინე კი—აფრიკაში. პირველად მონაზონება ფეხს ვერ იკიდებდა ამ ადგილებში. მხოლოდ აქაც მონაზონება განმტკიცდა წმ. ბენედიკტე ნურსიელის მეოხებით (480 წ.). ამან 14 წლისამვე მოიძულა რომის დაუცხრომელი ცხოვრება. წარვიდა სუბიაკოს უდაბნოში და ერთ გამოქვაბულში (რომიდამ 100-დე ვერსის მანძილზე) სამი წელიწადი განმარტოებით ილვაწა. სამი წლის დასასრულს მას მწყემსებმა მიაგნეს. ბაითქვა მისი სახელი. მოვიდა მრავალი ხალხი მის მოძღვრების მოსასმენად. 526 წელს კამპანიის ერთ უდაბურს მთაზედ წმ ბენედიკტემ დასდო საფუძველი განთქმულის მონტე-კასინოს საამბატოსი. შეადგინა ძმათათვის წესნი. ამ წესების მეხედვით ძმანი გარდა ღვთის-მსახურებისა, ლოცვისა, სალმთო წერილის კითხვისა, ვალდებულნი იყვნენ აგრეთვე ესწავლინათ მეცნიერება, მხატვრობა და ყმაწვილებიც აღეზარდათ. დავრ-

დომილნი ძმანი კი ვალდებულნი იყვნენ გადეწერათ სასარგებლო თხზულებანი. ეს შეიქმნა მიზეზად იმისა, რომ მრავალნი ძველნი ხელთ-ნაწერნი გადიწერნენ და შთამომავლობისათვის დაცულ იქმნენ მონასტერ—უდაბნოების სავანეებში.

წმ. ბენედიკტეს მიერ შემუშავებულნი საძმო-სამოღვაწეო წესნი გავრცელდნენ იტალიისა, გალლიისა და ისპანიის მონასტრებშიაც.

§ 5. დრო და ადგილი საქრისტიანო ღვთის-მსახურებისა და წმ. საიდუმლონი.

პირველნი ქრისტიანენი, აღგზნებულნი ცხოველის სარწმუნოებით, გულ-მოდგინედ დადიოდენ ეკკლესიაში ღვთის მსახურების მოსასმენად. მოციქულნი სალოცავად დგლით და საღამოთი იკრიბებოდენ იერუსალიმის ტაძარში. წმ. საიდუმლოს შესასრულებლად კი გროვდებოდენ კერძო სახლებში. დიოკლეტიანეს მეფობის დასაწყისში, 50 წლის განმავლობაში ქრისტიანენი თავისუფლად აშენებდენ ტაძრებსა და მცთში ლოცულობდენ. დევნულების დროს კი სალოცავად შეიკრიბებოდენ ხოლმე საცა მოხდებოდა: წამებულთა საფლავებზე, გამოქვაბულებში, საპყრობილეში და გემებზედ.

კოსტანტინეს მოქცევის შემდეგ იმპერატორნი სცდილობდენ, რომ ერთს-მეორეზე უმშვენიერესი ტაძარი აეშენებინათ. შესანიშნავია ამ მხრით მაგ. სოფიის ტაძარი კოსტანტინეპოლეში (ახლა იგი მეჩეთია). ეკკლესიანი იერუსალიმის ტაძრის მიხედვით, იყოფებიან სამ ნაწილად: სტოვა, ტაძარი და საკურთხეველი. სამღვდელო პირნი მაშინაც, ღვთის-მსახურების დროს, იმ გვარსავე სამოსელს იცვამდენ, როგორსაც იმოსავენ ახლა; მაგ.: სტიქარი, ოლარი, ფილონი, საბუხრები, სარტყელი, ომფორი და სხ.

მოციქულების დროს იერუსალიმის ქრისტიანენი ღვთის-მსახურების მოსასმენად ყოველ-დღე იკრიბებოდენ, იერუსალიმის გარე მცხოვრებნი კი კვირაში ერთხელ—ისიც ქრისტეს აღდგომის დღეს, ე. ი. კვირაობით. ეს დღე შეიქმნა პირველ სადღესასწაულო დღედ ქრისტიანეთათვის. მან შესცვალა ძველებური დღესასწაული შაბათისა. ოთხშაბათს—ქრისტეს იუდასაგან გაცემის დღეს და პარასკევს—ქრისტეს ჯვარ-ცმისა—ქრისტიანენი სინანულით, ლოცვით და მარხვით ატარებდენ. საწელიწადო დღესასწაულთა შორის ყველაზე პატივ-ცემულ იყო აღდგომა, რომლისათვის ემზადებოდნენ ორმეოცი დღის მარხვითა. შემდეგ პასექისა 40 დღის თავზე მოდიოდა ამაღლება ქრისტესი და 50 დღის გასულს კი წმ. სულის მოფენა ანუ მეერგასეობა. მეორე საუკუნიდგან დაიწყეს დღესასწაულობა ქრისტეს შობისა და ნაშობლიღების დღეებისა. ღვთის მსახურება იწყობოდა საღამოთი და ხშირად მთელ ღამეს გასტანდა ხოლმე. რომის იმპერატორებმა რომ აღკრძალეს ყოველგვარნი შეკრებილებანი ღამ-ღამეობით, ახლა ქრისტიანენი იკრიბებოდენ განთიადისას.

კონსტანტინე დიდის შემდეგ წმინდა დღეთა ანუ დღესასწაულთა რიცხვი გამრავლდა. მეექვსე საუკუნეში დადგენილ იქმნენ დღესასწაულნი: ხარება, მირქმა და მიძინება ღვთის-მშობლისა; მეშვიდე საუკუნეში: ამაღლება საუფლო ჯვარისა; მეოთხეში—ტაძრად მიყვანება ყდ. წმიდა ქალწულის მარიამისა; მეათეში—მართლმადიდებლობის კვირიაკე და საფარველი ღვთიშობლისა (1 ოქტომბერს). კონსტანტინეს ბრძანებისამებრ კვირა დღეობით ისპობოდა ყოველ გვარი მუშაობა. მარხვანი: ქრისტეს შობისა, მიძინებისა ანუ მარიამობისა და პეტრეპავლობისა უკვე მიღებულნი იყვნენ.

ღვთის-მსახურებას შეადგენდა შემდეგი: კითხვა ღვთის სიტყვისა, საღმრთო საგალობელთა გალობა, ლო-

ცვა, საიდუმლოთა შესრულება და მოძღვრება. პირველ დროში საკითხავის ამორჩევა დამოკიდებულ იყო წინამძღვარზედ, შემდეგში კვირიაკეთა და დღესასწაულ დღეთათვის განსაკუთრებულნი საკითხავნი განაწესეს. პირველად ყველა მლოცავნი გალობდენ ეკკლესიაში, შემდეგში კი (მე IV საუკუნიდამ) დაადგინეს მგალობელნი და ეკკლესიური გალობა გაამშვენიერეს. მე VIII საუკუნეში შეადგინეს რვა ხმიანი საგალობელნი, რომელნიც აქამომდე არსებობენ. იმავე საუკუნეში დასავლეთ ქვეყნების ეკკლესიებში შემოიღეს საკრავების ხმარება ღვთის-მსახურების დროს. საეკკლესიო საგალობელთა შემადგენელთაგან შესანიშნავნი არიან: ეფრემ სირიელი, ვასილი დიდი, გრიგორი ღვთის-მეტყველი, ამბროსი მედიოლანელი და იოანე დამასკელი.

შაღრესს და უსაჭიროესს წაწილს ღვთის-მსახურებისას შეადგენდენ (პირველ დროს) საიდუმლონი. მოუნათლავად ეკკლესია არავის იღებდა. მონათვლის წინად, მოციქულების დროს, მოსანათლავს მცირე დარიგებას აძლევდენ. მერმე ქრისტეს მცნებისამებრ ნათელს-სცემდენ სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამასთანავე ნათელ-მღებელს სამჯერ წყალში შთაფლავდენ. მოციქულების შემდეგ საჭიროდ დაინახეს მონათვლა შემდეგ კარგა ხნის მომზადებისა. მონათვლის შემდგომ წმ. სული გარდამოვიდოდა ნათელ-ღებულზედ — წინად ხელ-დასხმით, — შემდეგ მირონ-ცხებით. წმიდა სულის გარდმოვლენის უფლება ჰქონდათ მოციქულებსა და მათ მოადგილე ეპისკოპოსებს. მირონცხებით სული წმიდის გარდმოვლინების შემდეგ კი ესევე უფლება მიეცათ მღვდელთაც. მირონის კურთხევის უფლება კი დარჩათ მხოლოდ ეპისკოპოსებს.

ნათლი-ღების მსურველი მიდიოდა ეპისკოპოსთან, რომელიც მას ჯვარს გადასახავდა, უწოდებ-

და ახალს სახელს და ჩასწერდა საეკკლესიო წიგნებში. ამის შემდეგ მოსანათლავი ქრისტიანეთა საზოგადოებას ეკუთვნოდა და სხვა კათაკმეველებთან ერთად (კათაკმეველად იწოდებიან ისინი, რომელნიც მოსანათლავად ემზადებიან) სწავლობდა სიმბოლოს სარწმუნოებისას და საზოგადოდ ყველა საქრისტიანო დოღმატთა. კათაკმეველებს ან ადგილობრივი მღვდელი ასწავლიდათ, და ან თვითონვე სწავლობდენ მათთვის განგებ დაწესებულ სკოლებში. მომზადების დრო ნათლი-ღებისათვის ხანდისხან რამდენიმე წელიწადს გასტანდა. კათაკმეველთა ნათელ-ცემისათვის მიღებული იყო: კვირა დღენი, ვნების შაბათი, მეერგასეობა და ქრისტეს ნათლის-ღების დღე. კათაკმეველს ჯერ შეიყვანდენ სტოვაში, გახდიდენ ზემო სამოსელსა და ფეხ-საცმელსა, დააყენებდენ დასავლეთისკენ პირმიქცეულად და სამ გზის უარს აყოფინებდენ ეშმაკსა და მის საქმეთა. მერმე მოაბრუნებდენ აღმოსავლეთისკენ და სამ გზის ეკითხებოდნენ: გსურს შეუდგე ქრისტესა? აგრეთვე კათაკმეველს გამოსცდიდენ სარწმუნოებაში. ამ დროს კათაკმეველი ჰკითხულობდა სარწმუნოების სიმბოლოს. ამის შემდეგ კათაკმეველს სცხებდენ მირონსა, სამ გზის ჩააყუდებდენ ნაკურთხს წყალში ლოცვით სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა და ჩააცმევდენ თეთრ სამოსელსა. ავადმყოფ კათაკმეველებს მხოლოდ წყალს ასხურებდენ. შეორე საუკუნეშივე ნათლიობა და ნათლი-მამობა ჩვეულებად გადიქცა.

მე III საუკუნეში აღიძრა კითხვა: ერეტიკოსთაგან ნათელ-ღება ჭეშმარიტია, თუ არაო. ბევრი კამათობის შემდეგ დაადგინეს, რომ ყოველი ნათლის-ღება სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა ჭეშმარიტიაო.

იმ ქრისტიანეთა, რომელნიც თვის ნათელ-ღების ჟამს აღთქმულ პირობებს დაარღვევდენ. განაყენებდენ ხოლმე ეკკლესიისაგან. იგინი ხელ-ახლა მიღებულ იქმნებოდნენ ხოლმე ეკკლესიისაგან მხოლოდ მაშინ, როდესაც წმინდის გულით-დაიწყებდენ სინანულსა და ცოდვებს აღიარებდენ წინაშე მოძღვრისა. დიდ ცოდვებში ჩაცვივნულთა მთელი ეკკლესიის წინაშე უნდა ელიარებინათ ცოდვანი თვისნი და დიდი-ხნის განმავლობაში მოღვაწეობითა და გამოცდით უნდა დაემტკიცებინათ სიწრფელე თვისის სინანულისა. ამ ნაირ განყენებულთ განხსნიდა ხოლმე ეპისკოპოსი ხელ-დასხმით და ლოცვის წაკითხვით. ცოდვათაგან განსახსნელად ირჩევდენ კვირა დღესა და განსაკურებით კი დიდი მარხვის ოთხშაბათ—პარასკევსა. მესამე საუკუნიდგან საჯარო აღსარება მოისპო და შემოვიდა წესად ცოდვების საიდუმლოდ აღსარება წინაშე მოძღვრისა.

ერთ უმთარეს ნაწილს ქრისტიანებრივ ღვთის-მსახურებისას შეადგენდა აგრეთვე ლიტურღია, რომლის აღსრულების დროს შეასრულებდენ ხოლმე საიდუმლო ზიარებასაც. უფლის ძმის იაკობის, მახარობელის მარკოზის და კლიმენტოს რომაელის ლიტურღიებიდამ სჩანს, რომ ძველებურ დროშიაც ლიტურღიის შესრულების წესნი ყოფილან ისეთივე, როგორიც ეხლა ვასილი დიდის და იოანე ოქროპირის წირვებშია. ამ ორთავეს წირვანი დაწესდა მეოთხე საუკუნეში. იგინი შემოკლებული წირვებია მოციქულის იაკობის წირვისა. შეუმოკლებიათ ანუ შეუმცირებიათ უფრო ლოცვათა რიცხვი წმ. ნაწილთა კურთხევისა. მეექვსე საუკუნეში გრიგორი დიოლოღმა შემოიღო ლიტურღია პირველ შეწირულ ნაწილთა, რომელიც მას კოსტანტინეპოლეში ენახა. პირველ დროში ღვთის-მსახურების დასრულების შემდეგ, მორწმუნეთა შემოწირულებათაგან ჰმართავდენ ტრაპეზსა ანუ სეროგასა სიყვარულისასა, რომელზედაც მონაწილეობას იღებ-

დენ და ესწრებოდენ ყველანი—მდიდარნიცა და ღარიბნიც. მეოთხე საუკუნის ნახევრიდამ ტრაპეზის გამართვა აღკრძალეს, რადგან მეტრაპეზე ძმანი ხანდის-ხან უწესოებას ახდენდენ. ჭორწინება ეპისკოპოსების ლოცვა—კურთხევით შესრულდებოდა ხოლმე. მპისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი ღვთის-მსახურებისათვის ლოცვით აღირჩეოდენ ხოლმე, და ხელდასხმით იკურთხებოდენ. ავადმყოფებს შეუსრულებდენ ხოლმე ზეთის-კურთხევის საიდუმლოსა, რომელსაც ჰქონდა და აქვს ძალა სულიერთა და ხორციელთ უძლურებათა განკურნებისა.

გამოცემელთაგან

ეს სახელმძღვანელო წიგნი, შედგენილი 1886 წელს მიხედვისამებრ წმ. სახარების თხრობათა და მიტროპოლიტ ფილარეტისა და დეკან. რუდაკოვის ნაწერთა ხელმძღვანელობით, დღეს ჩვენის საფასით აღვბეჭდეთ. ამ გვარი სახელმძღვანელო აქამდე ქართულს ენაზე არ იყო. დარწმუნებულნი ვართ, რომ იმისთანა სასულიერო პირთ, რომელთაც მართლმადიდებელ ეკკლესიის ისტორია არ შეუსწავლიათ, დღეის შემდეგ გაუადვილდებათ მისი შესწავლა. ამ წიგნის გამოცემა ნება დართულია ალექსანდრე ეპისკოპოსისაგან 15 დეკემბერს 1886 წ.

მღვდ. ნესტორ მაჭარაშვილი.

მღვდ. გიორგი ასათიანი.

შინაარსი:

თავი პირველი.

დაარსება ქრისტეს ეკკლესიისა და მისი თავგადასავალი.

§ 1. სული წმ. მოთვენა მოციქულებზე და წარმატება ქრისტეს ეკკლესიისა იერუსალიმში 3
§ 2. ეკკლესიის გაძლიერება ურიათა შორის იერუსალიმში . . 5
§ 3. გავრცელება ეკკლესიისა იუდიასა და სამარიაში;—მოქცევა სავლესი 7
§ 4. ეკკლესიის დამყარება წარმართთა შორის კესარიასა და ანტიოქიაში 10
§ 5. პირველი სამახარობელო მოგზაურობა მოციქულის პავლესი . 12
§ 6. კრება მოციქულებისა იერუსალიმში 14
§ 7. პავლე მოციქულის მეორე და მესამე სამახარობელო მოგზაურობანი 15
§ 8. დანაშთენ მოციქულების ღვაწლი 20
§ 9. ქრისტიანობა მეორესა და მესამე საუკუნეში . . 23
§ 10. ქრისტიანების დევნა ურიათაგან . . . 23
§ 11. ურიათა დამხობა 26
§ 12. უმთავრესნი დევნულებანი ქრისტიანეთა ზედა სამ პირველ საუკუნეში. 28
§ 13. მოქცევა კოსტანტინე დიდისა 36
§ 14. იულიანესაგან ქრისტიანების დევნა და დამხობა წარმართობისა . 41
§ 15. მოკლე ცნობანი შესახებ ქრისტიანობის გავრცელებისა მე IV საუკუნითგან მე IX საუკუნემდე 43

თავი მეორე.

სწავლა ეკკლესიისა.

§ 1. საღმრთო წერილი 52
§ 2. მოციქულების მოადგილეთა ნაწერი 55

§ 3. დასავლეთ—აღმოსავლეთ ეკლესიათა მამანი და მოძღვარნი . 56
§ 4. მსოფლიო კრებანი 60
ა) პირველი მსოფლიო კრება 60
ბ) მეორე მსოფლიო კრება 65
გ) მესამე მსოფლიო კრება 65
დ) მეოთხე მსოფლიო კრება 67
ე) მეხუთე მსოფლიო კრება 68
ვ) მეექვსე მსოფლიო კრება 68
ზ) მეშვიდე მსოფლიო კრება 70

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

სამოციქულო ეკლესიის გამგეობა.

§ 1. ეკლესიის გამგეობის დადგენა 74
§ 2. მიტროპოლიტნი და პატრიარქნი 77
§ 3. მსოფლიო და კერძო კრებანი 78
§ 4. რომის გამეთაურება დასავლეთში 82
§ 5. დასავლეთის ეკლესიის განცალკევება აღმოსავლეთ ეკლესიისაგან
და მეცადინეობა მათ შესაერთებლად 58

თ ა ე ი მ ე ხ უ თ ე.

პირველთა ქრისტიანეთ ცხოვრება და ღვთის-მსახურება.

§ 1. პირველთა ქრისტიანეთ მკაცრი ცხოვრება და ძმური სიყვარული . 89
§ 2. ზნეობრივი გავლენა ეკლესიისა საზოგადოებაზედ კოსტანტინე დიდის აქეთ და ბრძოლა ულვთოებასთან 91
§ 3. მონასტრების დაარსება აღმოსავლეთში 94
§ 4. დასავლეთის მონაზონება 98
§ 5. დრო და ადგილი საქრისტიანო ღვთის-მსახურებისა და წმ. საიდუმლონი 99

ქართული გაზეთები და წიგნები.

ა) მწყემსი, სასულიერო გაზეთი, წლიური ფასი . 5 მან.
ბ) ივერია, ყოველდღიური გაზეთი, ... 10 მან.
გ) თეატრი, ყოველკვირეული გაზ., ... 5 მან.
დ) მეურნე, სამეურნეო გაზ., ... 5 მან.
ე) ჯეჯილი, საყმაწ. ჟურნალი, ვაუგზ. 3, გაგზ. . 4 მან.

ვ) ახალი მიმოხილვა (რუსულ ენაზე), ყოველ-
დღიური გაზ.. . . . . 10 მან.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება ნაწერი: არჩილ მეფისა, ამბროსი ნეკრესელისა (ქადაგებანი), ნიკ. ბარათაშვილისა, დიმ. ბაქრაძისა, დეკან. სვიმონ ბეგიაშვილისა, იაკ. ბოგებაშვილისა, დავ. ბურამიშვილისა, ბ. ერისთავისა, ბაბრიელ ეპისკოპოსისა (ქადაგებანი), ვახუშტი ბატონიშვილისა, თეიმურაზ მეფისა, გიორ. იოსელიანისა, პ. ქვიცარიძისა, ს. მგალობლიშვილისა. ვანო მაჩაბლისა, ნიკო ნიკოლაძისა, სულხან ურბელიანისა, ბრ. ურბელიანისა, ვ. ურბელიანისა, თედო ჟორდანიასი, ნიკო ურბნელისა, პ. უმიკაშვილისა, ვ. ფშაველასი, დეკანოზ დავით ლამბაშიძისა, აკაკი წერეთლისა, გიორგი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა, ალექ. ჭავჭავაძისა, მღვდ. დიმიტრი ჯანაშვილისა და სხ.—ამას გარდა იქვე ისყიდება ალექსანდრე ეპისკოპოსის მიერ დასტამბული წიგნები, გიორგი ქართველიშვილის მიერ გამოც. სურათებიანი „ვეფხის ტყაოსანი“ (ღირს 15 მ.) და მრ. სხ.

ამ მაღაზიიდგან წიგნების დაბარება ამ ადრეხით შეიძლება:

Въ Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности.

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) მერცხალი, დაიბ. 1881 წ. 1200 ცალი, ფასი ცალისა 7 კაპ. სულ გაისყიდა ორი წლის განმავლობაში.

ბ) საქართველოს მოკლე ისტორია, 1884 წ., 1200 ცალი, ფ. 60 კაპ. მოწონებულია საერო განათლების სამინისტროსაგან. 100 ცალი-ღაა დარჩენილი.

გ) საქართველოს საეკკლესიო ისტორია, 1886 წ., 1400 ც. ფ. 45 კაპ. დარჩ. 400—500 ცალამდე.

დ) ბამბა და მისი შემუშავება, 1889 წ., 400 ცალი, ფ. 15 კაპ.

ე) ისტორია მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა, 1890 წ., 612 ც., ფ. 50 კაპ.

სამ პირველ წიგნთა გაყიდულის $^2/_3$ ნაწილი მარტო იმერეთში გავრცელდა.